საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

კვირა, 8 აგვისტო, 2004 წელი. №183 (4912) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ პრეზიდენტი

## ორმაგი მოქალაქეობის მომხრე მიხეილ სააკაშვილმა „ამერიკელობა" გაინაღდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში არაოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ატლანტაში, საერთაშორისო კვლევის ცენტრში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

– თქვენ ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი ხართ, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა, – თქვენი დახმარებით ახალი საქართველო უნდა ავაშენოთ.

პრეზიდენტმა ატლანტელ ქართველებს სამშობლოში დაბრუნება და საქართველოს მოქალაქეობა შესთავაზა.

მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილი ატლანტის საერთაშორისო კვლევის ცენტრში სიტყვით გამოვიდა, სადაც საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა.

გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტს, რომელმაც პირადი ცხოვრების შესახებ შეკითხვებს უპასუხა, ატლანტის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილს შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციამ სპეციალური ჯილდო – „საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრებისათვის" გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტი სამშობლოში დღეს დაბრუნდება.

**საკუთარი ინფორმაცია.**

◎ ჩემი ხატია სამშობლო

# დღეს ჩვენს „სოფელს", სწორედაც, მეთოფე სჭირდება

## ყველა ქართველი ჯარისკაცი უნდა იყოს



საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის გვირგვინით შემკობა.

რა დასამალია და, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, ეკონომიკურმა გაჭირვებამ საოცრად დააკნინა ქართველი კაცის თავმოყვარეობაც, მისი პატრიოტული სულისკვეთებაც, სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობაც. თავს ნუ მოვიტყუებთ, – როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში ჩვენი ხალხი ცხოვრებისეულ გამოცდას მოუმზადებელი შეხვდა, – ვიომეთ, ახალგაზრდობაც ჩავხოცეთ, ტერიტორიებიც დავკარგეთ და მაინც ჭკუა ვერ ვისწავლეთ. იმ წაგებული კონფლიქტების შემდეგ ქვეყანა გენერლებით გავავსეთ, ჯარისკაცები კი მივივიწყეთ, ახალგაზრდების გამოსაწრთობად თითიც არ გავატოკეთ.

იხ. მე-3 გვ.

◎ მე შაირი არ მინდოდა...

## პოლფოვიჩს სტალინი მოენატრა, ლუეკოვს – არქინბა

**სანამ ჩემი პრეზიდენტის თვითმფრინავს არ ჩამოაგდებთ, რუსეთის დუმელებო, მანამ არაფერი ჭამოთ, გარდა ერთი რამისა, ხალხში რომ არ ითქმება და ძალიან კი გიყვართ...**

5 აგვისტოს სხვადასხვა სააგენტოს მიერ სატელევიზიო არხებით გავრცელებული რუსეთის ფედერაციის დუმის (სათათბიროს) სხდომის სიუჟეტები რომ ვნახე, ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეცოდა რუსი ხალხი. დოსტოევსკის, ტოლსტოის, პუშკინის, ლერმონტოვის, შოლოხოვის, თუ გნებავთ, პეტრე პირველის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამდენი გიჟი როგორ და რა გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყო?!

რუსეთი დიდი ქვეყანაა და რა გამოულევს ალქსნისებსა და ჟირინოვსკებს, როგოზინებსა და ზატულინებს, მათი ჭკუის ხალხს? ეს სულაც არ არის გასაკვირი. სატირალი ის გახლავთ, ეს გიჟები დუმაში რომ იყრიან თავს და წითელ მოედანზე ცარცით გავლებული ხაზის ქვეშ მიძვრებიან.

იხ. მე-2 გვ.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

## მხოლოდ მშვიდობიანი და პოლიტიკური გზით




პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელს საქართველოში ჰეიდი ტალიავინს შეხვდა.

მან პარლამენტის თავმჯდომარეს ის გეგმა გააცნო, რომლის განხორციელებასაც გაერო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში აპირებს. ნინო ბურჯანაძე, თავის მხრივ, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელს საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზე ესაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი და პოლიტიკური გზით უნდა მოწესრიგდეს.

ჰეიდი ტალიავინმა ამ მიდგომას ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი და აღნიშნა, რომ გაერო ყოველ ღონეს მიმართავს უთანხმოების მოსაგვარებლად, რადგან მშვიდობიან მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს. ამავე პოზიციას იზიარებს გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი, თქვა ჰეიდი ტალიავინმა და აქვე დასძინა, რომ გაეროს მიზანია, არსებული სიტუაციიდან დროულად და კონფლიქტის გაუღვივებლად გამოსვლა.

### შეხვედრა ელჩობის კანდიდატებთან

**პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დასამტკიცებლად საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს – საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობის კანდიდატებს ამ დღეებში სათითაოდ შეხვდა.**

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### კახეთში რაიონების გამგებლები იცვლებიან

კახეთში საკადრო ცვლილებები ხორციელდება. გუშინდლიდან გურჯაანის და ყვარლის რაიონებს ახალი გამგებლები ჰყავთ.

მას შემდეგ, რაც ყვარელში გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზურა ავაზაშვილი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტზე დააკავეს, ყვარლის რაიონის გამგებლად ამავე რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი, სოფელ ენისელში „ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორი რუსლან ჯანხოთელი დანიშნეს.

პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა გურჯაანელებს გამგებლის პოსტზე სოფელ ბაკურციხის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ აბრამიშვილი წარუდგინა, ხოლო გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე – ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდენტი კაკო სიხარულიძე.

სანდო წყაროს ინფორმაციით, ეს ორი პიროვნება მალე ადგილებს გაცვლიან და გურჯაანის რაიონის გამგებლის სავარძელს კაკო სიხარულიძე დაიკავებს.

მალე ახმეტის რაიონსაც ახალი გამგებელი ეყოლება.

**ინტერ-პრესი.**

◎ სულიერება

## მკურნალი და დიდმოწამე

### 9 აგვისტო წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ხსენების დღეა



**რომის იმპერიაში, მაქსიმიანეს მეფობის წლებში (305-311), რომელიც ხატიკად დევნიდა ქრისტიანებს, მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონი (რაც ქართულად ყოვლად მოწყალეს ნიშნავს).**

პანტოლეონი (ბავშვობისას ასე ემახდნენ, რაც ქართულად „ყოვლად ლომს" ნიშნავს) დაიბადა ცნობილსა და მდიდარ ოჯახში. დედა ქრისტიანი იყო, მამა — კერპთაყვანისმცემელი. გრამატიკული სკოლის დამთავრების შემდეგ მამამ იგი სამედიცინო სასწავლებელში მიაბარა. ჭაბუკმა საოცარი ნიჭიერება გამოამჟღავნა.

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს



ბაღდადის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ – მედინატ-სადრის კვარტალში 10 ამერიკული ტანკი შეიჭრა. ტანკებს ყუმბარ და ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს შიიტური „მაჰდის არმიის" მებრძოლებმა. შვიდი ადამიანი დაიღუპა.



თურქმენეთში – საფარმურატ ნიაზოვი, რომელსაც დასავლური პრესა „ყველაზე შერეკილ დიქტატორად" მოიხსენიებს, დათანხმდა მიწვევას, რომ 2005 წლის 9 მაისს მონაწილეობა მიიღოს მოსკოვში გამარჯვების მესამოცე წლისთავის საიუბილეო დღესასწაულში.

პარლამენტის თავმჯდომარე

## შეხვედრა ელჩობის კანდიდატებთან

(პირველი გვერდიდან)

ელჩობის კანდიდატებმა ნინო ბურჯანაძეს პირისპირ შეხვედრების დროს დეტალურად მოახსენეს მათი მუშაობის გეგმები და ამოცანები. ყოველმა მათგანმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მზადყოფნა გამოთქვა და პარლამენტის მიერ ელჩად დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძეს და მისი სახით, საქართველოს პარლამენტს მხარდაჭერა და მჭიდრო თანამშრომლობა აღუთქვა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებად დანიშვნის კანდიდატები არიან: გრიგოლ მგალობლიშვილი – თურქეთის რესპუბლიკაში; დავით აფციაური – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში; ნათია ჯაფარიძე – საფრანგეთში; კონსტანტინე ქლენტი – ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში; გაგა კანდელაკი – პოლონეთის რესპუბლიკაში; გაურ გამსახურდია – სლოვაკიისა და სლოვენიის რესპუბლიკებში; ზურაბ ბერიძე – რუმინეთსა და მოლდოვას რესპუბლიკებში; დავით ზალკალიანი – უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში; ლევან ასათიანი – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში; ეკატერინე მიქაძე – იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ქუვეითსა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებში.

ნინო ბურჯანაძე რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცებამდე შეხვდება, ასევე, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს, ელჩობის კანდიდატს წმინდა საყდართან ვატიკანში, და ვალერი ჩეჩელაშვილს – მომავალ ელჩს რუსეთის ფედერაციაში, რომლებიც ამ დღეებში საქართველოში ჩამოელენ. შეხვედრები გაგრძელდება ელჩობის იმ ახალ კანდიდატებთანაც, რომელთა შესახებაც პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში იმსჯელებენ.

სულიერება

## მკურნალი და დიდმოწამე

(პირველი გვერდიდან)

ამასთან ერთად გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, სილამაზით. ერთი მოხუცი მღვდლის რჩევით, პანტელეიმონმა ირწმუნა, რომ ყოველგვარი სნეულების განკურნვა შეეძლო იესო ქრისტეს, რომ ღმერთი ადამიანებს ბოროტი სულის ტყვეობისგან ათავისუფლებდა.

პანტელეიმონმა მრავალი ავადმყოფი განკურნა. ღმერთმა უბოძა მას ეს ნიჭი. მეფემ ბევრჯერ სცადა წმიდანის მოკვლა, მაგრამ მას ყოველთვის გამოეცხადებოდა უფალი და უვნებელი რჩებოდა ხოლმე.

ერთხელაც განრისხებულმა მეფემ ბრძანა, პანტელეიმონისთვის თავი მოეკვეთათ, ხოლო ტანი ზეთისხილის ხეზე მიებათ და ცეცხლი წაეკიდებინათ. მეომრებმა იგი ქალაქგარეთ გაიყვანეს.

ჭაბუკი ლოცულობდა, ჯალათმა მას მახვილი დაჰკრა, მაგრამ რკინა ცვილივით გაიღუნა. ლოცვისას პანტელეიმონს ზეციდან ხმა მოესმა — პანტელეიმონ!

მეომრებმა კვლა დაჰკრეს მახვილი, მაგრამ სისხლის ნაცვლად რძე წარმოდინდა, ხოლო ზეთისხილის ხე ძირიდან წვერომდე დაიხუნძლა. ამ სასწაულის მხილველთაგან ბევრმა ირწმუნა ქრისტე. მეფემ კი შეიტყო თუ არა ამის შესახებ, ბრძანა ზეთისხილის ხე დაეჩეხათ და ჭაბუკის ტანთან ერთად დაეწვათ.

როცა ცეცხლი ჩაქრა, მორწმუნეებმა ცეცხლიდან წმიდა პანტელეიმონის ცხედარი უვნებლად გამოიტანეს და პატივით დაკრძალეს.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ.

ინფორმაცია

საზღვაო კარიბჭე

### ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ...

ფოთის პორტის ახალ ხელმძღვანელად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ყოფილი მოადგილე თემურ მიმინოშვილი განიხილება.



როგორც ინტერ-პრესისათვის გახდა ცნობილი, მისი კანდიდატურა უკვე შერჩეულია და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

მიმინოშვილის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მისი თქმით, განიხილება ფოთის პორტის რეორგანიზაციის საკითხი და პორტის ხელმძღვანელის საკითხიც მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება.

როგორც ვიუწყებოდით, ფოთის პორტის ყოფილი ხელმძღვანელი ჯემალ ინაიშვილი შვებულებიდან პორტში ხელმძღვანელის პოსტზე დაბრუნებას აღარ აპირებს.

კომუნიკაცია

### შპს „ტელეკომი" გაიყიდება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „ტელეკომის" აქციები შეიძლება ამერიკულმა კომპანია „მეტრომედიამ" შეიძინოს.

როგორც ინტერ-პრესს ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განუცხადა, მოლაპარაკებები „მეტრომედიის" სათაო ოფისთან მიმდინარეობს და სავარაუდოდ ერთ თვეში დასრულდება.

– დარჩენილია რამდენიმე ტექნიკური საკითხი, რასაც უახლოესი ერთი თვის განმავლობაში გადავწყვეტთ, – განაცხადა ბენდუქიძემ და საპრივატიზაციო თანხის დასახელებისაგან თავი შეიკავა.



მინისტრის თქმით, „ტელეკომის" „ელექტროკავშირთან" შერწყმის და მათი ერთ ლოტად გაყიდვის საკითხი ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება. „ტელეკომს" დახმარება ახლავე სჭირდება, ამიტომ არა მგონია, მოცდა ღირდეს, – აღნიშნა ბენდუქიძემ.

ინტერ-პრესი.

მე შაირი არ მინდოდა...

# ვოლფოვიჩს სტალინი მოენატრა, ლუჟკოვს – არძინბა

### სანამ ჩემი პრეზიდენტის თვითმფრინავს არ ჩამოაგდებთ, რუსეთის დუმელებო, მანამ არაფერი ჭამოთ, გარდა ერთი რამისა, ხალხში რომ არ ითქმება და ძალიან კი გიყვართ...

(პირველი გვერდიდან)

ჟირინოვსკის კავკასია და საქართველო მას შემდეგ შეძულებია, ახალგაზრდობაში თბილისში ყოფნისას, ერთ გორელ მუტრუკს რომ უცემია. თურმე, ყბამონგრეული, ქართულად გაიძახოდა, – ქართველები გენიალური ხალხიაო. დასანანია, რომ მაშინ ვიდეოკამერები არ იყო.

სძულს კავკასია და საქართველო, ჩვენი დანახვაც არ სურს, მაგრამ „На зло Саакашвили " თავისი ჭკუის დუმელებს სოხუმში დასასვენებლად ეპატიჟება. ვოლფოვიჩს არ ჰყვარებია კავკასია, რომელსაც ბესარიონ ბელინსკიმ რუსული პოეტური მუზის აკვანი უწოდა. ჯანდაბას ეს ვოლფოვიჩი, ნუ ვეყვარებით. ეს მისი ნებაა. ვინ აძალებს, თუ კაცი ხარ, გიყვარდეს ქართველებიო. მთელმა რუსეთმა იცის, როგორ ვუყვარდით პუშკინს და ლერმონტოვს, ესენინსა და მაიაკოვსკის.

პირდაპირ გადაირევი, რა კაცი ყოფილა ეს ვოლფოვიჩი, რა ოხრობამ შეაყვარა ჭირიანი არძინბა, როცა კეთროვანივით ეზიზღებოდა დუდაევი?!

აი, ის კი მესმის, ჩემი საქვეყნოდ გამოჩენილი პრეზიდენტი რომ ეჯავრება. აბა, რა იქნება! გუშინდელივით მახსოვს, სატელევიზიო დებატებსა თუ „ტელემოსტებში" სააკაშვილმა ისეთი და იმდენი სილა გააწნა, ჩვენი დიდი კონსტანტინესი არ იყოს, ლაწანი კავკასიის ქედს გადაღმა განფენილ СНГ-ს ქვეყნებშიც გაისმა. მოდი და ამის შემდეგ მოსთხოვე ქართველებისა და საქართველოს სიყვარული. ამ ამბავზე თურმე ჩაჩნებს იმდენი უცინიათ, რუსეთის ავიაციის მიერ მათი ტერიტორიების დაბომბვა კინაღამ ვერ გაუგიათ. ახლა წარმოიდგინე, პატივცემულო მკითხველო, სააკაშვილის მიერ გალახულმა ვალოდიამ რომ იძახოს, ქართველები ძმებივით მიყვარსო, ხომ მოგვეჭრება თავი საქვეყნოდ?!

ეს დებატები აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს ქალბატონ მადლენ ოლბრაიტსაც უნახავს და რუსი დიპლომატებისთვის უკითხავს, გამაგებინეთ, თუ ქრისტიანები ხართ, ეგ თქვენი დუმელი ვლადიმირი ვოლფოვიჩია თუ ვოლფოვნა, სულ გაპუდრულ-გაუმარულებული რომ კეკლუცობს ტელეეკრანიდანო.

ამას წინათ ერთმა ჩემმა რუსმა კოლეგამ მიამბო, თურმე ვოლფოვიჩი ერთ შაბათს „მოსკვა რეკაზე" სათევზაოდ წასულა. ხომ იცით, ვოლფოვიჩი იღბლიანი კაცია და მის ანკესს უმალ ოქროს თევზი მოჰყოლია. უთქვამს თევზისთვის ვოლფოვიჩს, სტალინს თუ გამიცოცხლებ, უვნებელს გაგიშვებო. თურმე თბილისში გალახვის სამაგიეროს გადახდა სურვებია, 74 წლის გორელს მაინც მოვერევიო, უფიქრია.

ამის თქმა და, ცოცხალი გენერალისიმუსი წამოსდგომია თავს. ერთი სიტყვით, ნატვრა სიზმარში აუხდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, არა შეჯდა მწყერი ხესაო. როცა ბელადმა ნაცრით გატენილი ჩიბუხი დააფერთხა თავზე, ისე შეშინებია, ჯერ ჩაუსვრია, ბოლოში გამოთქმისთვის, და შემდეგ ენა ჩავარდნია. გალვიძებულს, როცა ენა მოუბრუნდა, უთქვამს, მძულს კავკასიაო. ესეც ანტონიმი. ხომ გახსოვთ ლერმონტოვი – „Люблю я Кавказ", მერე რა, ვოლფოვიჩს თუ ვძულვართ. სამაგიეროდ, ვუყვარვართ პაველ ანტოკოლსკის, ნიკოლაი ზაბოლოცკის, ალექსანდრ მეჟიროვს, ანდრეი ვოზნესენსკის. გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. მე მუდამ ვიამაყებ ლეგენდარული პაველ ანტოკოლსკის პირადი ნაცნობობით, ЦДЛ-ში მასთან შეხვედრებით, საუბრებით, მისი ნაჩუქარი წიგნები, რომლებიც ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკის რელიკვიაა.

ახლა კი დროა, პირველ პირში მივმართო ძვირადღირებულ (რა თქმა უნდა, დუმაში – **შ.ზ.**) ჟირინოვსკის და მისი ჭკუის დუმელებს – ალქსნისს, ზატულინს, გოლოვაგიუკს (ეს ნაბოლარა ვინღაა? – **შ.ზ.**), როგოზინს და სხვებსაც: – სანამ თქვენ ჩემი პრეზიდენტის თვითმფრინავს არ ჩამოაგდებთ, მანამ არაფერი ჭამოთ, გარდა ერთი რამისა, ხალხში ხომ არ ითქმება და ძალიან გიყვართ. თქვე მართლაც გლახის ჭირებო, საქართველო XIX საუკუნისდროინდელი გუბერნია ხომ არ გგონიათ, რომ იწელებით და იჭიმებით ნეხვის ჭიასავით?!

ვითომ ეს გიჟები აღარ გვყოფნიდა და „ჭკუით" გატენილი ლუჟკოვიც გამოტყვრა. თანაც ტრაბახობს, თბილისის საპატიო მოქალაქე ვარო. ახია ჩვენზე, ჩვენზე კი არა, შევარდნაძეზე, 1991-1992 წლების მიჯნაზე გენერალ ბეპაევის დირიჟორობით ამიერკავკასიის „ოკრუგის" არტილერისტების მიერ დანგრეული სკოლა რომ შეგვიკეთა იური დოლგორუკის მიერ აშენებული და მეორე მსოფლიო ომში იოსებ სტალინის მიერ გადარჩენილი მოსკოვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. ამ „დამსახურებისათვის" შევარდნაძემ თბილისის საპატიო მოქალაქეობა ლუჟკოვს მართლაც ლანგრით მიართვა (ეს შევარდნაძის საყვარელი სინტაგმაა – **შ.ზ.**) ეს იმას ხომ არ ჰგავს, ჯერ რომ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს? ახლა რატომ გვიკვირს, ლუჟკოვმა თბილისის საპატიო მოქალაქის დიპლომი რომ აგვიფრიალა ცხვირწინ?! აბა,



ლუჟკოვი რა ლუჟკოვია, შევარდნაძის ნაბოძვარი ეს კოზირი არ გამოიყენოს სააკაშვილისა და საქართველოს წინააღმდეგ?!

ახლა საკითხავია, თბილისის საპატიო მოქალაქეს როდის მერე შეუყვარდა და მოენატრა სეპარატისტი არძინბა?!

იქნებ მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილის ურყევი ნებით ბათუმი გაიწმინდა ასლანური კლანისგან და ლუჟკოვსაც წყალში ჩაუცვივდა შავი ზღვის ბათუმის სანაპიროს დაუფლების მზაკვრული გეგმები?! პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწვევით ჩამოვედიო, საამისო საბუთებიც მაქვსი. იმას კი არ ამბობს, რა წერია იმ საბუთებში, სად და როდის მოიწვია ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა. ეს იმას ჰგავს, რუსეთის პატივცემულმა პრეზიდენტმა პუტინმა (ჟირინოვსკისგან განსხვავებით, მე სხვანაირად ენა არ მომიბრუნდება მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით – **შ.ზ.**) თბილისის მერი თავის ქვეყანაში რომ დაპატიჟოს და ჭიაბერაშვილმა მოულოდნელად დაჰკრას ფეხი და ჩაჩნეთში ამოჰყოს თავი და არა მოსკოვში.

ისიც ფაქტია, რომ ჩაჩნეთი და აფხაზეთი სულ სხვადასხვა განზომილებანია. პირველი რუსეთის მიერ ანექსირებული და მიტაცებული ქვეყანაა, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, ხოლო აფხაზეთი სისხლხორცეულად საქართველოს ისტორიული მხარე, ანუ ნაწილია, რომელიც რუსეთელი პოლიტიკანების მიერ წაქეზებულ და ზურგგამაგრებულ სეპარატისტებს სურთ მოსწყვიტონ საქართველოს.

ბატონ ლუჟკოვს ბათუმში ფეხი არ ჩაუვიდა. ახლა ლუჟკოვსაც და დუმელებსაც აფხაზეთი ჰგონიათ ცხვრის დუმა, რომლის მოთლა და გადასანსვლა სურთ. ჟირინოვსკისაგან განსხვავებით, მე არ ვარ ჩემი ქვეყნის პარლამენტის წევრი, მხოლოდ ერთხელ, 1999 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებში ვიყარე კენჭი ბათუმის მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატად, მაგრამ ასლანურმა რეჟიმმა, აღორძინებამ და აჭარის უშიშროების სამინისტროს ჯვაროსნული ომი გამომიცხადა.

მართალია, არჩევნებში მე გავიმარჯვე, მაგრამ დეპუტატის მანდატი სმირნბას აჩუქეს (ნამდვილად არ ვიცი, რა დამსახურებისთვის – **შ.ზ.**), მე კი ტერორისა და მუქარის ობიექტი გავხდი. თუმცა, ეს არც მანამდე მაკლდა. ეს ამბავი იმიტომ მოვაყოლე, რომ მეთქვა, მე დიდ პოლიტიკაში არ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლია გაჩუმება, არ შემიძლია პირი დავმუწო, როცა ჩემს ქვეყანას და ჩემი ქვეყნის გამოჩენილ და საქვეყნოდ აღიარებულ პრეზიდენტს რუსი შოვინისტები ტალახს ესვრიან. სწორედ ამიტომ დაიწერა ეს წერილიც.

ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს კი მინდა ვუსურვო მისთვის ჩვეული ნებისყოფის სიმტკიცე, შეუპოვრობა, თანმიმდევრულობა და ის გმირული სულისკვეთება, რაც მან 2003 წლის 22 ნოემბერს თბილისში „ქაჯეთის ციხის" აღებისას გამოიჩინა.

ეს იქნება სრული გარანტი იმისა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში დაძლევს სიძნელეებს და, ჟირინოვსკების გულის გასახეთქად, დაიკავებს კუთვნილ ადგილს ევროპულ ოჯახში.

შოთა ზოიძე.
ქ. ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხატია სამშობლო

# დღეს ჩვენს „სოფელს“, სწორედაც, მეთოფე სჭირდება

(პირველი გვერდიდან)

ახლა საქართველოს პარლამენტში შესულია პრეზიდენტის მიერ ნაკურთხი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი მოსახლეობის პატრიოტული ნიშან-თვისებების გაღვივებას, ახალგაზრდობის ძალ-ღონის გაკაჟებას, ქართული ჯარის გაფხიანებას. ჩვენ არ ვემზადებით საომრად, მაგრამ დრო და ჟამი გვაიძულებს, თითოეული ჩვენგანი იქცეს უბრალო ჯარისკაცად (და არა სამხედრო ჩინოვნიკად), მამულის ჭეშმარიტ დამცველად. ამიერიდან სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი იქნება, სტუდენტებისთვის – ექვსთვიანი. პატარა შეღავათები იქნება (ვთქვათ, დედისერთებისთვის), მაგრამ არა ისეთი, როგორიც გარანტირებული ჰქონდათ ჩვენს ჭაბუკებს საეჭვო დიპლომის თუ 200 ლარის ფასად...

ასეთ დროს განუზომელია მაგალითის ძალა. და აი, გუშინ საქართველოს პარლამენტის ორი ათეული (დიახ, ორი სამხედრო ათეული), რომლებსაც სათავეში ედგნენ ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი, „საბრძოლო პოზიციაზე“ გავიდა. დეპუტატებმა ჯერ თაიგულით შეამკეს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი, შემდეგ კი იაღლუჯის საწვრთნელი პოლიგონი დალაშქრეს. ავტომატით, ყუმბარმტყორცნით, ტყვიამფრქვევით, სნაიპერული შაშხანით და პირადი პისტოლეტით სროლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დავით კირკიტაძე და კოტე გაბაშვილი, კობა ბექაური და გიორგი ხაჩიძე, გოჩა კუპრავა და ირაკლი ქავთარაძე, ვახტანგ ბალავაძე და ლევან მხეიძე...

„საცეცხლე გაკვეთილებს“ ატარებდნენ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ინსტრუქტორები მინისტრის მოადგილის ლევან ნიკოლეიშვილის მეთაურობით. იყო იარაღის დაშლა, აწყობა, სროლა... პირველმა შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ეტყობა, ხალხის რჩეულებს „ნათელი მიზანი“ აქვთ!



**მიხეილ მაჭავარიანი:** ამიერიდან სამხედრო სამსახური ჩვენში იქნება პრესტიჟული. არავითარი მილიტარიზაცია, არავითარი მასობრივი მობილიზება. უბრალოდ, შეიქმნა სამხედრო-პატრიორტული მოძრაობა, რომელიც ერს გამოაფხიზლებს, მამულის დასაცავად მოამზადებს. ჩვენ შემოვიელით ჯარისკაცთა ყაზარმებს (აქამდე ისინი საქათმეებს ჰგავდა), უმაღლეს სასწავლებლებს, სკოლებს. ახალგაზრდობაში შევიტანთ სამშობლოს სიყვარულის უზარმაზარ მუხტს, რომელიც ქვეყნის გამთლიანებას, ხალხის გამოცოცხლებას მოხმარდება;





**დავით კირკიტაძე:** ამ დღეებში მოხდება სამხედრო-პატრიოტული ცენტრის პრეზენტაცია. მე პირადად მეამაყება, რომ მაცვია ქართველი ჯარისკაცის ფორმა. აი, ეს ცენტრი ასე საამაყოს გახდის ჯარისკაცის ფორმის ჩაცმას თითოეული პიროვნებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. ეს ქვეყანა მომავალ თაობას ეკუთვნის და, თუ საჭირო გახდა, მის დასაცავად თავიც არ უნდა დაიშუროს.

**გიორგი ხევიაშვილი:** როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქე დაიცავს სამშობლოს ინტერესებს, ისე დაიცავს ამ ინტერესებს თითოეული პარლამენტარიც. ურთულეს პერიოდებში ისინი კაბინეტებში არ გამოიკეტებიან და შორიდან არ დაიწყებენ მოვლენათა შეფასებას ან სხვათა კრიტიკას. დღეს დეპუტატებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს. ამას სისტემატური ხასიათი მიეცემა. „საცეცხლე გაკვეთილებს“ გაივლის ყველა მამაკაცი დეპუტატი. თუ მოინდომეს, არც ქალებს ვეტყვით უარს...

საწვრთნელ პოლიგონზე „ნტვ“-ს კორესპონდენტმა მიხეილ მაჭავარიანს ორიოდ კითხვა დაუსვა, უფრო სწორად, „ჩორტის ჩაგდება“ სცადა.

**– რუსეთის დუმამ თქვენსკენ მწარე განცხადებები ისროლა, თქვენ ტყვიით უპასუხებთ?**

– რუსეთის დუმა უთავბოლოდ ისვრის, ზოგჯერ მშვიდობიანი მეზობლებისკენაც. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ.

**– ფორმა ამერიკული გაცვიათ, იარაღი კი რუსულია...**

– ფორმა გერმანულია, დიახ, იარაღი რუსულია, მაგრამ, გულია ქართული, გული!

...წინასწარ ვიცი, „ნტვ“ ამ დიალოგს თავისებურად დაატრიალებს. ალბათ, იტყვის, ვლადიმერ ჟირინოვსკი სოხუმის პლაჟზეა, მიხეილ მაჭავარიანი კი – რუსთავის პოლიგონზეო.

**თქვას, ჰო, თქვას!**

**წინაპრებმა ასე დაგვიბარეს, – თოფი კაცის გაგრძელებააო.**

**და კიდევ, – თოფი მეთოფეს და მეთოფე – სოფელსაო.**

**ჩვენს დღევანდელ „სოფელს“, სწორედაც, მეთოფე სჭირდება!**

**ბონდო გულიაშვილი.**

სურათებზე: პარლამენტარები იაღლუჯას საწვრთნელ პოლიგონზე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ინფორმაცია

ჯანდაცვა

## ახალი სიცოცხლის „სამჭედლო“

თერჯოლის რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში სარემონტო სამუშაოები დასრულდა. როგორც თერჯოლის გამგეობაში აცხადებენ, ახლო მომავალში განახლებულ სამშობიაროს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მოინახულებს.

სამშობიაროს მთავარი გინეკოლოგის ლალი გვეტაძის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების ხარჯები რაიონული საავადმყოფოს ადმინისტრაციამ გაიღო. ცუდი პირობები არც მანამდე გვქონია და აქ წელიწადში 200-მდე ბავშვი იბადებოდა, თუმცა ახლა, როცა სამშობიარო თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, ჩვენთან მეზობელი რაიონებიდანაც ჩამოდიან, – აღნიშნა ინტერ-პრესთან საუბრისას გვეტაძემ.

განახლებული სამშობიარო განყოფილება 30 საწოლზეა გათვლილი.

რეაბილიტაცია

## რათა გზა გზას ჰგავდეს...

ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ხონისა და ქუთაისის მიმართულებით სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. მათ წყალტუბოს საგზაო სამმართველო აწარმოებს, რომელმაც ეს უფლება ტენდერის საფუძველზე მოიპოვა.

როგორც ინტერ-პრესს ხონის გამგებელმა სოსო ყურაშვილმა განუცხადა, საგზაო დეპარტამენტს გზის შეკეთება 1 200 000 ლარი უჯდება.

– რაიონი ტურიზმის განვითარებისთვის სპეციალურ პროგრამას ამუშავებს, მისი განხორციელებისთვის კი აუცილებელია, შეკეთდეს გზის მონაკვეთი ხონისა და სოფელ გორდის მიმართულებით, – განმარტა მან.

კრიმინალი

## სპეცოპერაცია მანგლისში

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ გუშინ გამთენიისას, თეთრი წყაროს რაიონის დაბა მანგლისში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგად ორი პირია დაკავებული.

დაკავებულთაგან ერთი 28 წლის თბილისელი, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი, ე.წ. ქურდული სამყაროს ავტორიტეტი გიორგი მაისურაძე მანგლისში საკუთარ აგარაკზე აიყვანეს. ჩხრეკისას მას „ფ-1“ ტიპის 1 ხელყუმბარა და დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ აღმოაჩნდა.

მეორე დაკავებული მანგლისის მკვიდრი, 20 წლის გიორგი აფციაურია. მისი ბინის ჩხრეკისას „ბეკოს“ ტიპის გადაჭრილი თოფი, ვაზნები და დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ ამოიღეს.

## ნარკოტიკებს გოგონებიც მიეძალნენ?!

ხონის რაიონში ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი არასრულწლოვანი გოგონები მომრავლდნენ. ხონის პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ნანა ჩხეიძე რაიონში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ აფასებს.

მისი განცხადებით, გამოვლენილია 42 მოზარდი, მათ შორის 4 გოგონა, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ, თავს არიდებენ სკოლაში სიარულს და რეგულარულად მოიხმარენ ე.წ. „ანაშას“.

ინტერ-პრესი.

დედაქალაქი

## გაგრძელდება მშენებლობა 300 არაგველის სახელობის პარკში?



თბილისის საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლები 300 არაგველის სახელობის პარკში მშენებარე სასტუმრო კომპლექსთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილთან ვიზიტს გეგმავენ. მათ ეს გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე ქალაქის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართვამ განაპირობა.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა ინტერ-პრესთან საუბრისას განაცხადა, ჭიაბერაშვილი საკრებულოსგან ინვესტორის ინტერესების გათვალისწინებას და შეჩერებული მშენებლობის გაგრძელების საკითხის საკრებულოს სხდომაზე კიდევ ერთხელ განხილვას ითხოვს.

– სააკაშვილთან კონსულტაციების გავლის გარეშე, საკრებულოს გადაწყვეტილება 300 არაგველის სახელობის პარკში დაწყებული მშენებლობის აკრძალვის შესახებ არ შეიცვლება, – აცხადებს ბეგაშვილი.

ინტერ-პრესი.

სიტუაცია

## დევნილებს „ივერია“ არ ეთმობათ...

სასტუმრო „ივერიაში“ მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის თანახმად, სასტუმრო „ივერიიდან“ დევნილი მოსახლეობა გამოსახლდება და სასტუმრო უცხოელ ინვესტორს კეთილმოწყობის მიზნით გადაეცემა.

დევნილების აღშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება მათთან შეუთანხმებლად მიიღო და მათთან დასალაპარაკებლად ამის თაობაზე არავინ მისულა. ისინი არ აპირებენ დაპირებული საკომპენსაციო თანხის – ოთახში 7 ათასი დოლარის აღებას და აცხადებენ, რომ სასტუმროს იმ შემთხვევაში დატოვებენ, თუკი მათ მიეცემათ აფხაზეთში დაბრუნების შანსი, ან თუ ოთახში 15 ათას დოლარს გადაუხდიან.

აქციის მონაწილენი ასევე მოითხოვენ უცხოელი ინვესტორისგან, რომ ქალაქის ხელმძღვანელობის ჩაურევლად პირადად მათთან, დევნილ მოსახლეობასთან აწარმოონ მოლაპარაკებები.

## ... მათთვის კი ბინები უკვე შერჩეულია

თბილისის მერმა და პრემიერმა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან ეთერ ასტემიროვასთან ერთად გუშინ ის რამდენიმე ბინა დაათვალიერეს, რომელთა შეძენა სასტუმრო „ივერიიდან“ გასახლებულ დევნილ ოჯახებს მათთვის გათვალისწინებული 7000-7000 დოლარის ფარგლებში შეეძლებათ.

როგორც ინტერ-პრესს ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ განუცხადა, ქალაქის მთავრობას სასტუმროში მცხოვრებ დევნილთათვის უკვე 120 ბინა აქვს შერჩეული. აღნიშნულ ბინებს ის პირები მიიღებენ, რომლებიც პირველ ეტაპზე დატოვებენ სასტუმროს.

დღეისათვის სასტუმრო „ივერიაში“ 897 დევნილია რეგისტრირებული. მათ სასტუმროში 330 ოთახი აქვთ დაკავებული.

ინტერ-პრესი.





საქართველოს რესპუბლიკა
№ 183, კვირა, 8 აგვისტო, 2004 წელი.

ბიბლიოთეკა

დოკუმენტი

# ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა



ზვიად გამსახურდია.
მოქანდაკე მერაბ მეტრეველი.

6. მტკიცებულებათა ანალიზით დადასტურებას ვერ პოულობს ბრალდება, თითქოსდა ზვიად გამსახურდიას მიერ გაცემული კანონსაწინააღმდეგო განკარგულების საფუძველზე, 1991 წლის 2 სექტემბერს დარბეულ იქნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამართული მიტინგი, ასევე, რომ იგი სისტემატურად არღვევდა კონსტიტუციურ გარანტიებს, ატარებდა ანტისახელმწიფოებრივ, ანტისახალხო საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რისთვისაც ცდილობდა უზენაესი საბჭოს წევრების უსიტყვო მორჩილებაში მოქცევას და თავის ნებაზე დაყოლიებას. მან უზენაეს საბჭოზე ზეგავლენის გზით მიაღწია 3 დეპუტატისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერებას, შემდეგ კი, ახორციელებდა რა ანტისახალხო საშინაო პოლიტიკას, ქართული სახელმწიფო მოაქცია სრულ იზოლაციაში, ამასთან, 1991 წლის 22 დეკემბერს, მისი მითითებით, ასევე ცეცხლი გაუხსნეს საკუთარ მოსახლეობას.

დადასტურებას ვერ პოულობს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამართული მიტინგის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითა თუ სხვა საშუალებით დარბევის კანონსაწინააღმდეგო განკარგულების გაცემის ფაქტი, მიუხედავად აღნიშნულში მისთვის ბრალის შერაცხვისა.

საქმის მასალებით, 1991 წლის 2 სექტემბერს, 18 საათზე, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლის წინ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ატარებდნენ საინფორმაციო მიტინგს, რაზედაც საზოგადოებრიობა წინასწარ იყო 1991 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებული განცხადებით ინფორმირებული.

აღნიშნული მიტინგი დაშლილ იქნა. მიტინგში მონაწილეთა ნაწილმა, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველმა მილიციის მუშაკებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის, მათ შორის, ცეცხლნასროლი დაზიანებები.

ამ ფაქტზე, იმავე დღეს, 1991 წლის 2 სექტემბერს, ქ. თბილისის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის №1091816 საქმე ჩატარებულ მიტინგში მონაწილეთა მიერ ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი დაუმორჩილებლობისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ათასეულის მუშაკთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. ხსენებულ დანაშაულებრივ ფაქტზე, გამოძიების მასალებით, მიტინგი ჩატარებული იქნა აღნიშნულისათვის აუცილებელი სანქციის გარეშე. საქართველოს პრეზიდენტის ქვეყნიდან გაძევებამდე ამ დანაშაულში სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ ყოფილა მიცემული.

1992 წლის 2 მარტს საქმეზე გამოტანილი იქნა ალექსანდრე მიქაბერიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება იმაზე მითითებით, რომ ამ უკანასკნელმა მიტინგი დაარბია საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განკარგულების საფუძველზე, რომელიც მან მისცა შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, აღნიშნულის შესრულება დაავალა ა. მიქაბერიძეს.

ხსენებული დადგენილების მიხედვით, იმის გამო, რომ „რესპუბლიკაში ტოტალური რეჟიმი იყო დამყარებული, სადაც კანონი არ წარმოადგენდა უზენაესს და ყველაფერი დამოკიდებული იყო პრეზიდენტის ნება-სურვილზე, შეუძლებელი იყო ა. მიქაბერიძეს არ შეესრულებინა პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანება, მით უმეტეს, რომ თვით ა. მიქაბერიძეს არ გაუცია არავითარი განკარგულება მიტინგი აღეკვეთათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით..."

იმავე დღეს, 1992 წლის 2 მარტს, დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია ბრალდებულის სახით ხსენებულ საქმეზე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში იმისათვის, რომ 1991 წლის 2 სექტემბერს გამართული ზემოხსენებული მიტინგი დარბეული იქნა მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით გაცემული კანონსაწინააღმდეგო განკარგულების საფუძველზე, რასაც შედეგად მოჰყვა ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა — დარბევის შედეგად ათეულობით მოქალაქემ და მილიციის მუშაკებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის, მათ შორის, ცეცხლნასროლი დაზიანება.

1992 წლის 2 მარტს სისხლის სამართლის საქმე შეჩერებული იქნა წარმოებით იმაზე მითითებით, რომ ზვიად გამსახურდიას და დილარ ხაბულიანის დაკითხვის გარეშე შეუძლებელი იყო ალექსანდრე მიქაბერიძისა და ასევე დარბევაში მონაწილე სპეცდანიშნულების ათასეულის მეთაურის ავთანდილ წოწორიას ბრალეულობის საკითხის ობიექტურად გადაწყვეტა.

1992 წლის 11 მაისს საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი დილარ ხაბულიანი, რომელმაც არ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიტინგის დარბევის თაობაზე განკარგულების მიღება.

აღნიშნულის მიუხედავად, გამოძიების მიერ დადასტურებულად იქნა მიჩნეული ზვიად გამსახურდიას მიერ დილარ ხაბულიანისათვის მიტინგის დაშლაზე კანონსაწინააღმდეგო განკარგულების მიცემა და მის მიმართ, 1995 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, გარდაცვალების მოტივით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

დ. ხაბულიანის, ა. მიქაბერიძის და ა. წოწორიას მიმართ გამოძიებას არ უმსჯელია და ხსენებული პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიუცია კანონსაწინააღმდეგო განკარგულების შესრულებისათვის.

ხსენებული სისხლის სამართლის საქმის მასალებით ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, გამოძიებას არ გააჩნდა მტკიცებულებები აღნიშნულ დანაშაულში ზვიად გამსახურდიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის, გარკვეულ ზეწოლათა შედეგად, გამოძიების მიერ მას მაინც შეერაცხა ბრალდება ამ დანაშაულში, ხოლო იმავე ინტერესებიდან გამომდინარე და შეცვლილ გარემოებათა გამო, ზემოხსენებული სხვა პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილან.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 161-166, 168-176, 178-182.

წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

## ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს



ნესტორთან ერთად უთუოდ უნდა მოვიხსენიო მეტად გაბედული რევოლუციონერი და კარგი ადამიანი ყარამან ტუსკია, ვის ბინაშიც, აგრეთვე, ხშირად ვიკრიბებოდით და მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ვმსჯელობდით. ირკუტსკი ისეთი ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდა ბევრი რუსი და კავკასიელი გადასახლებული რევოლუციონერი. მე და კიდევ ორი-სამი კაცი თავს არ ვზოგავდით, რათა ამ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამხანაგებს როგორმე დავხმარებოდი. ერთხელ ნესტორმა წინადადება წამოჭრა — საჭიროა, ჩამოვაყალიბოთ წრე და გამოვნახოთ საარსებო საშუალება, ვინაიდან შეუძლებელია, ამოდენა დახმარების ტვირთი რამდენიმე კაცს დააწვეს კისერზეო. მართლაც, ყველამ გაიზიარა ნესტორის მოსაზრება და ნესტორისა და ყარამანის თავკაცობით შეიქმნა არალეგალური წრე. მოლარეობა ყარამან ტუსკიას დაეკისრა.

მალე ეს წრე ორასამდე კაცს აერთიანებდა და ფარულად ვავრცელებდით რევოლუციურ ლიტერატურას. წრის წევრები შეძლებისდაგვარად იხდიდნენ ფულს და შეიქმნა სათანადო ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა კატორღაში მყოფ და შორეულ კუთხეებში გადასახლებულ რევოლუციონერებს. ერთ დღეს, ნესტორის დავალებით, ყარამანისთვის საიდუმლო წერილები უნდა გადამეცა. დავალება შევასრულე, თავისუფლად მოვდივარ ბაღში და უცებ ერთი პოლიციელი მიახლოვდება, მეუბნება, რომ უბნის პოლიციაში უნდა წავყვე. მე მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, მიზეზი არ ვიცი, მხოლოდ ბრძანება უნდა შევასრულოო. ჩემი მდგომარეობის გამო წინააღმდეგობის გაწევა, გაძალიანება არ შეიძლებოდა და გავყევი. პოლიციელმა უბნის განყოფილებაში მიმიყვანა, იქ კი ვახმისტრმა ბრძანება გასცა ჩემი დაპატიმრების თაობაზე. საპატიმროში როცა შევედი, დავინახე, რომ ჩემი ამხანაგები, ორმოც კაცამდე, მათ შორის, ნესტორიც, იქ არიან. შესვლისთანავე ნესტორმა მომაძახა, გვანჯი, ხომ არ დაიღუპეთო. მას ეგონა, გამჩხრიკეს და საიდუმლო კორესპონდენციები მინახეს. მე დავამშვიდე, ნუ გეშინია, ჩემო ნესტორ, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. გახარებული გადამეხვია, დაწყნარდა.

დაკავებიდან მესამე დღეს გამოგვიძახა ჟანდარმთა როტმისტრმა სამოხვალოვმა და ყველანი, ორმოციქვე, ზაუშაკოვსკის მკაცრ იზოლატორში გადაგვაგზავნა — ნესტიან, ცივ საკანში, სადაც პოლიტპატიმართა დიდი ჯგუფი იმყოფებოდა. მათ, აუტანელი რეჟიმისა და სასტიკი მოპყრობის გამო, ადმინისტრაციის მიმართ პროტესტი ჰქონდათ გამოცხადებული. მანამდე მათ არეულობა მოუწყვეს ციხის ხელმძღვანელობას და ეს ასოცი კაცი ამ საშინელ საკანში გადმოეყვანათ დასასჯელად. აქ ისინი, პროტესტის ნიშნად, ფეხზე არ დგებოდნენ და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შემოსვლის დროს, არაფერზე პასუხს არ სცემდნენ. ჩვენ როცა შევედით, ამ პოლიტპატიმართა ხელმძღვანელმა, ნიკოლაევმა გვითხრა: ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს პროტესტს. თქვენ რაც შეგეხებათ, თქვენი მოქმედება თვით თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ არა გვაქვს უფლება და არც შეგვიძლია გთხოვოთ, რომ ჩვენს პროტესტს შეუერთდეთო. ნესტორი მაშინვე მე შემეკითხა, როგორ მოვიქცეთო. მე უყოყმანოდ ვუპასუხე, რომ შევუერთდებოდით იქ დამხვედურ პატიმართა პროტესტს, მათი ხვედრი გაგვეზიარებინა. ასედაც მოვიქეცით. ნესტორს და სხვებსაც მოეწონათ ეს გადაწყვეტილება და ჩვენ მხარი ავუბით ნიკოლაევის ჯგუფს. ამან სულ გაამხეცა ციხის ადმინისტრაცია. შემოვიდა უფროსი ზედამხედველი ზაიცევი და თან შემოჰყვა ციხის პროკურორი. ზაიცევი სასტიკად გვაფრთხილებს და წინადადებას გვაძლევს, მოვხსნათ პროტესტი. ჩვენ გადაჭრილად უარს ვუცხადებთ. გაანჩხლებული ზაიცევი ჩემკენ იშვერს ხელს და მეუბნება — თქვენი მონაწილეობა ამისთანა საქმიანობაში და ასეთ ხალხთან სამარცხვინოა. თავადიშვილს, კეთილშობილი შთამომავლობის კაცს რა გაქვთ საერთო ამ უწესოებთან, ქვეყნის ამრევებთანო. მე მტკიცედ ვუპასუხე, რომ ვამაყობ ამ ხალხთან ჯდომით და მზადა ვარ, მათთან ერთად ვიბრძოლო ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მით უმეტეს, არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის-მეთქი. ამ პასუხის შემდეგ ზაიცევი და პროკურორი კიდევ უფრო გაბოროტდნენ, განრისხებულებმა მოგვაძახეს, თქვენს მოქმედებას განანებთო და წავიდნენ. მართლაც ერთი საათის შემდეგ საკანში შემოვარდნენ გამხეცებული ზედამხედველები და საშინელი ლანძღვა-გინებით, მუჯლუგუნების კვრით, ცალცალკე ჯგუფებად აშმორებულ, ჯოჯოხეთურ კარცერებში გადაგვიყვანეს. ორი თვე ცივი პურის ნატეხზე და წყალზე გვამყოფეს, აუტანლად ვიტანჯებოდით. ბევრი მძიმედ დაავადდა. ზოგიერთებს, ნამეტანი სუსტად რომ იყვნენ, მე და ნესტორმა მოვახსნევინეთ პროტესტი და საერთო საკანში გავაყვანინეთ. ირკუტსკის ჟანდარმთა სამმართველომ ჩვენი საქმე შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს სტოლიპინს გადასცა. სტოლიპინს გამოეთხოვა დოკუმენტური მასალები ჩვენი ჯგუფის დანაშაულის შესახებ.

უნდა აღვნიშნო, რომ ირკუტსკში ჩემი მეორედ ჩასვლის დროს იქ ვნახე დედაჩემის ნათესავი ყარამან მარღანია, რომელიც „ვერხნეუდინსკის" კაზაკთა ბრიგადის გენერალი იყო, საუკეთესო ვაჟკაცი და განათლებული ადამიანი. მას ძალიან ვუყვარდი და ხშირადაც მნახულობდა, ყოველნაირად მეხმარებოდა. ყარამან მარღანია კარგად იცნობდა ნესტორს და სხვა რევოლუციონერებსაც, თანაუგრძნობდა მათ. განსაკუთრებით მოსწონდა ნესტორი; ამბობდა, მტკიცე იდეის ადამიანია და რევოლუციის საქმისათვის საკუთარ სიცოცხლეს არ დაზოგავსო. იგი სავსებით გულწრფელად აცხადებდა ჩემთან საუბრისას — ნესტორი და საერთოდ რევოლუციონერები მართლები არიან, მეფის დასამხობად რომ იბრძვიან. ჩვენი კულტურა პირველყოფილ დონეზეა. სოფლის მეურნეობას ადამ და ევას დროინდელი იარაღებით ეწევიან. რევოლუცია კი ტექნიკის საქმეს წინ წასწევს და კულტურის განვითარებასაც დააჩქარებსო.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 147-151, 153-166, 168, 170, 173, 174, 176-179, 181, 182.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 183. კვირა, 8 აგვისტო, 2004 წელი



ხელოვანი დროში

# ეროვნული მადლით გაბრწყინებული ხელოვნება



**ძალიან ხშირად ანგარიშს არ ვუწევთ იმას, რომ ჩვენს შორის, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ისეთი ხელოვანნი, რომელთა შემოქმედება უკვე გასცდა თანამედროვეობის ზღვარს და მომავლის კლასიკურ ხელოვნებაში გადაინაცვლა.**

**სიახლოვე – დროისმიერი და ადამიანური აძნელებს ამის შეფასებას, მაგრამ აძლიერებს ხელოვანის შემოქმედებითი საწყისის მიგნების სურვილს, რაც მისი ფენომენის ამოცნობის საშუალებას იძლევა.**

ზურაბ წერეთელი – XX საუკუნის მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელმაც შექმნა უზარმაზარი ეპოქალური შემოქმედება: 4000-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოები (ფერწერა, გრაფიკა, მინანქარი), მსოფლიოს 25 ქვეყანაში მონუმენტური კომპლექსების ავტორი; მრავალი ქვეყნის საპატიო ჯილდოს, ლაურეატობის, წოდების მფლობელი, აღიარებული მსოფლიოს მოქალაქე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი – სადაც წარმოადგენს თავის თავს – ქართველი მხატვარი.

სწორედ ეს – სიამაყე საკუთარი ეროვნული ვინაობის, პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე გახლავთ მისი ფენომენის ჩამოყალიბების საფუძველი.

ზ. წერეთელმა ქართული ეროვნული ხასიათის სულიერი ფასეულობები: კაცთმოყვარეობა, მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულისკენ სწრაფვა, თავის შემოქმედებაში დაუპირისპირა ტოტალიტარულ რეჟიმს, რაც ზოგადსაკაცობრიო იდეალების გაგებაში მთლიანად დაემთხვა XXI საუკუნის იმპულსებს. საკმარისია დავასახელოთ მისი შემოქმედებიდან „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს", „კეთილმა სძლია ბოროტსმა" (აშშ), „ახალი ადამიანის დაბადება" (ესპანეთი), „ხალხთა ტრაგედია" (რუსეთი), „პრომეთე" (აშშ), „ადამიანი და მზე" (საქართველო) და მრავალი სხვა, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუპოვეს შემოქმედს და ქართველ ერს. როგორც დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მატარებლის, ზ. წერეთლის შემოქმედებაში ეროვნული სული პირველად პიკასომ შენიშნა, როდესაც მას „ქართველი მხატვარი" უწოდა. და ეს არაერთხელ აღნიშნეს შაგალმა, სალვადორ დალიმ, სიკეიროსმა და სხვა მსოფლიო ხელოვნების პატრიარქებმა.

ფართო საზოგადოებისათვის შეიძლება არც იყოს ცნობილი, რომ ზ. წერეთლის შემოქმედების საწყისი ეროვნულ ფესვებში დევს. იგი ცნობილი მოღვაწის, აკადემიკოს გ. ჩიტაიას ხელდასხმით ეზიარა ქართულ მრავალსაუკუნოვან კულტურულ მემკვიდრეობას, ჩასწვდა ხალხური აზროვნების ფესვებს – იგი 60-იანი წლების დიდი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციების შეუცვლელი წევრი იყო. მონაწილეობდა ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, იმერეთის, კახეთის, ქართლის, სვანეთის მრავალჯერად ექსპედიციებში. ფეხით მოიარა საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული, მხატვრის მუდამ მაძიებელი თვალით აღიქვა თავისი ქვეყნის ხელთუქმნელი ბუნების სილამაზე. იგი ერთნაირი ინტერესით ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს, აკეთებდა ეთნოგრაფიულ ჩანახატებს თუ არქიტექტურულ ანაზომებს.

მისი პირველი გამოფენა, კახეთის სოფ. აკურის ეთნოგრაფიულ მასალებზე, მოეწყო რუსთაველის პროსპექტზე, ერთ პატარა დარბაზში, რომელმაც მხატვარს პირველი აღიარება მოუტანა.

გიორგი ჩიტაიას ეროვნული სკოლა გახდა ზურაბ წერეთლის ცხოვრების მეგზური და დღემდე იგი მის თაყვანისმცემლად რჩება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული მონუმენტური სკულპტურის დეკორებში, მოზაიკებში, ყველგან გამოსჭვივის ქართული ხალხური ორნამენტის მრავალსახეობები და ეთნოგრაფიული დეტალები. ყველგან, სადაც კი საშუალება ეძლევა, ცდილობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მისი თაოსნობით პარიზში, „ბუნება და ადამიანის" მუზეუმში მოეწყო საქართველოს მოძრავი ეთნოგრაფიული გამოფენა, ხოლო ნიუ-იორკში – საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის გამოფენა.

ზურაბ წერეთელი დღემდე მხარში უდგას ისტორიულ მეცნიერებას, რომელსაც 80-90 წლების კატაკლიზმებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებთან ერთად, სერიოზული დარტყმა მიაყენა. განუკითხაობის პერიოდში, როდესაც საქართველოში არ აღმოჩნდა ქველმოქმედება მეცნიერების დასახმარებლად, მას ისევ ზურაბ წერეთელი დაუდგა პატრონად. უპირველესად იგი სათავეში ჩაუდგა „საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს" და თავის თავზე აიღო პატრიოტული საქმიანობა ქართული კულტურული საგანძურის გადასარჩენად.

მან ღირსეულად მოიხადა თავისი მამულიშვილური ვალი სამშობლოს წინაშე გ. ჩიტაიას „შრომების" ხუთტომეულის გამოცემით, რომელიც დიდი მნიშვნელობის მოვლენად იქცა. ხოლო ხუთტომეულს დართული მისი „ეთნოგრაფიული ალბომი" შინაარსობრივად სრულ წარმოდგენას ქმნის ქართველი ხალხის ეთნიკური, სამეურნეო, სოციალურ და სულიერ კულტურაზე.

მაგრამ მარტო ამით არ შემოიფარგლება ხელოვანის მზაობა – გვერდში ამოუდგეს ეროვნული საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას.

ზ. წერეთლის იდეით, საქართველოს სახელოვანი წარსული მონუმენტურ ხელოვნებაში პოვებს განხორციელებას. თბილისში, ყენის მთაზე, საქართველოს ისტორია გაცხადდება ისტორიულ-მემორიალურ კომპლექსში „საქართველოს მატიანე". ეს იქნება საქართველოს ისტორიის სიმბოლური გამოხატულება და თავისი იდეით უნიკალურიც, რადგან მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას მსგავსი მონუმენტური მუზეუმი არ შეუქმნია.



„საქართველოს მატიანეს", ვიზუალური შემეცნებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ჯერ კიდევ ილია გულისტკივილით წერდა: „აბა, შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არ ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არ ჰქონდეთ ალმართული. რისთვის? სულ იმისათვის, რომ დიდმა და პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი. ეს მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა, ერის გაცოცხლებისათვის, კარგად იცოდნენ ერის გულშემატკივართა სხვა ქვეყნებში".

ქართველი ხალხის ისტორია ნათელყოფს, რომ ქვეყნისათვის ყველაზე გაუსაძლის პერიოდებში გაათმაგდებოდა წინაპართა გმირული წარსულის მოგონება, რომელიც ლეგენდებით, თქმულებებით თაობებს გადაეცემოდა მისაბაძად და სამაგალითოდ.

სწორედ ამიტომაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობით ვუყურებთ დღეს ზ. წერეთლის „საქართველოს ისტორიის მატიანეს", როგორც ქართველი ერის ერთიანობის, ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული სულის განმტკიცების დიდებულ ტაძარს.

ზ. წერეთელმა შექმნა თავისთავადი, ორიგინალური ხელოვნება, რომელიც ეროვნული ფორმით გამოხატავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, ამიტომაც დაიკავა გამორჩეული ფენომენის ადგილი მსოფლიო ხელოვნებაში.

**P.S. დღეს, როდესაც აირია მტერი და მოყვარე, ხალხი გაურკვევლობაშია, მავანნი ცდილობენ შენარჩუნდეს ქვეყნის დაქუცმაცება, ებრძვიან ქვეყნის გაერთიანების კეთილშობილურ იდეას, ცდილობენ ეროვნული ფასეულობების შერყვნას სხვადასხვა ხერხებით, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.**

**ხშირად წინდაუხედაობას ვიჩენთ და სენსაციისთვის პოპულარიზაციას ვუწევთ ჩვენთან დაპირისპირებული ძალების მოსაზრებებს, რაც მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და, მეორე მხრივ, შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.**

**ჩვენი სახელოვანი წინაპრების ძეგლების მიმართ აუგად ნახსენები თითოეული ფრაზაც იმ სამარცხვინო პოლიტიკის მხარდაჭერაა, რომელიც ებრძვის ჩვენს სულიერებას, იმ ძალას, რომელმაც დღემდე მოიყვანა ქართველი ერი.**

**მარიამ ლორთქიფანიძე,**
აკადემიკოსი;

**თამილა ცაგარეიშვილი,**
პროფესორი.

**სურათებზე: ზურაბ წერეთელი ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში; ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი წმიდა გიორგის მინანქრის ხატი.**

ფესვები

# ქართული ხალხური სიმღერის ქომაგნი

**დიდი დაინტერესება გამოიწვია ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ლიანა ტატიშვილის შემოქმედებითმა საღამომ, რომელსაც ლირიული ფონი შეუქმნა ანსამბლმა „ცხრამუხამ". ამ ანსამბლს ხელმძღვანელობს თავად ქალბატონი ლიანა. ამ ანსამბლის წინამორბედი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა, „ცხრამუხა" 1978 წელს ჩამოყალიბებული „დისკანტი" იყო, ხოლო 1990 წლიდან ეწოდა „ცხრამუხა" – ხაშურის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი. ამ ანსამბლმა უკვე 4 თაობა აღზარდა, ანუ 100-ზე მეტი მომღერალი. „ცხრამუხა" თანამშრომლობდა საქართველოს სასიქადულო ხელოვნების მოღვაწეებთან, ჯანსუღ კახიძესთან, თემურ ქევხიშვილთან, ნანი ბრეგვაძესთან და ბუბა კიკაბიძესთან. მისი ძირითადი ორიენტაცია ქართული ხალხური სიმღერაა.**

ანსამბლის წევრები წარმატებით მონაწილეობენ ფოლკლორულ ფესტივალებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: თურქეთში – ართვინის კავკასიის ფოლკლორულ ფესტივალზე, ბულგარეთში გამართულ ვარნის, ბურგასის და როზოპოლის ფესტივალებში, მოსკოვში – ქართული სკოლისა და საბავშვო ბაღის პრეზენტაციაზე, ამერიკისა და ირლანდიის საელჩოებში, სანკტ-პეტერბურგში და სხვა. მოსავლის აღების ზეიმზე მიიწვიეს სირიასა და ალეპოში. იყვნენ იტალიის ქალაქ რიმინში, ბუდაპეშტში კი გამართეს კონცერტები ქართველი ებრაელებისთვის.

ანსამბლის წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ კომპოზიტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, გოგებაშვილის მედლისა და ღირსების ორდენის კავალერს ლიანა ტატიშვილს, რომლის შემოქმედებით საღამოსაც უმასპინძლა ახლახან ხელოვნების მუშაკთა სახლმა, რითაც საფუძველი დაედო ანსამბლ „ცხრამუხასა" და ხაშურელი ინტელიგენციის შემოქმედებით კავშირებს თბილისის საზოგადოებასთან, თაოსანი კი გახლავთ კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე ციცო ჯაფარიძე.

ამ ღონისძიების განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვით ხაშურის გამგებელს რეზო ჯობაძეს და შიდა ქართლის გუბერნატორს მიხეილ ქარელს.

„ცხრამუხას" წევრებს დაუვიწყარი შეხვედრები ჰქონდათ ბორჯომის მე-3 საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვნების ზეიმის" მონაწილეებთანაც. ამჟამად ანსამბლი ემზადება საფრანგეთის ქალაქ შამბერის ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პრესსამსახური.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 183, კვირა, 8 აგვისტო, 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერაყში ორი თურქი მძევალი სიკვდილით დასაჯეს



**თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ ერაყში სიკვდილით დასაჯეს კიდევ ორი თურქი მძევალი. ერთი მათგანი გასულ კვირას დაკავებული სატვირთო მანქანის მძღოლია, მეორე მძევლის ვინაობა კი ჯერჯერობით არ არის დადგენილი.**

გარდა ამისა, ისლამმა ექსტრემისტებმა აიძულეს, თანამდებობიდან გადამდგარიყო ანბარის პროვინციის გუბერნატორი, როცა მძევლად აიყვანეს მისი სამი ვაჟი. განცხადება გადადგომის შესახებ აბდულ ქარიმ არ-რავიმ წაიკითხა მუხლებზე დაჩოქილმა, მის ზურგს უკან კი ფრიალებდა „ათ-თაუჰიდ ვალ-ჯიჰადის“ დაჯგუფების დროშა, რომელსაც ხელმძღვანელობს ისლამი ექსტრემისტი, წარმოშობით იორდანიელი აბუ მუსაბ აზ-ზარქავი. ეს კადრები პარასკევს გადასცა „ალ-ჯაზირას“ ტელეკომპანიამ.

მას შემდეგ, რაც გუბერნატორი დათანხმდა თანამდებობიდან გადადგომას და დაგმო ის „დანაშაულობანი“, რომლებიც ამერიკელთა წაქეზებით ჩაიდინა, მისი ვაჟები გაათავისუფლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ანბარის პროვინცია, რომელიც ძირითადად სუნიტებითაა დასახლებული, ამ ბოლო ხანებში გახდა ერაყის ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი ცენტრი.

# „ალ-ყაიდამ“ იტალიას ულტიმატუმის შესახებ შეახსენა

**„ალ-ყაიდასთან“ დაკავშირებული დაჯგუფება კვლავ ემუქრება ტერორისტული აქტებით იტალიას, თუ ეს ქვეყანა 15 აგვისტომდე არ გამოიყვანს ჯარებს ერაყიდან. დაჯგუფების მიერ გავრცელებული განცხადება განათავსეს ინტერნეტში ერთ-ერთ ისლამურ საიტზე.**

„დაზავების ვადა, რომელიც შემოგთავაზეთ ერაყიდან ჯარების გამოსაყვანად, თითქმის ამოიწურა. ჩვენი უჯრედები რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში მზად



არიან, შეასრულონ დაკისრებული მისია დაზავების ვადის ამოწურვის – მიმდინარე თვის 15 რიცხვის შემდეგ“, – ხაზგასმულია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ „აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადების“ მებრძოლები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადებით დაჯგუფების წევრებმა იტალიას წინათაც მიმართეს. 1 აგვისტოს მოთარეშეები მოითხოვდნენ, რომ იტალიის მთავრობას 15 დღის განმავლობაში გამოეყვანა თავისი ჯარები ერაყიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯგუფება იმუქრება, რომ განახორციელებს ტერორისტულ აქტებს იტალიის ტერიტორიებზე, აგრეთვე მოაწყობს თავდასხმებს იტალიის მოქალაქეებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტერორისტები მანამდე იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონისაც ემუქრებოდნენ.

# პალესტინელები ეგვიპტიდან ბრუნდებიან

**ღაზის სექტორისა და ეგვიპტის საზღვარზე მდებარე ქალაქ რაფაჰში გახსნილ გამშვებ პუნქტს უამრავმა პალესტინელმა მიაშურა.**

რამდენიმე კვირის წინ ისრაელის თავდაცვის არმიამ, რომელიც აკონტროლებს საზღვარს, დახურა ეს საკონტროლო-გამშვები პუნქტი უშიშროების სფეროში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ყოველივე ამის შედეგად, ეგვიპტეში დარჩა ორი ათასამდე პალესტინელი, რომელთაგან მრავალი იძულებული გახდა სასურსათო დახმარების მიღების მიზნით მიემართა წითელი ნახევარმთვარისათვის.

დღის ბოლოსათვის რაფაჰის საკონტროლო-გამშვებმა პუნქტმა გაატარა 1700-მდე კაცი. მათი უმრავლესობა იძულებული იყო და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღამეს ათევდა ტერმინალის შენობაში, იკვებებოდნენ იმით, რასაც წითელი ნახევარმთვარის წარმომადგენლები მისცემდნენ. ამ იმპროვიზებულ ბანაკში, რა თქმა უნდა, არ იყო შექმნილი იდეალური პირობები, რამაც შეუწყო ხელი დაავადებების გავრცელებას. იყო შემთხვევები, როცა ფეხმძიმე ქალებს მოწყდათ მუცელი.



ღაზის სექტორში დაბრუნების ნება რთავენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ტერმინალის შენობაში იმყოფებიან. მაგრამ უახლოეს დღეებში რაფაჰში ელიან კიდევ ასობით პალესტინელის ჩასვლას, ისინი საზღვრის გადაკვეთის მოლოდინში იმყოფებოდნენ კაიროსა და ეგვიპტის სხვა ქალაქების სასტუმროებში.

ისრაელმა, რომელიც ღაზის სექტორის ეგვიპტის საზღვარს უკვე თითქმის 40 წელია აკონტროლებს (მას შემდეგ, რაც ისრაელმა მოახდინა ღაზის სექტორის ოკუპაცია), გადაწყვიტა ჩაეკეტა საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რადგან დაზვერვამ გაავრცელა მონაცემები იმის თაობაზე, რომ პალესტინელი მოთარეშეები გეგმავდნენ თავდასხმებს არმიის ობიექტებზე. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელი მზად იყო, გაეხსნა მეორე გადასასვლელი საზღვარზე, თუმცა, პალესტინის ხელისუფლებამ ასეთ წინადადებაზე უარი განაცხადა, და აღნიშნა, რომ საერთაშორისო მორიგებების თანახმად, ისრაელს გახსნილი უნდა ჰქონდეს რაფაჰის საკონტროლო-გამშვები პუნქტი.

# ინტერნეტ-აუქციონზე „მიგ-29“ ავიაგამანადგურებელი გამოიტანეს

**ამერიკის შეერთებულ შტატებში პოპულარულ ინტერნეტ-აუქციონზე არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი მყიდველი, რომელიც დაინტერესდებოდა ექსპლუატაციისათვის სრულიად ვარგისი „მიგ-29“ ავიაგამანადგურებლის შესყიდვის შესაძლებლობებით, რომლის სასტარტო ფასიც აუქციონზე 3,5 მილიონი დოლარი იყო.**

ამერიკის ერთ-ერთი საინჟინრო ფირმის მტკიცებით, თვითმფრინავი შეისყიდეს ყირგიზეთში, იგი ჩინებულად არის შენახული, შეიძლება ითქვას, რომ „თითქმის ახალია“.

კომპანიის მონაცემებით თვითმფრინავი გამოუშვეს რუსეთში 1986 წელს. ეს გახლავთ ამ ავიაგამანადგურებლის სრული (არასაექსპორტო) ვერსია, იგი აღჭურვილია რადარებით და სხვა მოწყობილობით, რომლებიც გახსნეს და შეისწავლეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა. საინჟინრო კომპანია აცხადებს, რომ მზად არის „მიგ-29“ ავიაგამანადგურებელი „სერიოზულ მყიდველს“ მიაწოდოს შეერთებული შტატების ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში.



იგივე კომპანია ახლა ცდილობს, ასევე ინტერნეტის მეშვეობით გაყიდოს ამერიკული „ფ-18“ ავიაგამანადგურებელი, რომლის სასტარტო ფასი 1,5 მილიონი დოლარია. თუმცა, ჯერჯერობით არც ამ საქონელს გამოუჩნდა მუშტარი.

# კანქვეშ უსაფრთხოების მიკროჩიპებს ჩაუნერგავენ

**მექსიკის გენერალური პროკურატურის და პროკურატურასთან არსებული ინფორმაციის ეროვნული ცენტრის პასუხისმგებელ მუშაკებს კანქვეშ უნერგავენ ელექტრონულ მიკროჩიპებს, რომელთა საშუალებითაც ადვილად განსაზღვრავენ ამ ადამიანების ადგილსამყოფელს, რა მანძილზეც უნდა იყვნენ ისინი.**

ეს განაცხადა ცენტრის გახსნის ცერემონიაზე მექსიკის გენერალურმა პროკურორმა რაფაელ მასედო დე ლა კონჩამ. პირველი მიკროჩიპები „ჩაუნერგეს“ თვით გენერალურ პროკურორსა და მის მოადგილეებს. ამ პროცედურას გაივლის, აგრეთვე, პროკურატურისა და საინფორმაციო ცენტრის კიდევ 160 თანამშრომელი. ინფორმაციის ეროვნული ცენტრი, რომელიც სამშაბათს გაიხსნა, უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის გაცვლას მექსიკის ყველა შტატის საგამოძიებო ორგანოებს შორის, აგრეთვე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს.

ცენტრის გახსნის ცერემონიაზე გამოსვლისას მექსიკის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა აღნიშნა, რომ უახლესი ტექნოლოგიების მიუხედავად, ქვეყანას მაინც მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლა ელის დამნაშავეების წინააღმდეგ. „უწინარეს ყოვლისა, უნდა აღმოიფხვრას დამნაშავეებისა და ხელისუფლების სტრუქტურებში მოკალათებული მათი მფარველების დაუსჯელობა“, – დასძინა პრეზიდენტმა.

ამავე დროს მექსიკის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, პირებს, რომლებიც ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს – მკვლელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება – არ ექნებათ ვადამდე გათავისუფლების უფლება და ბოლომდე მოიხდიან სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს.

მექსიკის დამოუკიდებელ სამართალდამცველ ორგანიზაციათა მონაცემებით, ქვეყანაში ყოველდღიურად ხდება 222 მძიმე დანაშაული, თანაც, ყოველი ათი დამნაშავიდან რვა დაუსჯელი რჩება.

# მოკლედ

**გადადგა** პალესტინის ავტონომიის მთავრობის ორი მინისტრი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იუსტიციის მინისტრმა ნაჰედ არ-რა-



ისმა და დაგეგმვის მინისტრმა ნაბილ ქასისმა. როგორც არ-რაისმა განაცხადა მან შეიგნო, რომ „ვერაფრის გაკეთებას ვეღარ შეძლებდა ამჟამინდელი ქაოსისა და უწესრიგობის პირობებში“

* * *

**ნეჯეფში** ახალი ძალით განახლდა ბრძოლები. ქალაქის ქუჩებში გამოვიდა რადიკალური შიიტი-იმამის მუქტადა ას-სადრის ასობით შეიარაღებული მომხრე, რითაც მათ უგულებელყვეს ნეჯეფის ადმინისტრაციის ხელისუფალთა




მოთხოვნა შეიარაღებული დაპირისპირებების შეწყვეტის შესახებ.

* * *

**ლონდონში** დაკავებულ პროგრამისტს ბაბარ აჰმადს ჰქონდა კავშირი მოსკოვის „ნორდ-ოსტში“ განხორციელებული ტერორისტული აქტის მონაწილეებთან. დაკავებულს აღმოაჩნდა მოვსარ ბარაევის ელექტრონული მისამართი. ამერიკის ხელისუფლების მონაცემებით, ბაბარ აჰმადი ინტერნეტის მეშვეობით იქირავებდა ახალ-ახალ მოთარეშეებს და აგროვებდა ფულად სახსრებს „თალიბანის“ მოძრაობის დასაფინანსებლად.

* * *

**აზ-ზარქავიმ** სიკვდილით დასაჯა კიდევ ერთი ამერიკელი მძევალი. ეს შემზარავი კადრები აღბეჭდილია ვიდეოფირზე. სიკვდილის წინ მძევალმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, გამოიყვანოს ჯარები ერაყიდან. მძევალმა საკუთარი ვინაობაც დაასახელა: „მე ვარ ბენჯამინ ფორდი, კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ფრანცისკოდან“, – ასეთი იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

* * *



**როგორც** რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფის წევრები იტყობინებიან, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რა ბედი ეწიათ ზვავში მოყოლილ რუსეთის, უკრაინისა და ჩეხეთის მოქალაქეებს, რომლებიც ყირგიზეთში ცდილობდნენ ასვლას ჰან-ტენგრის პიკზე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი

## ◉ მიღწევა

### კაპრალის „ოქრო-ვერცხლი“

საქართველოს ათლეტიზმის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ სარალიძემ ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ედისონიდან შეგვატყობინა, რომ „ჰოლიდეის“ სპორტულ დარბაზში დაწყებული 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს ჩვენი გუნდის ქვესაშუალო წონის ათლეტმა სერგო მერაბიშვილმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა წოლჭიმსა და ამოწევაში, ბიცეპსებზე სიმძიმის აწევაში კი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

თსუ-ს ათლეტური კლუბის – „ამირანის“ აღზრდილი (მწვრთნელი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ სარალიძე) 20 წლის სერგო მერაბიშვილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჯარის კაპრალია.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

## ◉ წყალბურთი

### ნახევარფინალში გავიდნენ

**უკვე გაუწყეთ, რომ სტამბოლში მიმდინარეობს ახალგაზრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ისიპოლოს თასზე.**

პირველ ტურში საქართველოს ნაკრები სერბებს დაუზავდა (7:7), მეორე ტურში რუმინელებს სძლია 11:9, ხოლო მესამე შეხვედრა რუსებს მოუგო 9:4, მოაგროვა ხუთი ქულა და ბურთების უარესი შეფარდებით ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა. ნახევარფინალში ჩვენები ფრანგებს დაუპირისპირდებიან, ხოლო პირველ ადგილზე გასული სერბები თურქებს შეხვდებიან.

## ◉ ფეხბურთი



### შინ და გარეთ

გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა XVI ეროვნული ჩემპიონატის II ტურის რამდენიმე მატჩი. გაუწყებთ მათ შედეგებს: „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 0:0, „სიონი“ – „დილა“ 3:2, „ტორპედო“ – „ზესტაფონი“ 4:0.

II ტური დღეს დასრულდება „ვიტ ჯორჯიასა“ და თბილისის „დინამოს“ პრინციპული დუელით. ეს თამაში მცხეთის „არმაზის“ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება.

* * *

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ბუნდესლიგამ სტარტი ქართული ოინით აიღო. ახლავე მოგახსენებთ საქმის არსს – ეტყობა, მთლად გამართულად ვერც „დოიჩენერგო“ მუშაობს, თორემ ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ ძაბვის ვარდნის გამო სეზონის გახსნის მატჩი ერთი საათით გვიან არ დაიწყებოდა. ასეა თუ ისე, „ვერდერმა“ და „შალკემ“ ბოლოს და ბოლოს მაინც შეძლეს ბურთის გაგორება. მინდორზე შემცვლელად შესული პარაგვაელი თავდამსხმელის ვალდესის გოლმა (84-ე წუთი) გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა 1:0. აღსანიშნავია, რომ სტუმართა რიგებში დებიუტი ჰქონდათ მაისში მეტოქის შემადგენლობაში გაჩემპიონებულ აილტონსა და კრსტაიჩს, თუმცა, მათ მხოლოდ თითო სახიფათო მომენტის განიავება „მოახერხეს“. რაც შეეხება გელზენკირხენის კლუბის ქართველ ლეგიონერს **ლევან კობიაშვილს,** იუპ ჰაინკესი მას თავიდან ბოლომდე ენდო, თუმცა პასუხად ამჯერად „ყვითელი“ ბარათი მიიღო.

**საფრანგეთი.** I ტური. „ნიცა“ – „ლიონი“ 0:1.

გოლი: ელბერი (77-ე წუთი).

**ავსტრია.** I ტური. „გრაცერი“ – „შტურმი“ 1:0.

დამარცხებულთა შორის 62-ე წუთამდე ითამაშა **დავით მუჯირმა.**

**ბელგია.** I ტური. „მუსკრონი“ – „ანდერლეხტი“ 2:0.

**თურქეთი.** I ტური. „რიზე“ – „ფენერბარხჩე“ 2:2.

**შვეიცარია.** IV ტური. „ბაზელი“ – „ციურიხი“ 2:1.

10 ქულით გათამაშებას „ბაზელი“ ლიდერობს.

## ◉ ჭადრაკი

### ბოლო ტური გადაწყვეტს



**თურქეთის ქალაქ ურგუპში, სადაც 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა მიმდინარეობს, მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. შეჯიბრებაში საქართველოს 38 წარმომადგენელი მონაწილეობს. ზოგიერთ მათგანს საპრიზო სამეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვს.**

განსაკუთრებით წარმატებით თამაშობენ ათწლიანი გოგონები. მე-8 ტურში მერი არაბიძემ შავი ფიგურებით ნათია ჯალაბაძე დაამარცხა და, შესაძლოა, ჩემპიონობაც გაინაღდოს, რადგან უახლოეს მდევარს – ნასტასია ზიაზიულკინას, რომელიც მარიამ დანელიას დაუზავდა, ქულით უსწრებს. ბოლო ტურში სწორედ ეს მოჭადრაკეები შეხვდებიან ერთმანეთს. დანელია და არაბიძე 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

ვაჟებში 6 ქულა მოაგროვა ნოდარ ლორთქიფანიძემ, თუმცა, ბოლო ტურში წარმატების შემთხვევაშიც კი ძნელი სავარაუდოა საპრიზო სამეულში მოხვედრა, რადგან მას ნახევარი ქულით 4 მოჭადრაკე უსწრებს, ხოლო სომეხმა რობერტ აღასარიანმა სულაც 7,5 ქულა მოაგროვა.

თორმეტწლიანებში ნაზი პაიკიძე 6,5 ქულით (მე-8 ტურში ალინა კაშლიანსკაიას დაუზავდა) მეორე-მესამე ადგილებს იყოფს ანასტასია ბონდარუკთან. ნახევარი ქულით მეტი აქვს ლარა სთოქს. ნაზის ერთბაშად 6 მეტოქე ჩამორჩება თითო ქულით, მათ შორის არც ერთი ქართველი არ არის. ბოლო ტურში პაიკიძე შავი ფიგურებით სალლარა ილდშირინოვას შეხვდება.

ლევან ბრეგაძემ მე-8 ტურში მხოლოდ ნახევარი ქულით გაიმდიდრა მონაგარი და ახლა 6 ქულით მესამე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებს.

თოთხმეტწლიან გოგონებს 8 შესაძლებლიდან 8 ქულით სათავეში უდგას უკრაინელი საერთაშორისო ოსტატი ანა მუზიჩუკი, რომელიც ბოლო ტურში შავი ფიგურებით მალონა ბოკუჩავას ეთამაშება. ზუგდიდელმა მოჭადრაკემ გუშინწინ ზოია სევერიუხინა დაამარცხა და 6 ქულა მოაგროვა. 7 ქულით მეორეზეა ელენა თაისოვა. ანა ბუცხრიკიძეს და მერი ქორქოლიანს 5-5 ქულა აქვთ, სოფიკო გურამიშვილს – 4,5 ქულა.

ვაჟებში გიორგი მარგველაშვილს ნახევარი ქულაც ჰყოფნის ჩემპიონობისთვის, რადგან მე-8 ტურში ლუკა პაიჭაძეს სძლია და 7 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია. მას თითო ქულით ჩამორჩება 5 მოჭადრაკე, მათ შორის – ლუკა პაიჭაძე და დავით ბენიძე. არ არის გამორიცხული, რომ კვარცხლბეკის სამივე საფეხური ქართველებმა დაიკავონ.

თექვსმეტწლიანებში მირანდა მიქაძემ ჰანა ლეკსს სძლია, ხოლო მაკა ფურცელაძე საბინა ფოიმორს დაუზავდა. ორივე ქართველ მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს და ბოლო ტურში ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. 7 ქულით ვალენტინა გუნინა ლიდერობს. ვაჟებში ამდენივე ქულით აზერბაიჯანელი დიდოსტატი რაუფ მამედოვი პირველობს. დავით ჯოჯუას და თორნიკე სანიკიძეს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

თვრამეტწლიანებში სალომე მელიამ შავი ფიგურებით იოანა ვორეკს სძლია და ბოლო ტურის წინ (ექვსქულიან ნინო ბაციაშვილს ხვდება) 6,5 ქულით I-II ადგილებს იყოფს ბიანკა მურენთან. ანა გავაშელმა საერთაშორისო ოსტატი ვერა პაპანდოპულო დაამარცხა და 5,5 ქულით პირველ სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

ვაჟებში ამდენივე ქულა მოაგროვეს მალხაზ სულაშვილმა და ლევან ფანცულაიამ. ბოლო ტურში მათი დუელი გაარკვევს, ვის რა შანსი აქვს მედლის მოსაპოვებლად. ხუთი მოჭადრაკე მათ ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს.

**ლექსო ცინცაძე.**

## ◉ ათლეტიზმი

### ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

### აუზიდან – ფიცარნაგზე



გუჯა ელგუჯაური.



ლევან ჭელიშვილი.

განათლების სამინისტროსთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების წყალბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები ძირითადად სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ საცურაო აუზში ეუფლებიან საყვარელი სახეობის საიდუმლოებებს. აქვე ფუნქციონირებს ათლეტური დარბაზი საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ქალბატონ **ნაზი გოგიშვილის** ხელმძღვანელობით, რომელიც ბრწყინვალედ ართმევს თავს ჭაბუკ წყალბურთელთა მომზადებას.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ჭაბუკი წყალბურთელების **გუჯა ელგუჯაურისა** (სურ. 1, 4) და **ლევან ჭელიშვილის** (სურ. 2,3) შესრულებით.

**მკერდის კუნთებისათვის**

**1. წოლჭიმი უარყოფითად დახრილ დაფაზე (სურ. 1).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**მხრის კუნთებისათვის**

**2. აჭიმვა მკერდიდან ჰანტელებით (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**მხრის ორთავა კუნთების ბიცეპსებისათვის**

**3. დახრილ დაფაზე ფიქსირებული იდაყვებით შტანგის აწევა (სურ. 3).**

**4. იგივე ვარჯიში ხელების შებრუნებული ტაცით (სურ. 4).**

მესამე და მეოთხე ვარჯიშებს ეთმობა 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**


1


2


3


4

## ლიდერები

# მთლიანი შიდა პროდუქტის ნამდვილი სიმაღლე,

### ანუ ისტორიაში პიროვნების სიმაღლის შესახებ




**ერთხელ პუტინმა კასიანოვი გამოიძახა და ჰკითხა:**
**– რა სიმაღლის ხართ?**
**– 186 სანტიმეტრი, – უპასუხა მაშინდელმა პრემიერმა.**
**– არ არის სწორი. 6-8 პროცენტი უნდა იყოს...**

**კაცმა რომ თქვას, ამ ხუმრობაში მხოლოდ ხუმრობის ნატამალია. როგორც ფსიქოლოგებმა გაარკვიეს, საკუთარი ფიზიკური კონდიციები პოლიტიკოსს არანაკლებ უნდა აღელვებდეს, ვიდრე ქვეყნის მთელი ეკონომიკური მაჩვენებლები ერთად აღებული. ხოლო ლიდერის სიმაღლესა და ადგილზე ხშირად მთელი ხალხის ბედია ხოლმე დამოკიდებული.**

## ფალოსი და ბუმბულები

**როგორი უნდა იყოს იდეალური მმართველი საზოგადოების აზრით? უნდა იყოს ძლიერი, ბრძენი, სამართლიანი, ნამდვილი „ხალხის მამა“, მისი წინამძღოლი. მაგრამ ძნელია, ერთბაშად გაარკვიო, ბრძენი არის ბელადი თუ სულელი, სამართლიანი, თუ სასტიკი. მისი ღონე და ფიზიკური შესაძლებლობები კი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.**

შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დროსა და ყველა ხალხში ქვეყნის მმართველები ცდილობდნენ, გაესვათ ხაზი თავიანთი მამაკაცური ღირსებისათვის – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. აფრიკელი ველურების მიერ კლდეზე შესრულებულ ნახატებში ბელადები ყველა დანარჩენებზე გაცილებით მაღლები არიან და მათ „ამშვენებს“ არანორმალურად გრძელი და მსხვილი ფალოსი, რაც თითქოს იყო მათი ლიდერობის უცილობელი დადასტურება. ინდიელთა ბელადებს ამშვენებდათ გრძელი და ლამაზი ფრთებისგან დამზადებული თავსამკაული. ოქროს გვირგვინები მარტო მეფეების სიმდიდრის სიმბოლო როდი იყო. ისინი მონარქებს აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ ირგვლივ მყოფთა შორის გამორჩეულიყვნენ სიმაღლით. ზოგჯერ მეფეები სხვადასხვაგვარ ეშმაკობას მიმართავდნენ ხოლმე – ლუდოვიკო მე-14, რომლის სიმაღლე მხოლოდ 156 სანტიმეტრი იყო, ატარებდა ფუმფუმა პარიკს და ფეხსაცმელებშიც სპეციალურ საფენებს იწყობდა.

## ბელადების სიმაღლე

**მართალია, ახოვანება „იდეალური ბელადის“ სახის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში საქმე გაცილებით უფრო** რთულადაა. ავიღოთ თუნდაც რუსეთის ისტორია ამ ბოლო 100 წლის მანძილზე. ნიკოლოზ მეორის შემდეგ (მეფის სიმაღლე 174 სანტიმეტრი იყო) ქვეყანაში ძალაუფლება თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე ხელთ ეპყრა „ტანდაბალ“ ბელადებს. ლენინის მთელი გენია სულ 164 სანტიმეტრის სიგრძის სხეულში ეტეოდა, სტალინის კი – 162 სანტიმეტრის იყო (თუმცა ამის თაობაზე თვითმხილველები სხვადასხვა ვერსიას გამოთქვამდნენ – 152 სანტიმეტრით დაწყებული და 175 სანტიმტრით დამთავრებული!). ხრუშჩოვი, რომელიც ამავე დროს საკმაოდ ჩასუქებულიც იყო, სიმაღლეში მხოლოდ 166 სანტიმეტრს აღწევდა. მათ ფონზე ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი გოლიათად ჩანდა, თუმცა, საშუალო სიმაღლის ადამიანი იყო – 176 სანტიმეტრი. ასევე საშუალო სიმაღლის ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს მიხეილ გორბაჩოვიც – 175 სანტიმეტრი.

ჰოდა, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ რუსეთში წარმოიქმნა კარდინალური გარდაქმნების აუცილებლობა. ქვეყანას სჭირდებოდა გარეგნულად მძლავრი ლიდერი. 188 სანტიმეტრის სიმაღლის ბორის ელცინი თავისი სიარულის მანერით, მიხრამოხრით, მიმიკითა და ჟესტებით იდეალურად შეესაბამებოდა „რუსული დათვის“ სახეს, რომელმაც ერთი ტორის დაკვრით გადატეხა ხერხემალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მაგრამ იგივე ფიზიკურმა კონდიციებმა მოგვიანებით ველარ დაიცვეს ელცინი თანამედროვეთა რისხვისგან. პირიქით, ტანმაღალი და ტანსრული პრეზიდენტი ხალხის თვალში გახდა „გამძღარი ანტიხალხური რეჟიმის“ განსახიერება. ასე რომ, რუსეთის უზენაესი ხელისუფლების კლება წონასა და სიმაღლეში სავსებით მოსალოდნელი იყო.

ერთხელ კორესპონდენტებმა ჰკითხეს ბორის ელცინს, თუ რატომ შეაჩერა მან თავისი არჩევანი პუტინზე, ადამიანზე, რომლის სიმაღლე მხოლოდ 170 სანტიმეტრია, წონა კი – 75 კილოგრამი?

ელცინმა აღიარა, რომ ამის გამო პირველ ხანებში მართლაც ყოყმანობდა, რადგან „ძალზე დაბალი“ ეჩვენებოდა თავისი მემკვიდრე. მაგრამ ეს ხომ მთავარი არ იყო – პუტინს სხვა უპირატესობები ჰქონდა.

სხვათა შორის, საზღვარგარეთ პუტინს უფრო კეთილგანწყობილად შეხვდნენ, ვიდრე მის წინამორბედს. ამას განაპირობებდა თუნდაც ის, რომ ელცინი ერთ-ერთი „ყველაზე ტანმაღალი“ იყო, ეგრეთ წოდებული, „რვა დიდი ქვეყნის“ სახელმწიფოთა მეთაურებს შორის. ახლა კი რუსეთის პრეზიდენტს თავისი კოლეგების რიგში სწორედ ის ადგილი უკავია, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მისი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობებს. ერთი შეხედვით ლოგიკურია, რომ პუტინი ამერიკის პრეზიდენტ ბუშზე დაბალია (ბუშის სიმაღლე 180 სანტიმეტრია), მაგრამ თითქმის მისი სიმაღლისა არიან პუტინის მეგობრები – იტალიის პრემიერი ბერლუსკონი (173 სანტიმეტრი) და გერმანიის კანცლერი შრედერი (174 სანტიმეტრი). სამაგიეროდ, პუტინი იაპონიის პრემიერ კოიძუმისთან გვერდით (169 სანტიმეტრი) უფრო ტანმაღალი და ტანსრული ჩანს. ასე რომ, სამხრეთ კურილიის კუნძულების სადავო საკითხში რუსეთის პრეზიდენტს შეუძლია, „ზემოდან დაჰყურებდეს“ თავის ოპონენტს!

თუ ადამიანი უკმაყოფილოა თავისი სიმაღლის გამო, მისთვის სულერთი არ არის, თუ როგორ გამოიყურება იგი ირგვლივმყოფთა თვალში.

იხ. მე-9 გვ.

## კონსილიუმი

# მიწიერი სიცოცხლის ნახევარს რომ გალევთ...

**როგორც წესი, ამ თარიღს არ აღნიშნავენ, მიღებული არ არის – ცუდი ნიშანია. მამაკაცების დიდი უმრავლესობა საკუთარ მე-40 დაბადების დღეს წყნარად, მყუდრო ოჯახურ გარემოში ზარ-ზეიმისა და ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების გარეშე აღნიშნავს. სპეციალისტები ამ ტრადიციას პატივისცემით ეკიდებიან: ამ მისტიკურ ჩვევას სავსებით კონკრეტული აზრი გააჩნია. ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლაი გოგოლი, ალექსანდრე ბლოკი, ოლეგ დალი, ვლადიმერ ვისოცკი, ვლადისლავ და ევგენი დვორჟეცკები, სერგეი სუპონევი... იმქვეყნად წასულთა ამ სამწუხარო სიაში ბევრი ცნობილი მამაკაცის სახელია. მაინც რა არის ეს? – ბედი, ტრაგიკულ გარემოებათა თანხვედრა, შემთხვევითი დამთხვევა? გადავწყვიტეთ, პასუხისათვის ასტროლოგის, კარდიოლოგის, ფსიქოანალიტიკოსის, ენდოკრინოლოგისა და პათოლოგოანატომისთვის მიგვემართა.**

## ყოფნა-არყოფნა – საკითხავი აი ეს არის

**გრიგორ კვაშა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სტრუქტურული ჰოროსკოპის შემქმნელი, მრავალი წიგნის ავტორი:**

– სტრუქტურული ჰოროსკოპის თანახმად, 40 წლისთვის მამაკაცი 12 ასაკობრივი პროგრამიდან 8-ს გაივლის: მამლისას (დაბადებიდან ერთ წლამდე), მაიმუნისას (წლიდან 3 წლამდე), თხისას (3-დან 7 წლამდე), ცხენისას (7-დან 12 წლამდე), ხარისას (12-დან 17 წლამდე), ვირთხისას (17-დან 24 წლამდე), ტახისას (24-დან 31 წლამდე) და ძაღლისას (31-დან 40 წლამდე).

ძაღლის ასაკის მიწურულს ეს პროგრამა ანაზდად კრიზისს განიცდის, სოციალური პერიოდის ყველა მიღწევა ადამიანს მნიშვნელოვანი აღარ ეჩვენება. ახლა მას სხვა სამყარო, სხვა იდეალები იზიდავს. მას ესმის, რომ წლები გადის და, რაც შეიძლება, მეტი უნდა მოასწროს, ამიტომაც იწყებს გაშმაგებულ აქტიურობას ყველა ფრონტზე. არადა, ძალა აღარა აქვს... მამაკაცი კვლავაც აჭერს გაზზე, ბენზინის ავზი კი თითქმის ცარიელია. ამიტომ ხომ არ მოდის ამ ასაკზე ყველაზე მეტი უეცარი სიკვდილის, დეპრესიების და თვითმკვლელობების შემთხვევები? ამ დროს მისი ეპიდემიური დაავადებისგან გარდაცვალებაც კი არ მეტყველებს სიკვდილის შემთხვევითობაზე, ხოლო ძალადობრივი სიკვდილი, ვთქვათ, დუელი, უფრო თვითმკვლელობას ჰგავს, ვიდრე შემთხვევით დაღუპვას.



ვლადიმერ მაიაკოვსკი.

*შესანიშნავი რუსი მწერლის მიხეილ ზოშჩენკოს თქმით (ზოშჩენკო სერიოზულად იკვლევდა მსოფლიო კულტურის დიდ მოღვაწეთა ადრეული შემოქმედებითი გამოფიტვის მიზეზებს), მაიაკოვსკი მორალურადაც და ფიზიკურადაც უკიდურესად გამოფიტული იყო: „პოეტი წლითიწლობით სულ უფრო უარესად გრძნობდა თავს. თავის ტკივილი, მოთენთილობა და უღონობა სულ უფრო მეტად ეუფლებოდა. პოეტი თავის ხშირ უქეიფობას ხან დაწყებულ ტუბერკულოზს მიაწერდა, ხან თამბაქოს. მან თამბაქოს წევას თავი დაანება, სმასაც შეეშვა, მაგრამ უკეთესობა, არ უგრძვნია. დაღლილი და დასუსტებული ტვინი დიდად არ ზრუნავს იმ შიდა მეურნეობაზე, რომელსაც თავად განაგებს. სწორედ ამან მიიყვანა პოეტი დაღუპვამდე“.*

## სულის მიწისძვრა

**კარინა გიულაზიზოვა, ანალიტიკოს-ფსიქოლოგი:**

– 30-40 წლის ასაკში ყველაზე ხშირია ფსიქოლოგიური კრიზისი. თავლატეხილ პრობლემებთან გამკლავებაში კაცობრიობის ძლიერ ნახევარს საზოგადოებრივი სტერეოტიპებითა და ტრადიციული აღზრდით თავსმოხვეული მრავალ-



ოლეგ დალი.

რიცხოვანი კომპლექსები და მკაცრი შეხედულებები უშლის ხელს. მამაკაცი მარჩენალი, ლიდერი, სუპერმენი, ოჯახის ბურჯია. იგი გონების კარნახით უნდა ცხოვრობდეს, და არა ემოციებით, – ბავშვობიდანვე ჩააგონებენ მას.

გადის წლები და ქცევის ასეთი მოდელი მკვიდრდება. ადრიანი ემოციურად შეზღუდული, სულიერად განუვითარებელი იზრდება, არ ძალუძს ადეკვატურად აღიქვას მის გარშემო არსებული ცხოვრება. სულიერი ტკივილის მოხსნა მას საკუთარი თავისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებით, ქანცისგამწყვეტი მუშაობით, ხასმელით, წარმოუდგენელი ფიზიკური დატვირთვით უადვილდება. უძილობა, თავის ტკივილი, ჰიპერტონია, კუჭის წყლული, სქესობრივი უძლურობა – ასეთი გახლავთ ძალაგამოლეული მამაკაცების დაავადებათა არასრული სია. და რა გასაკვირია, რომ 40 წლის ასაკში ბევრი მათგანი ნიტროგლიცერინის გარეშე აღარ გამოდის ქუჩაში, 42 წლის ასაკში კი გადატანილი ინფარქტის ან ინსულტის შედეგად ინვალიდიც კი ხდება.

იხ. მე-10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირუსი

# ადამიანებზე ნადირობა

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მარტო ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე გამოჩნდა 40 ახალი ინფექციური დაავადება. საიდან ჩნდება ეს ინფექციები და როგორ ვებრძოლოთ მათ?**

ყოველწლიურად მწვავე ფორმის ვირუსული ინფექციები მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს იწვევენ. ერთის მხრივ, გვიბრუნდება უკვე კარგა ხნის წინ მივიწყებული, და, თითქოსდა, უკვე დამარცხებული დაავადებები. მეორე მხრივ კი თავს იჩენენ ახალ-ახალი საშიში ვირუსები – იგივე ატიპიური პნევმონია და „ადამიანის" ფრინველის გრიპი.

თავისი ბუნებით ვირუსს აქვს ძალზე მარტივი კონსტრუქცია, რაც მას საშუალებას აძლევს სწრაფად შეიცვალოს, „გადაეწყოს" ადამიანის ორგანიზმზე, დადგება მომენტი, როცა, ერთი შეხედვით, უკვე დამარცხებული ინფექცია კვლავ იჩენს თავს ახალი სახით და იწვევს ეპიდემიას.



**გრიპი: ფრინველისგან მოძღვნილი „ნობათი"**

მარტივი აგებულების მიუხედავად, ვირუსები კვლავ რჩება გენეტიკურ გამოცანად. უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ გრიპის ვირუსი შედგება რვა ძირითადი გენისგან – ადამიანის მრავალათასიან გენურ შენარჩევთან ეს მოსატანიც კი არ არის. მეცნიერები ახერხებენ შექმნან სულ უფრო სრულყოფილი ვაქცინები. და მაინც, ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა შორის, გრიპი სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვით დგას მესამე ადგილზე ტუბერკულოზისა და მენინგიტის შემდეგ. **დ.ი. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დიმიტრი ლვოვის** აზრით, უახლოეს წლებში სწორედ გრიპს შეუძლია მიაყენოს კაცობრიობას უდიდესი ზიანი.

– ჩვენში გრიპს რატომღაც ეკიდებიან როგორც ბანალურ სურდოს და ივიწყებენ, რომ იგი საშიშია მრავალი გართულების გამო. არადა, გრიპი, რომელიც ყოველ შემოდგომაზე „მოულოდნელად" გვესტუმრება ხოლმე, პლანეტაზე ყოველდღიურად მილიონ ადამიანს კლავს... გრიპი ფრინველის ინფექციაა. თუ ადამიანებში ცირკულირებს სამი სახეობის ვირუსი, ფრინველებში 15 სახეობის ვირუსია ცნობილი. ფრინველის გრიპით აზიაში უკვე დაიხოცა ას მილიონ ფრთაზე მეტი ფრინველი. არის ადამიანთა დაავადების შემთხვევები, რომელთაგან 30 ავადმყოფის გარდაცვალებით დასრულდა. საბედნიეროდ, არსებობს მოლეკულური მექანიზმები, რომლებიც უშლიან ხელს ერთი სახეობიდან მეორეზე ვირუსის გადაცემას. სწორედ ამიტომ არ არის აქამდე ფრინველის გრიპის პანდემია. მაგრამ ასეთი თანაფარდობა საკმაოდ ადვილად შეიძლება დაირღვეს. თუ იგი გასცდება თავისი სახეობის ფარგლებს, მაშინ ნახევარი წლის განმავლობაში ამ სენით შეიძლება დაავადდეს მილიარდზე მეტი ადამიანი.

მეცნიერებმა გამოჰყვეს მუმიის ქსოვილებიდან, სულაც არ წააგავს იმ ვირუსებს, რომლებიც იწვევენ დაავადებას ჩვენს დღეებში.

იხ. მე-11 გვ.

ლიდერები

# მთლიანი შიდა პროდუქტის ნამდვილი სიმაღლე,

(მერვე გვერდიდან)

მაგალითად, ისტორიკოსებმა შენიშნეს, რომ ლენინს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ეგრეთ წოდებული „წითელი ჯუჯები": **კალინინისა** და **ბუხარინის** სიმაღლე 150-150 სანტიმეტრი იყო, **კიროვის, რადეკისა** და **პიატაკოვის** – 154-154, **ვოროშილოვისა** კი – 156 სანტიმეტრი.

ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ბორის ელცინი ცდილობდა ხელისუფლებაში მოეყვანა ტანმაღალი და ტანსრული ადამიანები: **კორჟაკოვის, ნემცოვის, შუბაისის** სიმაღლე 188 სანტიმეტრს აღემატებოდა, სამაგიეროდ პრემიერები, როგორც ერთი, ყველა პრეზიდენტზე დაბალი იყო – **გაიდარიც, ჩერნომირდინიც** და **კირიენკოც**.

ძნელია, შევნიშნოთ ასეთი „ლოგიკა" **პუტინის** საკადრო პოლიტიკაში. ერთის მხრივ, პრემიერ-მინისტრისა და ადმინისტრაციის მეთაურის პოსტები **კასიანოვისა** და **ვოლოშინის** ნაცვლად დაიკავეს უფროსისათვის უფრო „შესაფერისმა" **მიხეილ ფრადკოვმა** და **დიმიტრი მედვედევმა** – 175-175 სანტიმეტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი კი გახდა **რაშიდ ნურგალიევი**, რომლის სიმაღლეც 168 სანტიმეტრს არ აღემატება. მას სიმაღლის მიხედვით კარგ კომპანიას უწევს საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელი **სერგეი შოიგუ**.

მეორე მხრივ, პუტინის უახლოესი თანამოსაგრეები მასზე საგრძნობლად მაღლები არიან – თავდაცვის მინისტრი **სერგეი ივანოვი** და უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსი **ნიკოლოზ პატრუშევი**. სახელმწიფოს მეთაურს ყველგან თან ახლავს პრესმდივანი **ალექსეი გრომოვი** (184 სანტიმეტრი), მისივე სიმაღლის არის საპროტოკოლო სამსახურის შეფი **იგორ შჩოგოლევი**, და უკვე არაფერს ვამბობთ პრეზიდენტის მრჩეველზე საერთაშორისო საკითხებში **სერგეი პრიხოდკოზე**, რომლის სიმაღლე 190 სანტიმეტრს აღემატება.

## „ოქროს შუალედი"

**ქრესტომათიულ მაგალითად ითვლება ნაპოლეონ ბონაპარტი – „ტანმორჩილი იმპერატორი, რომელმაც ნახევარი ევროპა დაიპყრო". თუმცა ნაპოლეონი, რომლის სიმაღლე 169 სანტიმეტრი იყო, თავისი ეპოქისათვის საკმაოდ ტანმაღალ ადამიანად ითვლებოდა.**

ერთი შეხედვით, სწორედ ტანმორჩილი ადამიანები, რომლებსაც ცხოვრება აიძულებდა აქტიურად ებრძოლათ თვითდამკვიდრებისათვის, თავიანთი დაუოკებელი ქინისა და თავდადებული შრომის წყალობით, ყველაზე ხშირად ხდებოდნენ დიდი მხედართმთავრები, დამპყრობლები და დიქტატორები. **თემურ ლენგის** სიმაღლე 145 სანტიმეტრი იყო, **ალექსანდრე მაკედონელი** და **კარლოს დიდი** 150 სანტიმეტრზე მაღლები არ ყოფილან, **მუსოლინი** 160 სანტიმეტრის იყო, **ჰიტლერი** კი – 165. მეორეს მხრივ, რუს მეფეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკის – **ივანე მრისხანეს** სიმაღლე 178 სანტიმეტრს აღწევდა. ხოლო რუსეთის უდიდესი მეფე – **პეტრე პირველი** კი 204 სანტიმეტრზე მაღალი იყო.

ასე რომ, ვინ უწყის, იქნებ რუსეთმა ბოლოს და ბოლოს მიაგნო „ოქროს შუალედს", იქნებ, საშუალო სიმაღლის პუტინმა შეძლოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება? ყოველივე ამას დრო გვიჩვენებს...

САЙТ ИЗДАТЕЛЬСКОГО ДОМА
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ




ყველაფერი ყველაფერზე

სინგაპური

## სამი დღე ეკრანთან

**სინგაპურში გამართულ შეჯიბრებაზე დამყარდა ფილმების ყურების ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი.**

სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის 24 წლის სტუდენტმა ფადიზ უსენმა შეძლო 72 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ეყურებინა ფილმებისთვის კინოთეატრში. ამ დროის მანძილზე ნახა 60-მდე კინოფილმი. ფილმებს შორის სულ 5-წუთიანი შესვენება ცხადდებოდა. კონკურსში მონაწილეობდა 24 კაცი, რომელთაგან სამმა შეძლო გასული წლის მსოფლიო რეკორდის – 60,5 საათის – გაუმჯობესება. თუმცა, ფადიზ უსენის გარდა, დარბაზში 72 საათის განმავლობაში ვერავინ გაძლო. გამარჯვებულმა უპასუხა ფილმების შინაარსის შესახებ დასმული საკონტროლო კითხვების უმეტესობას. ახლა გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს დაახლოებით 11 ათას დოლარს და მის სახელს შეიტანენ გინესების რეკორდების წიგნში.



იაპონია

## კონსერვატორთა ზაფხული



**ტოკიოში ზეიმობენ პროდუქტების დაკონსერვების 200 წლის იუბილეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად აღადგინეს ნაპოლეონ ბონაპარტის ყველაზე პირველი კონსერვების რეცეპტი და დაამზადეს „რეპრენტკალი" ექსკლუზიური პარტია. ჰერმეტულ სათავსში მზა კერძების შენახვის ტექნოლოგია პირველად გამოიყენა ფრანგმა მზარეულმა ფრანსუა აპერმა. ამ გამოგონებამ მაშინათვე პოვა დიდი გავრცელება ნაპოლეონის არმიაში, რომელიც გაუთავებელ ლაშქრობებსა და ომებს აწარმოებდა, კულინარს კი ბონაპარტმა მიანიჭა „კაცობრიობის კეთილმყოფლის" წოდება.**

21 საუკუნეში იაპონელმა სპეციალისტებმა დაამზადეს ხუთი სახის კონსერვები აპერის რეცეპტების სრული დაცვით. ნაპოლეონის არმიის ჯარისკაცის მენიუში შედიოდა ბულიონი, ბოსტნეულის კერძი და მოხარშული ძროხის ხორცი, მელანჟი ლობიოსა და სოკოსგან, დესერტად კი ჯარისკაცები ხენდროს პიურეს მიირთმევდნენ. დაკონსერვებული ქილები საზეიმო ვითარებაში გახსნეს და კერძები გასინჯეს იაპონიის საკონსერვო საზოგადოების შტაბ-ბინაში. თუმცა, კონსერვების გამოტანა გასაყიდად არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად, დაკონსერვებული კერძების წარმოების სიძვირის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◉ კონსილიუმი

# მიწიერი სიცოცხლის ნახევარს რომ გალევთ...

(მერვე გვერდიდან)

„სიცოცხლის შუა წლების“ კრიზისის ფსიქოლოგიური სიგნალებიც მრავალნაირია. ყველაზე გავრცელებულია დეპრესია. ასეთ შემთხვევებში ადეკვატური პოზიციის დაკავება და მით უმეტეს მისი შენარჩუნება, ძალიან ძნელია.

***საიდუმლოებით არის მოცული ლეგენდარული მსახიობის ოლეგ დალის უდროო სიკვდილი. ერთი ვერსიით, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მძიმე ფსიქოლოგიურ და პროფესიულ კრიზისს განიცდიდა, ალკოჰოლის სასიკვდილო დოზა მიიღო და თავი მოიკლა: მას, როგორც ალკოჰოლიკს მორიგი „ტორპედო“ ჰქონდა ჩაკერებული. ერთი წლით ადრე მსახიობი სულ სიკვდილზე ფიქრობდა. ვლადიმერ ვისოცკის დასაფლავების შემდეგ (დალი ბოლო წლებში ძალიან დაუახლოვდა მას) მსახიობმა თავის დღიურში ჩაწერა: „ხშირად დავიწყე სიკვდილზე ფიქრი. უმაქნისობა მთრგუნავს. ჩხუბი არ მინდა. თუ წასვლაა, გაავთრებულ ჩხუბში უნდა წავიდე, მთელი დარჩენილი ძალით უნდა შევეცადო ვთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი და ვფიქრობ. მთავარია გავაკეთო!“ ოლეგ დალს 40 წლამდე ორი თვე აკლდა.***


ვლადიმერ ვისოცკი.

## სიკვდილის ალმაფრენისას

**მიხეილ კარიაკინი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ანდროლოგიის ევროპის აკადემიის აკადემიკოსი:**

– 40 წლიდან მამაკაცი აქტიურად დაბერებას იწყებს, მამაკაცის სისხლში გამუდმებით კლებულობს სასიცოცხლო მნიშვნელობის ჰორმონების რაოდენობა. ქანცის გაწყვეტამდე მუშაობა, ცხოვრების გიჟური რიტმი, განუწყვეტელი სტრესები აჩქარებს მამაკაცის ჩაქრობას. საქმის ჭეშმარიტი ვითარება, როგორც წესი, მეტისმეტად გვიან ირკვევა. მამაკაცები მაშინღა მიდიან ექიმთან, როდესაც გაუსაძლის მდგომარეობაში ვარდებიან. მათი ჩივილები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა: სექსუალური პრობლემები, ცუდ გუნებაზე ყოფნა, სწრაფი დაღლა, ცუდი ძილი. მე ბევრი ისეთი შემთხვევა მქონია, როდესაც 40 წლის ასაკში მამაკაცი უძლური ბებერი გამხდარა.


ვადიმ როშჩინი.

**ლეონიდ მაკაროვი, კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გულით უეცარი სიკვდილის პრობლემის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი:**

– ამ თითქოსდა გაფურჩქვნის ასაკში უეცარი სიკვდილის სიხშირე ძალიან იზრდება.

მარტო აშშ-ში ამ მიზეზით ყოველწლიურად 300 ათასი ადამიანი კვდება, ამასთან მათი დიდი უმრავლესობა ძლიერ სქესზე მოდის. გულის უეცარი გაჩერების შედეგად გარდაცვლილ საშუალო ასაკის მამაკაცებისა და ქალების შეფარდებაა 5 : 1, რაც ადვილად ასახსნელია. მამაკაცის ორგანიზმის ჰორმონალური, ვეგეტატიური რეგულაციის თავისებურებებს შეუძლიათ სიცოცხლისთვის საშიში არითმიების გამოწვევა. ამასთან, შეიძლება განწირული მამაკაცი თავს საუცხოოდ გრძნობდეს და წარმოდგენაც არ ჰქონდეს, თუ რა ემუქრება.

ამ საკითხის დამახასიათებელი ერთ-ერთი დაავადებაა ბრუგადის დაავადება. ეს არის ორგანიზმის სტრესებთან ადაპტაციაზე პასუხისმგებელი ვეგეტატიური ნერვული სისტემის დაბალანსირებასთან დაკავშირებული უეცარი სიკვდილი. ამ ასაკში სიკვდილის კიდევ ერთი ხშირი მიზეზია გულის მარჯვენა პარკუჭის არითმოგენური დისპლაზია, რომელსაც მასში ცხიმოვანი დანალექების დაგროვება იწვევს.

სამწუხაროდ, ამგვარი მდგომარეობის მაუწყებელ საგანგაშო ნიშნებს მამაკაცები ყურადღებას არ აქცევენ. ფიზიკური თუ ემოციური დატვირთვის შემდეგ უეცარ გულის წასვლებს კი ნევროლოგიური ხასიათის პრობლემებს უკავშირებენ.

***ასე გარდაიცვალა სიმღერების ავტორი და შემსრულებელი, ვლ. ვისოცკიზე გადაღებული ფილმების რეჟისორი ვადიმ როშჩინი. იგი მაშინ 40 წლისაც არ იყო. მათ რიცხვში, ვინც ავადმყოფობის გამო დროზე ადრე დაემშვიდობა წუთისოფელს, იყვნენ 39 წლის ვლადისლავ დვორჟეცკი და 42 წლის მოდესტ მუსორგსკი. „ამგვარი ტრაგედია დიდ ადამიანებს ხშირად დამართნიათ, – წერს ზოშჩენკო. – და სიკვდილის მიზეზი ხშირად მარტო სოციალური გარემოებები ან წინააღმდეგობები კი არ იყო, არამედ ნერვული ენერგიის უზომო ხარჯვა, აგრეთვე ის, რომ ამ ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ როგორ მოევლოთ რთული მანქანისთვის – თავიანთი ორგანიზმისთვის“.***


ალექსანდრე გრიბოედოვი.

## საბოლოო დიაგნოზი

**ვლადისლავ პლაქსინი, პათოლოგოანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა ასოციაციის პრეზიდენტი:**

– სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სიკვდილი გაახალგაზრდავდა, განსაკუთრებით, რუსეთში და თუ ადრე


ვლადისლავ ლისტევი.

ძალების გაფურჩქვნის ასაკში მამაკაცის მოულოდნელად გარდაცვალება კაზუისტიკად ითვლებოდა, ახლა ეს სტანდარტული სიტუაციაა. ამის მიზეზი მრავლადაა, ერთ-ერთი მთავარი კი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ბევრი მამაკაცის ცხოვრება თვითგადარჩენისთვის გაავთრებულ ბრძოლად გადაიქცა... ბრძოლად, რომელშიც კაცობრიობის ძლიერ ნახევარს მეტისმეტად დიდი საფასურის გაღება უწევს. და გასაკვირი არაა, რომ რუსეთში მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა ამჟამად სულ 55 წელია, მინისტრებიც კი აღიარებენ: რუსეთში საპენსიო თამასის აწევა ყოვლად შეუძლებელია – ბევრი მამაკაცი უბრალოდ ვერ მიაღწევს ამ ასაკს.

ბოლო დროს გახშირდა ისეთი მამაკაცების სიკვდილის შემთხვევები, რომლებიც არასდროს ყოფილან ექიმთან გამოკვლევაზე და სამედიცინო ბარათს მათ გარდაცვალების შემდეგ უხსნიან.

***თუმცა 40 წლის ასაკის მიახლოებისას ტრაგიკული შემთხვევითობისგან არც აბსოლუტურად ჯანმრთელი და იღბლიანი მამაკაცები არიან დაზღვეულები. გავიხსენოთ გამძვინვარებული ბრბოს მიერ [...] ირანში მოკლული 39 წლის ალ[...] სანდრე გრიბოედოვი, საკუთარ[...] დარბაზოში ჩაცხრილული 39 წ[...] ვლადისლავ ლისტევი, იდუმალ [...] აკატასტროფაში დაღუპული [...] წლის არტემ ბოროვიკი და ც[...] ბილი ბიზნესმენი ზია ბაჟაევი, თ[...] ლმავალის კატასტროფაში და[...] პული იმავე ასაკის ტელეწამყ[...] ნი სერგეი სუპონოვი... ამ სიის გ[...] რძელება კიდევ შეიძლებოდა.***

***1999 წლის დეკემბერში ხალ[...] შეძრა ავტოკატასტროფამ, რომ[...] საც ევგენი დვორჟეცკის სიცოცხ[...] შეეწირა. როგორც ამბობენ, მ[...] ხიობს საკუთარი სიკვდილის [...] ნათგრძნობა ჰქონია ერთხელ. ხ[...] ზეც კი უმკითხავია მისთვის [...] ლაცას მსგავსი რაღაც და მას მ[...] დეგ აღარავის ამკითხავებინებ[...] ფატალური დამთხვევა იყო – მ[...] ხიობი 39 წლისა დაიღუპა, ამ[...] ლავე იყო მისი სახელოვანი [...] – ვლადისლავ დვორჟეცკი, რომ[...] მაც ფილმ „გაქცევაში“ შესრულ[...] ბული გენერალ ხლუდოვის როლ[...] გაითქვა სახელი.***

## სიკვდილის ჯიბრზ[...]

**ბედს ვერსად გაექცევი. არსებო[...] ისეთი რამ, რასაც წინასწარ [...] გამოიცნობ, თუმცა ზოგი რამის [...] ვიდან აცილება მაინც შეიძლე[...]**

მაშინაც კი, თუ ასაკს [...] გრძნობთ, მაგრამ უკვე დგახარ[...] სახიფათო ასაკობრივ ზღვარ[...] მეტი იმოძრავეთ. ჯერ მარტო [...] ყოველდღიური დილის ვარჯიში [...] პროცენტით აამაღლებს სასიცო[...] ლო აუცილებელი ჰორმონე[...] დონეს.

**კარგად გამოიძინეთ.**

**იკვებეთ სწორად.** ყველაზ[...] სარგებლო ამ თვალსაზრისით [...] თი დიეტა ითვლება: წითელი ღვ[...] მწვანილი და თევზი. ხორცის პ[...] დუქტებს კი უნდა ერიდოთ.

**ნუ გაგიტაცებთ ანაბოლიკე[...]** ანაბოლიკური საშუალებების [...] დი რაოდენობით მიღება მამა[...] ცებში აქვეითებს საკუთარი [...] სობრივი ჰორმონების გამომუ[...] ვებას.

**თვალი ადევნეთ საკუთარი [...] ულის მასას.** გახსოვდეთ, რომ [...] ველი დაკლებული 5 კილოგრ[...] რამდენიმე ლანაყოფით დაბლა [...] წნევას.

**ეცადეთ მამაკაცებისთვის სა[...] დისწერო ასაკის მოახლოებ[...] თქვენს ცხოვრებაში არაფერი [...] ვალოთ. 40 წელი რადიკალუ[...] ცვლილებებისთვის შეუფერებ[...] ასაკია.**

Здоровье
ИЗДАТЕЛЬСКИЙ ДОМ ЖУРНАЛ[...]
ЗДОРОВЬ[...]

◉ ჰოლივუდის ვარსკვლავი

# შერონ სტოუნი ოცნებობს, გახდეს... მამაკაცი

**ფილმმა „ძირითადი ინსტინქტი“ შერონ სტოუნი 1990-იანი წლების სექს-სიმბოლოდ აქცია. მაგრამ, პოპულარობის პიკზე ყოფნისას, მსახიობმა რატომღაც, რამდენიმე წლით უარი თქვა გადაღებაზე. რა მოხდა?**

## ჩვენი ქორწინება ყილბლოთ გამოდგა...

**– ასე მოულოდნელად რატომ გაქრით ჰოლივუდიდან?**

– ჩემს ასაკს არასდროს ვმალავდი და ამან, გარკვეულ მომენტში, ცუდი სამსახური გამიწია. იმ წელს, როცა 39 შემისრულდა, ერთბაშად რამდენიმე ფილმში მიღებდნენ. ხოლო როცა ყველას გულახდილად ვუთხარი, რომ უკვე 40 წლის გავხდი, ჰოლივუდელმა პროდიუსერებმა რატომღაც მიიჩნიეს, რომ უკვე ძალზე დაბერებული ვიყავი. ერთი სიტყვით, აღარ მთავაზობდნენ საინტერესო როლებს, ვიღაც-ვიღაცეების დედების თამაში კი მე თვითონ აღარ მსურდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დროებით დამეტოვებინა კინობიზნესი, რასაც ოდნავადაც არ ვნანობ. უკვე საკმარისი ფული ვიშოვნე იმისთვის, რომ აღარ ვიზრუნო ჩემს ფინანსურ კეთილდღეობაზე. სულ სხვა საქმეა ის, რომ გავიდა რამდენიმე წელი და ჰოლივუდშიც შეიცვალა სიტუაცია – ახლა კვლავ აქტიურად იღებენ ფილმებში მსახიობ ქალებს, რომელთა ასაკმაც 40 წელს გადაამეტა. და როცა შემომთავაზეს, შემესრულებინა მთავარი როლი ფილმში „ქალი – კატა“, მე უყოყმანოდ დავთანხმდი. აი, ასე მოხდა ჩემი დაბრუნება კინემატოგრაფიაში.

**– ყველა ქალი ასე გულახდილად როდი ლაპარაკობს თავის ასაკზე. და, თქვენი გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი, შესაძლოა, სწორადაც იქცევიან. მაგრამ თქვენ მართლაც ძალზე ახალგაზრდულად გამოიყურებით...**

– დიდად ვემადლიერები დედაჩემს იმის გამო, რომ, როცა 12 წელი შემისრულდა, მომცა სახის კანის მოსავლელი მალამო და მითხრა: „ყოველ დილა-საღამოს გაიკეთე ნიღაბი და კანი მუდამ ახალგაზრდული გექნება“. ასე რომ, რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი არ მაქვს. ქალი მუდამ უნდა ადევნებდეს თვალყურს თავის ჯანმრთელობას და ფიზიკურ ფორმას. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და შეიტყვეთ, რაშია საქმე. წონის ოდნავი მომატების შემთხვევაშიც კი მიდით ტრენაჟორების დ[...] ბაზში, ან სუფთა ჰაერზე მაინც ი[...] ირნეთ.

იხ. მე-11 გ[...]



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირუსი

# ადამიანებზე ნადირობა

(მეცხრე გვერდიდან)

და, საერთოდ, ჩემი ღრმა რწმენით, ინფექციური დაავადებები ადამიანს ცხოველებისაგან გადაედო. ათი ათასობით წლის წინათ, როცა ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობენ, ისინი ისეთივე ბიოლოგიური სახეობები იყვნენ, როგორც ის ცხოველები, რომელთა მოშინაურებაც მათ დაიწყეს. სავსებით ბუნებრივია, რომ მიმდინარეობდა გაცვლის პროცესი, მათ შორის ვირუსული და ბაქტერიული გაცვლისაც, რომელიც დღემდე გრძელდება.

**– მაშასადამე, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა ბოთლში ჩამწყვდეული ბოროტი სული განთავისუფლდეს?**

– თუ ორივე ვირუსი – ადამიანის და ფრინველის გრიპისა – „ერთმანეთს შეხვდება“, ვთქვათ, ღორის ორგანიზმში, უფრო სწორად კი – ერთ-ერთ უჯრედში, მოხდება ამ ვირუსების გენების ეგრეთ წოდებული რეასორტაცია, მარტივად რომ ვთქვათ, მათი შერევა. წარმოიქმნება ნამდვილი „ურჩხული“, რომელსაც ექნება ახალი ანტიგენური თვისებები და თავისუფლად დაძლევს ადამიანის ორგანიზმის ყველა დამცავ ბარიერს. მაგრამ, შეიძლება, არსებობდეს ვაქცინებიც. ამერიკელ ანალიტიკოსთა გაანგარიშებით, ასეთ შემთხვევაში შეერთებულ შტატებში დაიღუპება სულ ცოტა 300 ათასი კაცი, რუსეთშიც, სავარაუდოდ, ასეთივე დანაკარგები იქნება მოსალოდნელი.

**სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში ინახება მუმია, რომელიც 3 ათასი წლის არის. ვირუსი, რომელიც მეცნიერებმა გამოჰყვეს მუმიის ქსოვილებიდან, სულაც არ წააგავს იმ ვირუსებს, რომლებიც იწვევენ დაავადებას ჩვენს დღეებში.**

ასეთი სცენარი შეიძლება ნებისმიერ წუთს განვითარდეს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფრიად არახელსაყრელ ვითარებას, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია შექმნილი. სწორედ იქ ატარებს ზამთარს რუსეთიდან გადაფრენილი მილიონობით ფრინველი, ამ რეგიონშია ღორების ძალზე დიდი სულადობა და მოსახლეობაც მეტისმეტად მჭიდროდაა დასახლებული. ყოველივე ეს პანდემიას სავსებით შესაძლებელ სცენარად აქცევს. იქნებ, რაიმე ამის მსგავსი უკვე მოხდა კიდეც: ადამიანები ხომ გამუდმებით ავადდებიან, მაგრამ ყველა მუტანტი – ვირუსი არ არის სიცოცხლისუნარიანი. ასე რომ, ბუნებას გარკვეული დროის განმავლობაში ეს „ურჩხული“ ჩაკეტილი ჰყავს. მაგრამ მთელი ქვეყნის მეცნიერები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ მან ვერ შესძლოს თავისუფლად ნავარდი.

## ნილოსის და კონგოს ნაპირებიდან მოსული ვირუსი

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მკვეთრად გამწვავდა ეპიდემიოლოგიური სიტუაცია სამხრეთ რუსეთში ყირიმის (კონგოს) ჰემორაგიული ციებისა და დასავლეთ ნილოსის ენცეფალიტის გამო. ამ თითქმის მივიწყებულ დაავადებათა გავრცელების მიზეზი გახდნენ ტკიპები და კოღოები, რომლებსაც გადააქვთ სნეულება. დაავადებულთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 8-9 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს სავსებით შეესაბამება ყვავილის შედეგად გამოწვეულ დანაკარგებს, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც თავის დროზე ფეხზე დადგა მთელი კაცობრიობა. დასავლეთ ნილოსის ენცეფალიტის ეპიდემია ერთდროულად დაფიქსირდა არა მარტო რუსეთში, არამედ ამერიკაშიც. და ეს ხდება მაშინ, **როცა ამ ვირუსის სამშობლო – აფრიკა უკვე 80 მილიონ წელზე მეტია გამოეყო ამერიკის კონტინენტს. მაშასადამე, ამერიკაში ვირუსის ბუნებრივი გავრცელების შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტი უნდა იყოს.**

– მე შორს ვდგევარ იმ მოსაზრებისგან, თითქოს ვირუსი განზრახ შეიტანეს შეერთებულ შტატებში, – განმარტა ვითარება აკადემიკოსმა ლვოვმა, – იქ ვირუსი, ალბათ, უფრო კოღოების „წყალობით“ მოხვდა, რომლებიც ხომალდების ტრიუმებით მოგზაურობენ. ვირუსის ცირკულაციაში მონაწილეობენ გადამფრენი ფრინველები, კოღოები და ჩიტები, რომლებიც ხელს უწყობენ ვირუსის რეზერვაციას ზამთრის პერიოდში. რუსეთში ეპიდემიის ცენტრი გახდა ვოლგის დელტის შუა სარტყელი. სწორედ იქ ფიქსირდება ყველაზე ხშირად ადამიანების, შინაური პირუტყვისა თუ გარეული ცხოველების დაავადების შემთხვევები.

**– ჰემორაგიული ციებაც ახალი დაავადებაა, თუ ჩვენ დაგვიბრუნდა „ნაცნობი-უცნობი“?**

– ამ ბოლო წლების განმავლობაში თითქმის ყველა სფეროში იგრძნობა სახსრების უკმარისობა და საბოლოო ანგარიშით, ჩვენ გვიბრუნდებიან ის ინფექციები, რომელთა არსებობა უკვე ათეულობის წინ მივავიწყდა. მაგალითად, ჰემორაგიული ციება რამდენიმე ათეული წლის წინათ მივიწყებული დაავადებაა, რომელმაც კვლავ იჩინა თავი. ჩვენს მიერ გამოყოფილი შტამები გენეტიკურად არ გამოირჩევა იმისგან, რომლებიც არსებობდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში 40 წლის წინათ. და გრიპის შემთხვევაში, თუ ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ ვირუსის ევოლუციის მიმდინარეობა და მოვახდინოთ გავლენა პანდემიის წარმოქმნაზე, ჰემორაგიული ციების გაკონტროლება შესაძლებელია. რეცეპტი კარგად არის ცნობილი: საქონელი უნდა დავიცვათ სპეციალური ხსნარით, რომელიც უშლის ხელს ტკიპების გავრცელებას.

## ატიპური პნევმონია

**მეცნიერთა აზრით, ადამიანისათვის ამ ახალი დაავადების ვირუსისმატარებელი შეიძლება იყოს ღორი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კატა, ძაღლი.**

ეპიდემიის გავრცელება, როგორც ცნობილია, დაიწყო აზიიდან, სადაც მრავალ ოჯახში ჰყავთ ვივერების ჯიშის მოშინაურებული ცხოველები. სპეციალისტებს დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, თუ როგორ გადაედო ვირუსი ცხოველიდან ადამიანს, თუმცა, მრავალი მათგანი დარწმუნებულია, რომ ალბათ, აქ საქმე გვაქვს გადაცემის კონტაქტურ გზასთან. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა, რომ ატიპური პნევმონიის ვირუსი ვრცელდება არა მარტო ჰაერ-წვეთოვანი, არამედ კონტაქტური გზითაც. იგი ზედაპირზე შენარჩუნებულია 4 საათიდან 2 დღე-ღამის განმავლობაში, კანალიზაციაში კი 4 დღე-ღამემდეც ცოცხლობს. ეს ინფექცია საშიშია მძიმე გართულებებით. დაავადების დროს ფილტვის დიდი ნაწილი შეშუპების გამო ჟანგბადის გარეშე რჩება და ქსოვილი იღუპება. თვით ის ადამიანებიც კი, რომლებიც გამოჯანმრთელდებიან, შეიძლება ინვალიდებად დარჩნენ.

ОГОНЁК

ჰოლივუდის ვარსკვლავი

# შერონ სტოუნი ოცნებობს, გახდეს... მამაკაცი



(მეათე გვერდიდან)

## ყმაწვილი დი კაპრიო

**– არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გაეყარეთ ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტს ფილ ბრონშტეინს. თავს მარტოხელად ხომ არ გრძნობთ?**

– არა, უბრალოდ, დრო არ მრჩება ამისთვის. ახლა კვლავ ხშირად მიღებენ ფილმებში, მთელი თავისუფალი დრო კი ვცდილობ ჩემს ვაჟთან გავატარო. ფილმა პირველი გაცნობისთანავე გამაოცა თავისი გონებაგახსნილობით, განათლებითა და იუმორის გრძნობით. გული მწყდება, რომ ჩვენი წყვილი დაიშალა, მაგრამ რას გააწყობ, ცხოვრება გრძელდება, და ადამიანმა ყოველთვის მომავალზე უნდა იფიქროს.

**– ხომ არ გეგმავთ მონაწილეობას ცნობილი ტრილერის „ძირითადი ინსტინქტის“ გაგრძელებაში?**

– სამი წლის წინათ სასამართლოში ვუჩივლე ამ ფილმის პროდიუსერებს. ისინი მპირდებოდნენ, რომ მალე დაიწყებოდა მუშაობა ფილმზე „ძირითადი ინსტინქტი-2“ და ამის გამო მე უარი ვთქვი რამდენიმე საინტერესო და ხელსაყრელ წინადადებაზე. ფილმის გადაღება კი ჯერაც არ დაწყებულა. მხოლოდ ახლა, 2004 წლის ივლისში, როგორც იქნა, შეწყდა საქმის სასამართლო გარჩევა და ჩვენ მივაღწიეთ მორიგებას იმის თაობაზე, რომ ფილმს უახლოეს მომავალში ჩაუშვებენ წარმოებაში. სცენარი უკვე მიიღეს, ახლა მხოლოდ რეჟისორისა და მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებლის პოვნაა საჭირო.

**– მოგწონთ ტრილერში, ბოევიკებში გადაღება?**

– ყოველთვის მსიამოვნებდა სათავგადასავლო სურათებში მონაწილეობა. მაგალითად, სანამ დაიწყებოდა მუშაობა ფილმზე „ქალი – კატა“, რამდენიმე თვის განმავლობაში სერიოზულად ვსწავლობდი საბრძოლო ხელოვნებას. ვფიქრობ, რომ ისეთ კარგ ფორმაში, როგორც იქ ვარ, აღარ ვყოფილვარ მას შემდეგ, რაც დამთავრდა ფილმის „გავიხსენოთ ყველაფერი“ გადაღება, სადაც მიწევდა არაერთხელ ჩავბმულიყავი ხელჩართულ ჩხუბში თვით არნოლდ შვარცენეგერთან! საბედნიეროდ, „ქალ-კატაში“ მხოლოდ ჰოლი ბერისთან მომიწია ჩხუბი.

**– თავის დროზე თქვენ დაჟინებით მოითხოვდით, რომ ფილმის „სწრაფი და მკვდარი“ რეჟისორი ყოფილიყო ყველასათვის უცნობი სემ რეიმი, თქვენი პარტნიორები კი – ასევე იმ დროისათვის უცნობი მსახიობები რასელ ქროუ და ლეონარდო დი კაპრიო. თუ ახსოვთ მათ ახლა, რომ სწორედ თქვენი წყალობით მიიღეს მაშინ „ცხოვრების საგზური“?**

– მოლით. ასე გიპასუხებთ: რასელს ახსოვს და ყოველთვის, როცა კი შევხვდებით ერთმანეთს, მუდამ კეთილგანწყობილია ჩემს მიმართ. რაც შეეხება ლანარჩენებს, ისინი, როგორც ჩანს, ძალზე დაკავებულები არიან. საერთოდ, უმადურობა საკმაოდ გავრცელებული სენია ჰოლივუდში. არ მეთანხმებით?

**– თუ არის ისეთი როლი, რომლის შესრულებაც თქვენ ძალიან გინდათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებთ.**

– დიახ, მე მუდამ მსურდა მეთამაშა ჰამლეტი.

**– ამას სერიოზულად ამბობთ? იქნებ, ოფელიას გულისხმობთ?**

– არა, სწორედ რომ ჰამლეტი! რა არის აქ უცნაური? მამაკაცებს ხომ შეუძლიათ ითამაშონ ქალის როლები, მაშ, რატომ არ მაქვს მე უფლება ეკრანზე შევასხა ხორცი დანიის პრინცის სახეს?

ალექსანდრე მენვაკი.

САЙТ ИЗДАТЕЛЬСКОГО ДОМА АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

დიდოსტატი

# სპილბერგის გარდაქმნა

**პოლივუდის ყველაზე მდიდარი რეჟისორი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი განუმეორებლობა ახალ კინოკომპიუტერულ ეპოქაში, რომელსაც, სხვათა შორის, თვითონვე მისცა დასაბამი...**

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში უჩვენეს სტივენ სპილბერგის ბოლო ფილმი – „ტერმინალი“, რომელიც სულ მალე გამოვა კინოგაქირავებაში. ერთი შეხედვით არატიპური მოგეჩვენებათ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკურ-ლირიკული კომედია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი მინი-ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც ჩარჩა ნიუ-იორკის აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში, რადგან, შეიტყო, რომ თურმე მისი ქვეყანა უკვე აღარ არსებობს. არატიპური იმიტომ, რომ სპილბერგი ცნობილია როგორც ბლოკბასტერების შემქმნელი, რომელმაც ჰოლივუდს ნამდვილი სუპერჰიტების გადაღება ასწავლა. თუმცა, ბატონ სპილბერგის შემოქმედებით და კომერციულ გზაზე, მაინც ბევრი რამ ლოგიკურია.




## მაინც, რას მიაღწია, ანუ სტივენის და ჯორჯის რევოლუცია

**სპილბერგს ამერიკაში უწოდებენ ყველა დროის ყველაზე ცნობილ რეჟისორს. 1999 წელს ჟურნალმა „Entertainment Weekly“, რომელსაც ვერ უწოდებენ ყველაზე ინტელექტუალურს, თუმცა საკმაოდ მოდურია, სპილბერგი აღიარა XX საუკუნის საუკეთესო რეჟისორად: მკითხველთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მან გაუსწრო კუბრიკს და ჰიჩკოკს.**

ამავე დროს სპილბერგი ჰოლივუდის ორი უმდიდრესი ადამიანიდან ერთ-ერთია. მეორეა მისი მეგობარი და პარტნიორი, „ვარსკვლავეთის ომების“ ავტორი, სპეცეფექტების მწარმოებელი სახელგანთქმული „Ibnustrial Light abd Magic.“ კომპანიის მფლობელი ჯორჯ ლუკასი. ჟურნალ „Fortes“-ის შეფასებით, თითოეული მათგანის ქონებამ უკვე გადააჭარბა ორ მილიარდ დოლარს.

სწორედ სპილბერგმა და ლუკასმა მოახდინეს ჰოლივუდში ის ინდუსტრიული რევოლუცია, რომლის შედეგებიც დღემდე ახდენენ გავლენას მსოფლიო კულტურაზე. ლუკასი და სპილბერგი ის ორი ფიგურაა, რომელთა წყალობითაც ცივილიზაციამ კულტურას აგემა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარტყმა. სპილბერგის „ყბები“ 1975 წელს გახდა უახლესი კინოისტორიის მეგაჰიტი, რომლის წყალობითაც წარმოიქმნა ცნება „ბლოკბასტერი“. ამის შემდეგ გადაღებულმა ფილმებმა – „მესამე ხარისხის ახლო კონტაქტები“, „დაკარგული კიდობნის მაძიებლები“ და „უცხოპლანეტელი“, ასევე ლუკასის „ვარსკვლავეთის ომებმა“ საბოლოოდ დაასამარეს წინანდელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის ნამდვილი კინემატოგრაფი.

იხ. მე-13 გვ.

ბიბლიოთეკა

⊙ სიკვდილი მაინც მოვა!

# გარდაუვალობის კანონი




**ძველი ეგვიპტური „პირამიდების“ ტექსტები გვესაუბრებიან იმ ეპოქებზე, როდესაც „ცა ჯერ კიდევ არ შობილა, ადამიანები ჯერ კიდევ არ გაჩენილან, სიკვდილი ჯერ კიდევ არ მოვლენილა“... მათში საქმე ეხებოდა, რასაკვირველია, რაღაც ზღაპრულ, მითურ წინარე ხანას, რომელშიც, როგორც მარცვალში, დაბუდებულია მომავალი ცხოვრებისეული მეტად მნიშვნელოვანი პოტენციები, მათ შორის, სიკვდილიც. თვით სხვადასხვა ხალხის მითოლოგიებში ამა თუ იმ სახით უთუოდ მოიპოვება თქმულება „ოქროს საუკუნეზე“ — როდესაც ადამიანთა არქაულ ცნობიერებაში არსებობდა ამქვეყნიური ცხოვრების მთელი მრავალფეროვანი გამოვლინებანი და მხოლოდ სიკვდილი რატომღაც „იგვიანებდა“... ეს იყო ის დრო, როდესაც ევა და ადამი სამოთხეში ნებივრობდნენ, როდესაც ადამიანები უკვდავნი იყვნენ. შემდეგ სიკვდილი თანდათანობით, შეუპოვრად და უთუოდ ეუფლებოდა სამყაროს, როგორც სასჯელი „პირველი ცოდვისათვის“, წინ რომ უსწრებდა სამოთხიდან გაძევებას, ან როგორც შედეგი უაზრო შემთხვევითობისა, მცდარად გადმოცემული ღვთიური ამბისა, ანდა, სავსებით შესაძლებელია, პირიქით, ღმერთების შეგნებული ნება-სურვილის გამოვლენისა. წერილი მომზადებულია ჟურნალ „ვოკრუგ სვეტაში“ გამოქვეყნებული მასალების, კერძოდ, ცნობილი ჟურნალისტის ვასილ გოლოვანოვის პუბლიკაციის მიხედვით.**

სწორედ სიკვდილთან შეპირისპირებით ადამიანი შეიცნობს საკუთარ თავს, აცნობიერებს, რა არის სიკვდილი, და იმის კვალობაზე, თუ როგორ ხედავს სიცოცხლის საპირისპიროს — სიკვდილს, ვითარდება მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, არქიტექტურა და, საერთოდ, კულტურის ყველა სფერო, რომლებიც, ერთი შეხედვით, სიკვდილთან არანაირად არ არიან დაკავშირებულნი... რასაკვირველია, ჩვენ ჰედონისტურ საუკუნეში არ გვიყვარს ლაპარაკი სიკვდილზე, როგორც თავისებურ უკიდურესობაზე. მაგრამ სანამ სიკვდილი არ არსებობდა, არ იყო ეს ნამდვილი ეგზისტენციური შეკითხვებიც. სიკვდილთან დაკავშირებული ბევრი ფუნდამენტური ცნება საერთო აღმოჩნდება სხვადასხვა ხალხის კულტურებში: დაბადება და სიკვდილი, სიცოცხლე დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ, რასაც მოჰყვება ახალი ცხოვრება, ერთი სიტყვით, იდეათა სიჭარბე ციკლურობის, ორობათობის, სამყაროში არსებული კონფლიქტისა და დაპირისპირებულობის შესახებ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიკვდილს რაღაც უნივერსალური ენა აქვს. „სიკვდილის ენები“ ერთმანეთისგან განსხვავდება, ისევე, როგორც კაცობრიობის ყველა ენა. ამის საუკეთესო დასტურია წეს-ჩვეულებანი, რომლებშიც თავმოყრილია სხვადასხვა ხალხის ცნებები იმაზე, თუ, საკუთრივ, რა არის სიკვდილი და როგორ უნდა მოეპყრა მას.

არცერთ წეს-ჩვეულებას არ ახასიათებს იმდენი სხვადასხვაგვარობა, რამდენიც დაკრძალვას. ამის გარდა, ეს, როგორც ჩანს, ერთ-ერთი თანამედროვე წეს-ჩვეულებაა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი საკრალური მნიშვნელობა „ათეისტურ“ და „ცივილიზებულ ქვეყნებშიც“ კი. სიკვდილი მეტად სერიოზული რამ არის, რათა მას ჩვეულებრივი ratio-ს თვალთახედვით მივუგეთ...

## რიტუალური მეტამორფოზები

როდესაც ვავითარებთ სხვადასხვა ენის მეტაფორას, რომლებითაც ადამიანები სიკვდილს ესაუბრებიან, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ერთი და იგივე სიტყვა „დაკძალვა“ შესაძლოა გულისხმობდეს სულ სხვადასხვაგვარ მოქმედებას. ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია მიცვალებულის მიბარება მიწისათვის ან მისი კრემაცია და ფერფლის დამარხვა. სადღაც მიცვალებულებს წვავენ, მათ ფერფლს ქარს ან წმიდა მდინარის წყალს ატანენ. ზოგი ინდიელი ტომი საფლავის გათხრის ნაცვლად კანოეს აკეთებდა, რიტუალური საგალობლების თანხლებით მიცვალებულს ნავში გადაასვენებდა და „უკანასკნელ“ გზაზე მიაცილებდა. და, კიდევ, მიცვალებულებს ხეებზე ჰკიდებდნენ ან ხის ფუღუროში დებდნენ (როგორც ეს მიღებული იყო უახლოეს წარსულში ზოგიერთ ტაიგელ ხალხში, და ასევე სლავიანებში). გადაცვლილთ აგრეთვე

უკეთებდნენ ბალზამირებას ან ზოგ
ჯერ ტრიალ მინდორზე ტოვებდ
ნენ ანდა ჭამდნენ კიდეც... ამას
თან, ასეთ მოქმედებას თავის
ტრადიციები ჰქონდა და ღრმა შ
ნაარსით იყო გამსჭვალული. მაგა
ლითად, სანკტ-პეტერბურგის კუნ
სტკამერის წამყვან მეცნიერ-თანამ
შრომლის მარგარიტა თევლორ
ასულ ალბედილის აზრით, მიცვა
ლებულის რიტუალური შეჭმის ჩვე
ულება დიდ ხანს არსებობდა პა
პუასთა ტრადიციაში, ხოლო ამის
გამო სასამართლო პროცესებ
ვხვდებოდით ჯერ კიდევ ცოტა ხნის
წინათ ახალ გვინეაში. ამასთან, ი
თოეულ ასეთ შემთხვევაში ხელი
სუფალნი ხედავდნენ მხოლოდ ერ
რამეს — აზრახი კაციჭამიობის გა
მონაშთებს. მაგრამ შეჭმული მი
ვალებულის ნათესავები სულ სხვაგ
ვარად ფიქრობდნენ, რამეთუ იცოდ
ნენ — გარდაცვლილი იყო მათი მოდ
გმის, გარკვეული ცოდნისა და ენერ
გიის მატარებელი, ამიტომაც იგ
უთუოდ უნდა შეეჭამათ, რათა ამ
ეს „ძალა“ გვარის ყველა წევრ
შორის განაწილებულიყო.

დაკრძალვის ტრადიციებში გან
საკუთრებული ადგილი უკავია ზო
როასტრიელთა „დამარხვებს“. მათ
თვის — ცეცხლთაყვანისმცემლებ
სათვის — სხეული, რომელმაც სულ
დატოვა, არანაირ ღირებულებას
არ წარმოადგენს, უფრო მეტიც,
მთელი შესაძლო სიბილწის ცენ
ტრი ხდება. აქ უნდა შევნიშნოთ,
რომ ადამიანი, რაც უფრო სუფთა
და უბიწო იყო სიცოცხლეში, მით
უფრო მეტად „ბინძურია“ მისი
მკვდარი სხეული, რადგან ძალზ
ბევრი ბოროტი ძალა იბუდებს მას
ში სიკვდილის მომენტში.

**(გაგრძელება იქნება).**

⊙ ეკეხერიადან სექსამდე

## საყოველთაო დაზავებისთვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქვეყანას, ათენის ოლიმპიური თა-




მაშების დროს დაიცვან „ოლიმპიური ზავი“.

შეგახსენებთ, წმიდათაწმიდა ბერძნული ტრადიცია — ეკეხერია, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში რომ ჩაისახა, ოდითგანვე წარმოადგენს ოლიმპიური მოძრაობის ქვაკუთხედს. იგი როგორც სპორტსმენების, ისე მაყურებლების უშიშროებას უზრუნველყოფს.

1992 წლიდან ეკეხერია ააღორძინა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა

## ოჰ, რა სისხლი დაიღვრება!

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად სისხლის ანალიზს აუღებენ სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს. ადრე სისხლით ტესტირებას იყენებდნენ მხოლოდ ძალისმიერ სახეობებში, სადაც, როგორც მიაჩნდათ, ღებულობდნენ ერითროპოეტინის (EPO) სინთეტიკურ ჰორმონს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო დირექტორმა პატრიკ შამაშმა უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს ათენში გამოიყენებდნენ ტესტირებას ზრდის ჰორმონზე.

ათენში აღებულ ყველა დოპინგსინჯს გაყინავენ და შეინახავენ — პოტენციური მომავალი ტესტირებისათვის.

## ზარებით, ზანზალაკებით

აქვე დაბეჭდილ სურათზე რომ ხედავთ, ასეთი 30 ზარის წკრიალით შეატყობინებენ მორბენლებსა და ველოსიპედისტებს — დასაძლევი დაგრჩათ დისტანციის ბოლო წრეო.

ეს ზარები 2004 წლის ოლიმპიადის ოფიციალური პარტნიორის Swatch დაკვეთით დამზადებულია შვეიცარიის ქალაქ შო-დე-ფონში ნადნობისაგან, რომელშიც 80 პროცენტი სპილენძია, ხოლო 20 — კალა.

შვეიცარიული ზარები პირველად როდი აჟღერდება ოლიმპიურ თამაშებზე — მას მსაჯები იყენებდნენ 1984 წელს — ლოს-ანჯელესში, 1988 წელს — სეულში, ხოლო 2000 წელს — სიდნეიში.



## ბობი ფიშერი დააპატიმრეს

მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი ჭადრაკში, ამერიკელი ბობი ფიშერი, რომელიც ახლა იაპონიაში წინასწარი პატიმრობის საკანში ზის, უარს ამბობს აშშ მოქალაქეობაზე. ეს ინფორმაცია გაახმიანა დიდოსტატის ადვოკატმა მასაკო სუზუკიმ, „ფიშერმა დაურეკა აშშ საელჩოს იაპონიაში და აცნობა ელჩს თავისი გადაწყვეტილება. ახლა ბობი ცდილობს ლტოლვილის სტატუსის მიღებას“.

როგორც უკვე ვწერდით, 61 წლის ბობი ფიშერი ტოკიოს აეროდრომზე მაშინ დააკავეს, როცა ვადაგასული პასპორტით ცდილობდა ქვეყნიდან გამგზავრებას. ახლა მას ემუქრება დეპორტაცია სამშობლოში, იქ კი მყისვე სასამართლოს მოუწყობენ, რადგან 1992 წელს მან მონაწილეობა მიიღო ბორის სპასკისთან მატჩში იუგოსლავიაში, რითაც დაარღვია ამ ქვეყნისადმი აშშ სანქციები. სწორედ მას შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი იმალებოდა.

## აბა ღირს მილიონი?

დიდი აყალმაყალი გამოიწვია ინგლისურ საფეხბურთო წრეებში ბრიტანეთის მასმედიის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, 56 წლის შვედ სვენ-გორან ერიქსონის სასიყვარულო ინტრიგის შესახებ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 38 წლის მდივან-ქალთან ფარია ალამთან. ამას ისიც დაემატა, რომ თავად ფარიას აღიარებით, მას ასეთივე კავშირი ჰქონია ფეხბურთის ასოციაციის თავკაცთან, 51 წლის მარკ პალიოსთან.

ყოველივე ეს მაშინ გაცხადდა,



როდესაც ოთხშაბათს — 4 აგვისტოს — უნდა გადაწყვეტილიყო ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ერიქსონის ყოფნა-არყოფნის საკითხი. 1 აგვისტოს მარკ პალიოსმა გამოაცხადა პოსტიდან თავისი გადადგომის შესახებ.

3 აგვისტოს კი მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთის ასოციაციის წევრებს წარუდგინა თავისი ახსნა-განმარტებანი.

ოთხშაბათს, საღამოს ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერიქსონის დატოვების გადაწყვეტილება. მისი კონტრაქტი 2008 წლამდეა გაფორმებული.

რაც შეეხება თავად ფარია ალამს, როგორც გამოირკვა, ცუდი სექსიდანაც შეიძლება კარგად გამორჩენა. „სექსის სამკუთხედს“ თურმე მისი გამდიდრება შეუძლია.

როგორც ცნობილი გახდა, ფარია აპირებს წიგნის გამოცემას,

სადაც მოთხრობილი იქნება მის
ინტიმურ დამოკიდებულებაზე ინ
გლისური ფეხბურთის თავკაცებ
თან. ამბობენ, ამ საქმეში მისი დახ
მარება იკისრა „პაბლიკ რილეიშ
ნზის“ ცნობილმა „პიარშჩიკმა“ მაქ
კლიფორდმა.

38 წლის ქალბატონს თავის წიგ
ნში, სადაც მის სექსუალურ თავ
გადასავალთან ერთად, მოთხრო
ბილი იქნება ფეხბურთის ფედერა
ციის შტაბ-ბინაში მომხდარ ამბებ
ზეც, უკვე შეაძლიეს 300 ათასი გირ
ვანქა სტერლინგი. კლიფორდის
რჩევით, მან უარი თქვა ამ თან
ხაზე, რადგან ასეთ პიკანტურ ამ
ბებზე სულ ცოტა მილიონის გაკე
თება შეიძლებაო.

## „პოდიუმზე“ კაცებიც ადიან

ინგლისის ეროვნული ნაკრების კა
პიტანი და ესპანეთის სამეფო კლუ
ბის „რეალის“ ნახევარმცველი დე
ვიდ ბექჰემი ბრიტანულმა ჟურნალ
მა „Company“ შეიყვანა მსოფლიოს
ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა ყო
ველწლიური ოცეულის შემადგენ
ლობაში, რაც ეყრდნობოდა მკითხ
ველთა გამოკითხვას.

წლეულს პირველი ადგილი მი
აკუთვნეს ჰოლივუდის მსახიობ
ბრედ პიტს. თუკი რედაქციის აზრ
დავუჯერებთ, პიტმა ასეთი აღმას
ვლა დაიმსახურა ფილმ „ტროა
ში“ მთავარი როლის შესრულე
ბით.

40 წლის პიტი შარშან სიაში მე
სამე გახლდათ. 2003 წელს პირ
ველ ადგილზე მომღერალი ჯასტ
ტინ ტიმბერლეიკი იყო, რომელი
წლეულს მეხუთე საფეხურზე „ჩა
მოალაბორანტეს“.

პლანეტის ყველაზე სექსუალუ
რი ადამიანების „პოდიუმზე“ მე
ორე საფეხურზე 27 წლის ორლან
დო ბლუმი. მესამეზე — ნაიჯელ ჰარ
მანი, ხოლო მეოთხეზე — ფეხბურ
თის გულშემატკივრების კერპი დე
ვიდ ბექჰემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდოსტატი

# სპილბერგის მარდაქმნა

(მეთერთმეტე გვერდიდან)

1970-იან წლებში ჰოლივუდის სტუდიები კიდევ აძლევდნენ საკუთარ თავს, ასე ვთქვათ, უყაირათო ფილმების გადაღების უფლებას. მაგრამ სწორედ „ყბების" და „ვარსკვლავთის" ომების" შემდეგ, რომლებმაც ასობით მილიონი მოგება მოიტანეს, კინო საბოლოოდ იქცა ინდუსტრიად, რომელიც ორიენტირებულია ყველაზე მასობრივ აუდიტორიაზე: უფროსებიდან დაწყებული და მოზარდებით დამთავრებული. სწორედ სტივენი და ჯორჯი მიხვდნენ, რომ კინობიზნესი მარტო ფილმები კი არა, შესაბამისი სათამაშოებიც არის – მაისურები, სათამაშოები და სხვა, – რომელსაც შეუძლია ისეთივე მოგების მოტანა, როგორც კინოგაქირავებას, და პირველებმა შექმნეს კინოწარმოების პარალელური ფირმები, რომლებიც უშვებდნენ ყველაფერს – კომიქსები იქნებოდა ეს, თუ კომპიუტერული თამაშები (სპილბერგი პირადად, SEGA-ს აკონტროლებს). სამყაროს დანახვამ ბავშვის რომანტიკული თვალით, რომლის უნარიც სპილბერგმა ლუკასთან ერთად აჩუქა თითქმის ყოველ აუდიტორიას, და ორიენტაციის აღებამ ყოველი ზრდასრული მამაკაცის სულში მჯდომ პატარა ბიჭზე (ინდიანა ჯონსის შესახებ გადაღებული ფილმების წარმატება ძირითადად ამან განაპირობა), კვლავ გამოიწვიეს პრობლემები. სამყაროს ბავშვური რომანტიკული ხედვა ამავდროულად ხომ ინფანტილურიც არის. ახლა სამყაროს აღვიქვამთ, როგორც უწყვეტ თამაშსა და ვირტუალურ სივრცეს, რომელშიც „ჩვენ" ცივილიზებულები და დემოკრატიულები ვართ, „ისინი" კი (მესამე სამყაროს ჩაგრული ხალხებისა და ვარსკვლავური იმპერიების ბოროტი მბრძანებლები) – ტირანები და ჯალათები არიან. ასე რომ, შესაძლებელია, არ ცდებიან ისინი, ვინც იუგოსლავიისა და ერაყის კონფლიქტების დროს პოულობდნენ გარკვეულ კავშირს ლუკასის ვირტუალურ ვარსკვლავურ ომებს, ინდიანა ჯონსის მიერ აზიის ქვეყნებში ჩადენილ გმირობებსა და იმ სიმშვიდესა და აუღელვებლობას შორის, რომლითაც ნატოს მფრინავები უშვებდნენ მომაკვდინებელ რაკეტებს. მით უმეტეს, რომ ომით გამოწვეულ ნგრევას ისინი ვერ ხედავდნენ და საქმე მხოლოდ ეკრანის მონიტორთან ჰქონდათ.

ეს ასეა, თუ საკითხს მკაცრი პოზიციიდან შევხედავთ. რეალობაში კი, ალბათ, არ დარჩენილა ისეთი ადამიანი, რომელიც გულგრილად მოეკიდა სტივენისა და ჯორჯის ისეთ ფანტაზიებს. 80-იანი წლების დამდეგის ყველაზე საკასო ფილმებს შორის, ალბათ, არ ყოფილა თუნდაც ერთი, რომელიც არ გადაეღოთ სპილბერგის ან ლუკასის მონაწილეობით – ისინი ან რეჟისორები იყვნენ, ან – პროდიუსერები.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სპილბერგის უდიდესი დამსახურება. იგი სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ მთელი რიგი თანამედროვე კინორეჟისორების „ნათლიად".

1. სპილბერგმა შექმნა დიდი კინოატრაქციონის ჟანრი, რომლის საუკეთესო ახალი წარმომადგენელია „კარიბის ზღვის მეკობრეები", სპილბერგმა შემოიღო წესი, რომელსაც მკაცრად იცავენ ინდიანა ჯონსის შესახებ გადაღებულ ფილმებში და უფრო სერიოზულ ნამუშევარშიც – „რიგით რაიანში". პირველი კადრებიდანვე უნდა დაიწყოს მოვლენათა ისეთი მძაფრი განვითარება, რომ მაყურებელმა სულის მოთქმა მხოლოდ ოციოდე წუთის შემდეგ შეძლოს.

2. „იურული პერიოდის პარკებით" მან დაიწყო კომპიუტერული ეპოქა კინოში – მისი ცოცხალი დინოზავრების გარეშე ვერ შეიქმნებოდა ვერც „მატრიცა" და ვერც „ბეჭდების მბრძანებელი".

3. მან გამოიგონა ახალი, რომანტიკული ჟანრის ბოევიკი, რომელსაც გარკვეულ ინტელექტუალიზმს ანიჭებდა ის, რომ იგი „ჩაძირული" იყო ისტორიაში – უფრო სწორად, ფსევდოისტორიაში, – საქმე ეხება „ინდიანას", რომელსაც მილიონობით მიმდევარი გამოუჩნდა.

4. მისმა „ყბებმა" მისცა დასაბამი




სუპერურჩხულების წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილ უამრავ სიუჟეტს.

5. და ბოლოს, სწორედ სპილბერგმა შეიგნო ის, რასაც ჩვენ უკვე შევხეთ: ყოველი ნორმალური მამაკაცის სულში ზის აზარტული მოზარდი და ფილმის აგება შეიძლება ისე, რომ მან მონუსხოს როგორც ნამდვილი მოზარდები, ისე მათი მამებიც.

მოზარდებისთვის განკუთვნილი ფილმების გადაღება რომ შეძლო, თვითონაც მოზარდად უნდა დარჩე. სპილბერგმა ჩამოაყალიბა კინოშემოქმედის ახალი ტიპი, რომელიც გატაცებულია თავისი გმირების თავგადასავლებით და თვითონაც დიდ სიამოვნებას იღებს ამით. ამ საქმეში მისი მიმდევრები არიან – ბესონი, ტარანტინო, როდრიგესი. თუმცა, ერთი რამ საინტერესოა: ასეთ ბავშვურ სულს არ შეუშლია ხელი არც სპილბერგისა და არც ბესონისათვის იმაში, რომ შესაშური ალღო გამოეჩინათ ყოველივე იმაში, რაც ფულს ეხება.

## კარიერის პიკი, რომელიც კრიზისში გადადის

წარმატებების მიუხედავად, სპილბერგს სტანჯავდა კომპლექსი: სპილბერგს მუდამ სწამდა, რომ სათანადოდ არ აფასებდნენ. მას არ აღიარებდნენ სერიოზულ რეჟისორად, თუმცა კომერციული ფილმების პარალელურად სპილბერგი ყოველთვის იღებდა კინოდრამებსაც – „შუგერლენდის ექსპრესი", „ლილისფერი", „მზის იმპერია"; იგი არაერთგზის წარადგინეს „ოსკარის" მოსაპოვებლად საუკეთესო რეჟისურისათვის, თუმცა ყოველთვის ჯილდოს გარეშე რჩებოდა.

მაშინ მან გადაიღო „შინდლერის სია". 1993 წელი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი გმირის კარიერის პიკპერიოდად: მან პარალელურად გადაიღო იმ დროისათვის ყველაზე კომერციული ფილმი „იურური პერიოდის პარკი" და „შინდლერი", რომელმაც მოიპოვა შვიდი „ოსკარი", მათ შორის მთავარ ნომინაციებშიც – რეჟისურისა და წლის საუკეთესო ფილმისთვის.

კრიტიკოსთა აზრი „შინდლერის სიის" შესახებ დღემდე ორადაა გაყოფილი: ზოგი ამ ფილმს უწოდებს „შედევრს", ზოგი კი – „ცინიკურ გათვლა-ანგარიშს". სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფილმში წვეთი ცინიზმიც არ არის. „შინდლერის" გადაღების დროს, სპილბერგი, რა თქმა უნდა, არ ოცნებობდა „ოსკარზე" და არც იმის იმედი ჰქონია, რომ წარმატების მიღწევაში მას დაეხმარებოდა ჰოლოკოსტის თემა. მან ნამდვილად იგრძნო თავი ებრაელად, რომელიც აგებდა პასუხს მთელ მშობელი ერის ბედისთვის. სპილბერგი ახლა კურირებს გრანდიოზულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც უკვე შეკრებილია ჰოლოკოსტის მსხვერპლის დამადასტურებელი უამრავი ვიდეომასალა.

გარკვეულწილად, ალბათ, არც ის ადამიანები ტყუოდნენ, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ „შინდლერს" ტრაგედიისათვის მასობრივკულტურული სახის მინიჭების გამო. თუმცა ეს მოხდა სპილბერგისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მისთვის საინტერესო ნებისმიერ თემას აქცევს მასობრივი კულტურის ობიექტად. სხვათა შორის, ფრანგ ფილოსოფოსს ბოდრიიარს მიაჩნდა, რომ თავისი მასობრივ-კულტურული ბუნების გამო ეკრანი არ უნდა შეეხოს ისეთ თემებს, როგორიც არის ჰოლოკოსტი.

და მაინც სპილბერგი, როგორც იქნა, გახდა მსოფლიო კინოჩემპიონი ერთბაშად ორი ვერსიით: კომერციულით და მხატვრულით, და რამდენიმე წლის შემდეგ გადაწყვიტა, გაემეორებინა ეს ორმაგი წარმატება, როცა თითქმის ერთდროულად გამოუშვა „იურული პერიოდის პარკი-2" და „ოსკარის" მისაღებად გათვალისწინებული დრამა „გადავარჩინოთ რიგითი რაიანი", რომელიც ასევე გახდა 1998 წლის კომერციული ლიდერი. „რაიანმა" მოიპოვა ხუთი ოსკარი, სპილბერგმა კი – თავისი მეორე „ოსკარი" საუკეთესო რეჟისურისათვის. მაგრამ, „რიგითი რაიანის" შემდეგ სამი წლის განმავლობაში რეჟისორს ფილმი აღარ გადაუღია. ასეთი რამ წინათ არ მომხდარა.

კრიზისულ სიტუაციაში სპილბერგმა კინაღამ მოჰკიდა ხელი შეკვეთის შესრულებას, რასაც, ასევე არ აკეთებდა; იგი აპირებდა გადაეღო პირველი ფილმი ჰარი პოტერის შესახებ. მაგრამ წარმოიქმნა უთანხმოება წიგნის ავტორთან ჯოან როულინგთან, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ ფილმში ყველა როლი მხოლოდ ინგლისელ მსახიობებს უნდა შეესრულებინათ. სპილბერგის აზრით კი, ჰარის როლის ერთადერთი შემსრულებელი იყო იმ წლებში ამერიკელ ვუნდერკინდად წოდებული ჰეილი ჯოელ ოსმენტი, რომელიც გადაიღეს ჯერ „მეექვსე გრძნობაში", შემდეგ კი თვით სპილბერგის „ხელოვნურ ინტელექტში".

და მაშინ, როცა სპილბერგმა ვერ შეძლო თინეიჯერებისათვის განკუთვნილი ფილმის გადაღება, რეჟისორმა გადაწყვიტა შეეცვალა მანევრი: ამ ბოლო წლების განმავლობაში გადაიღო მოზრდილი აუდიტორიისათვის განკუთვნილი ორი ინტელექტუალური ტრილერი („ხელოვნური გონება" და „განსაკუთრებული ავტორი"), შემდეგ კი, კვლავ ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი კომედიები – „დამიჭირე, თუ შეძლებ" და „ტერმინალი".

სპილბერგი რომ აღარ არის ორიენტირებული მოზარდებზე, განსაკუთრებით გამოჩნდა იმის ფონზე, რომ ასეთ ფილმებზე კვლავ მუშაობს მისი მეგობარი ლუკასი, რომელმაც შეძლო კიდევ უფრო ახალგაზრდა აუდიტორიის გულის მოგება: ფილმში „ეპიზოდი 1: „ფარული საფრთხე" მთავარი გმირი 9 წლის ბიჭია.

საბოლოო ანგარიშით, სპილბერგსა და ლუკას შორის ნელ-ნელა ღვივდებოდა კონფლიქტი „ინდიანა ჯონსის" მეოთხე სერიის გამო, რომელიც 2006 წელს უნდა გამოვიდეს ეკრანებზე. ფილმის პროდიუსერს – ლუკასს არ მოსწონს სცენარი, სამაგიეროდ მისით აღტაცებული არიან სპილბერგიც და მთავარი როლის შემსრულებელი ჰარისონ ფორდიც. ალბათ, ლუკასის უკმაყოფილებას იწვევს, უწინარეს ყოვლისა, ინდიანას ასაკი – ფორდი ახლა 62 წლისა არის. ჯერ კიდევ 1989 წელს, ფილმის მესამე სერიის გადაღებისას, სტივენი და ჯორჯი შიშობდნენ, რომ ფორდის გმირი მოზარდებს, შესაძლოა გადაბერებულად მოსჩვენებოდათ. ინდიანა ჯონსის „გაახალგაზრდავების" მიზნით, ფილმის სიუჟეტში შეიტანეს ახალი გმირი – მისი მოხუცი მამა, რომლის როლი შონ კონერმა შეასრულა. ამჯერად ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფილმის „გასაახალგაზრდავებლად" მოიგონებდნენ ინდიანას ვაჟებს. მაგრამ, ნურას უკაცრავად! ფილმში მთავარი გმირები კვლავ იქნებიან ინდიანა-ჰარისონ ფორდი და მისი უკვე საკმაოდ მობერებული მამა – შონ კონერი, აგრეთვე ინდიანას ძმა (ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა იგი), რომლის როლის შესასრულებლადაც ასევე ასაკოვანი კევინ კოსტნერი მიიწვიეს.

შესაძლოა, სპილბერგმა მართლაც მიაღწია ყველაფერს, რაც სურდა, ახლა იგი კმაყოფილია ამით და თავს იმის უფლებას აძლევს, რომ იგი, როგორც რეჟისორი, აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყოს ჯიბესქელი პროდიუსერებისაგან.


„იურული პერიოდის პარკი".

ОГОНЁК

რა არ ხდება...

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ვეშნიაკოვმა დაიპყრო იალბუზი. მწვერვალზე იგი ექვსი საათის განმავლობაში ადიოდა. მე-



ორე დღეს კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა მზის ჩასვლა, როცა ციური მნათობი, როგორც მან თქვა, „პირდაპირ მის ფეხქვეშ იყო".

ცნობილი გახდა ლეგენდარული ჯო კოკერის ახალი ალბომის გამოსვლის თარიღი, რომლის ხრინწშერეულმა ვოკალმა არაერთი მანდილოსნის გული დაიპყრო. „სუ-



ლი და გული" – ასე ეწოდება ახალ ალბომს – ევროპაში გამოვა 2004 წლის 27 სექტემბერს, ამერიკაში კი – მხოლოდ 2005 წლის 29 იანვარს. ახალი ფირფიტა აღსანიშნავია იმითაც, რომ მისი შექმნისათვის მუშაობდა ისეთი ცნობილი ვარსკვლავი, როგორიც არის ერიკ კლეპტონი.

ჯეიმს ჯოისის წერილი „სოთბის" აუქციონზე გაიყიდა რეკორდულ თანხად – 446 ათას დოლარად. სხვათა შორის, ჯოისის წერილები, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი ადამიანებისა, აქამდეც დიდი



პოპულარობით სარგებლობდა. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ „კრისტის" აუქციონზე სულ რაღაც 57.600 დოლარად გაიყიდა წერილი, რომელიც ჯოისმა ერთ-ერთ გამომცემელს მისწერა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 183, კვირა, 8 აგვისტო, 2004-წელი

## ხუმრობის ტალღაზე

# ვისზე რას იტყოდა სადღეისოდ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია

### ევროპულ პრაქტიციზმზე

შვეიცარიაში, ერთი მიხჩუებული დედაბრის პანსიონში ყოფნისას, ავად გავხდი – ტურისტად ჩამოსული სამი პოლინეზიელი აბორიგენი ვცემე უმოწყალოდ. აგრე მკითხეს, ეთიოპიელი ხომ არა ხარო!.. ვუჩვენე იმ წუპაკებს – სადაურიც გახლდით, მაგრამ ფრიად გავიოფლე და ეგ იყო, ფილტვების ანთება ავიკიდე!..

ის დედაბერი კათოლიკე იყო და დღენიადაგ ლოცულობდა. ნაშუადღევს გამაღვიძა დასიცხული ავადმყოფი და მამაჩემის მისამართს მეკითხება, ჩამაწერინეო!. არა მყავს-მეთქი მამა. გადაფითრდა ქალი: მაშ, ამაღამ რომ მოკვდე, ან ვინ გაგასვენებს, ან ჭამისა და ბინის ქირას ვინ გადამიხდისო!..

### ზოგიერთ ემიგრანტ ქართველზე

ჩვენ დიალაც მცირერიცხოვანი ერი ვართ. ჩვენ ვერ ავყვებით ვერც იტალიელებს, ვერც ფრანგებს, ვერც პანგერმანისტებს და მე სასაცილოდ მეჩვენება იმ „ბაბოჩკიანი“ ქართველი ჭაბუკების ქადაგებანი პარიზისა და ლონდონის, ბერლინისა და, გინდაც, ნათერთმეტსექტემბრალი ნიუ-იორკის კაფე-რესტორნებში რომ იქადნიან მამულიშვილობას! თუ ბიჭები არიან, იქ მიღებული ცოდნა სულის მლაფავ სამშობლოს მოახმარონ ან ახოები გაჭრან და ვაზი ჩაყარონ!..

### აფხაზებზე

თბილისს ჩამობრძანდნენ რწმუნებულნი აფხაზეთის დანასიზმრები დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდედით აფხაზის სისხლი მირევია, მიყვარს კიდევაც აფხაზები და გმირებიც მყავს აფხაზები. ასევე, უამრავ აფხაზს ჰყავს, არათუ დიდედა, დედაც მეგრელი და მათაც უყვართ, მგონია, მეგრელები. საქართველოს კუთხეებს შორის ოდითვე სუფევდა მოწიწება და პატივისცემა. ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზები, ჩერქეზები, ოსები ჩვენი მკვიდრი ძმები არიან და ჩვენ ერთმანეთის ინტერესები უნდა დავიცვათ. ასევე ეგების მათაც. მაგრამ სახელმწიფო მინისტრთან ჩამობრძანებული აფხაზი რწმუნებულები, განსაკუთრებით, ჯგერენაია, პირწავარდნილი მეგრელია არცთუ უნიჭო ალექსი გოგუასავით და მან რუსულად ილაპარაკა აფხაზეთის სახელით! რაშია საქმე?! მაგათ, ეტყობა, აღარ ახსოვთ აფხაზეთელი მეგრელის, ლავრენტი ბერიას მრავლისმეტყველი



ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

ჟესტი – ტფილისიდან სოხუმს რომ ჩავიდა მატარებლით, მთელი ვაგზლის მოედანი ვარდ-ყვავილებით რომ დაახვედრეს გადაპენტილი, ხალიჩები რომ დაეგოთ და აღტაცებულნი ხვდებოდნენ სასურველ სტუმარს, თვალი რომ ჰკიდა შორიახლო მდგომ აფხაზურად მოლაპარაკე სამიოდე ახალგაზრდას და, დასალმების ნაცვლად, მეგრულად რომ ჰკითხა საბრალო ლაკობას: „მირე, წიე, თე ჩაჩანები?!“

### ველიკორუსულ შოვინიზმზე

სრულიად ახალგაზრდა, ღინღმორეული სტუდენტი გეახელით ერთხელ რუსეთის კონსულთან ჟენევაში და ვთხოვე, საქართველოში წასასვლელი ვიზა მომეცი-მეთქი. იმავდროულად გაგიმხელთ, რომ ეგ იყო ჩემი ყრმობისდროინდელი ოცნება – ნეტავ თუ მოვესწრები ან ვის ხელში ელირსება-მეთქი საქართველოს დამოუკიდებლობა!..

მიმიყვანა იმ ნივრისა და არყის სუნად აქოთებულმა ქერა კურატმა რუსეთის იმპერიულ რუკასთან და წაიბუტბუტა: ვწუხვარ, ჭაბუკო, მაგრამ ასეთი ქვეყანა ჩვენს იმპერიაში არ არსებობსო!

ეს კონსული საკმაოდ მოხუცი იყო, თორემ მზად გახლდით სილა გამეწნა მისთვის.

### რეგვენი ქართველის რომანტიკულობასა და გერმანელის პრაქტიკულობაზე

ვაიმარის ერთ-ერთ პატარა დუქანში წარწერა ყოფილა კედელზე ასეთი: „ამ დუქანში ღვინოს მიირთმევდა ხანდახან გოეტე. ერთხელაც ყოფილა, ღვინო კი შეუსვამს, მაგრამ ფულის გადახდა დაჰვიწყნია. სამი მარკა ვალად დაედო“.

წინეებზე ჩაბრძანებულა ვაიმარს ერთ-ერთი „ახალი ქართველი“, არ ვიცი, ჩხარტიშვილი, არ ვიცი, ახვლედიანი თუ მამალაძე, თვალში მოხვედრია ეს წარწერა (უთარგმნიდნენ, უეჭველია!) და უმალვე ჯიბეს გაუკრავს ხელი: ახლავე გადაგიხდით დიდი გოეტეს ვალს, ოღონდაც ეგ წარწერა წაშალეთო!..

მედუქნეს ღიმილით უთქვამს: დიდ გოეტეს მართლაც დაჰვიწყნია ვალის გადახდა, მაგრამ ჩვენ ეს წარწერა სარეკლამოდ გვჭირია, მილეთის კლიენტი გვასევია მაგის წასაკითხად და ღვინის დასალევადო!..

### ხრუშჩოვზე

მე ახლაც არ მესმის – რატომ შეარქვეს ტოლია რიბაკოვმა და როი მედვედევმა ნიკიტა ხრუშჩოვს „დათბობის მესვეური“?! იგი იყო ფრიად ექსცენტრიული და უგუნური პოლიტიკოსი. უწინარესად კი, პირწავარდნილი კოსმოპოლიტი. მას არ უყვარდა მშობლიური ენა: პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის რუსული!... ხრუშჩოვმა მიმართა უსაზღვროდ უტვინო პოლიტიკას ჰუნგრელთა დასათრგუნავად და, ფაქტობრივად, ომი წამოიწყო თვალეშეუდგამი ჩინეთის წინააღმდეგ დამანსკის კუნძულზე!..

პირად ცხოვრებაში ხომ ყოვლად ბილწი და უწესო კაცი ბრძანდებოდა! ერთხელ, ტრუსსა და მაისურში გამოწყობილმა, ახლად ნაბანავებმა ინება, მჟავანაძის თანდასწრებით, მორის ტორეზის მიღება, ხოლო ავანგარდისტთა გახმაურებულ გამოფენაზე, კატია ფურცევას თაოსნობით რომ მოეწყო ცხრაას სამოცდაორს, მოქანდაკე ნეიზვესტნის აგრე დაეკითხა: თქვენ, შემთხვევით, პედერასტი ხომ არ ბრძანდებითო! მიმართულება ეგონა ასეთი ხელოვნებაში.

მოგვაწოდა
გიზო ზარნაძემ.

## გაიღიმეთ – ეს სასარგებლოა

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ურთიერთკავშირი სახის კუნთების აქტიურობასა და თავის ტვინის სისხლით მომარაგებას შორის. როდესაც ადამიანი იცინის ან იღიმება, ძლიერდება ტვინში სისხლის დინება, ეს კი დადებითად აისახება გუნება-განწყობილებაზე.

* * *

იმისთვის, რომ ღიმილმა ადამიანს სახე გაუნათოს, საკმარისია მხოლოდ 18 მიმიკური კუნთის დაძაბვა, უკმაყოფილების გამომხატველი გრიმასისთვის კი – 43!

* * *

საშუალო ევროპელი სიცოცხლის 70 წლის მანძილზე 623 დღეს იცინის და მხოლოდ 50 დღეს ტირის.

* * *

ძუძუმწოვართა უმრავლესობისთვის „ღიმილი“ – კბილების გამოჩენა და იმავდროულად პარტნიორის ფართოდგახელილი თვალებით თვალიერება საფრთხის სიგნალია. თვალების ხანმოკლე დახუჭვა კი პირიქით – დამამშვიდებელი ნიშანია.

* * *

მეცნიერებმა შეძლეს ღიმილის 15 ნაირსახეობის დადგენა. ხშირად ის ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული.



## ორშაბათი, 9 აგვისტო

**07.30** ალიონი **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი **"მორიგი მსხვერპლი" 11.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში -ბენ აფლეკი **12.15** ტელესერიალი **"სოლედადი" 13.00** სერიალი **"ფორსაიტების საგა" 14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ.სერიალი "მსოფლიოს ქალაქები"-ტოკიო **15.20** სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო"** 1-ლი ს. **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.05** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **17.30** მუს. არჩევნები **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"სენ – ტროპე"** 1-ლი ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"სოლედადი" 22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი **"უსაფრთხოების ზომები"** (18)

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი **"ეშმაკუნა"** (U) **21.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი **"მოცეკვავე მანქანა"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი **"შურისძიება" 11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი **15.25** სერიალი **"სასწრაფო" 16.30** სერიალი **"მაშველები" 17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება" 22.00** სერიალი **"უკვდავი" 23.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი". 00.00** მხ. ფილმი **"სქესის შეცვლა"**. მთ. რ-ში: ელენ ბარკინი, ჯიმი სმიტსი **(18)**.

**18.00** მხ. ფილმი **"მშვენიერი ჩარიტა" 21.10** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი **"ბარონი ნავსადგურიდან"** (12)

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.10, 11.10, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი" 10.25** "ათენიდან ათენამდე" (მე-**8** გადაცემა) **11.25, 01.25 ტვ-**მარკეტი **12.10** სერიალი **"კლონი" 13.15** სერიალი **"ჩანაწერები შერლოკ ჰოლმსზე" 14.05** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები" 15.15** მხ. ფილმი **"უდაბნოს კანონი"** (U) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **19.35** სერიალი **"კლონი" 20.30** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები" 21.30** "ვაკ-აჭი-ნიუსი" **23.00** "ათენიდან ათენამდე" (მე-**9** გადაცემა) **23.30** მხ. ფილმი **"ბანდემი"** (U)

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი **"ველური მთვარე" 11.10, 20.50** მინისერიალი **"შტრაუსების დინასტია" 12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი **"ინსპექტორები" 13.10** მხ. ფილმი **"კალასი უკვდავია"** (U) (ჯ.აირონსი) **15.10** სერიალი **"მარია ემილია" 16.10** სერიალი **"დრაკონის ბეჭედი" 17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი **"ველური მთვარე" 22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი **"დედოფალი მარგო"** (18) (ი. აჯანი)

**12.00** ინდ. მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **18.00** სერიალი **"მილედი" 19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

**08.00** "დილა მშიდობისა, რუსეთო" "РТР Планета-ს" პროგრამა **11.15** მუსიკალური კოლაჟი **12.15** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.15** ექიმი გვირჩევს **14.15** მუს. პაუზა **15.00** "ვესტი" "РТР Планета-ს" პროგრამა **18.00, 18.30** მუს. პაუზა **18.15** ზღაპრის ტელედარბაზი **19.30** ჩემი თანატოლები **20.00** ექსტრაორდინალური **21.00** ინდ. ფილმი **"ცხოვრებაში ყველაფერი ხდება" 00.00** "РТР Планета-ს" პროგრამა

**202**

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი **"რობინ ჰუდი"** (მელ გიბსონი) (U) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი **"თაღლითები"** (მეთიუ პერი) (U) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **20.00** მხ. ფილმი **"ძვლების მტვრეველი"** (15) **22.00** სერიალი **"მუსკულები" 22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი **"ტრიუკების ოსტატი"** (პიტერ ო ტული) **(18)**

**4TV**

**18.30** ქრონიკა **18.35** საბ. ეკრანი **19.00** მხ. ფილმი **20.30** ქრონიკა **21.00** სალმრთო ქადაგება **21.20** "მოდელი" კრისტი ბრინკლი **21.40** სერიალი **"ბედის ჯიბრზე" 22.30** ქრონიკა **23.00** პოპ-მიქსი **23.35** მხ. ფილმი **"ეკვილიბრიუმი"**

**VII არხი**

**09.05** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** ვიდეოკამერები **10.15** მელოდია **10.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.50** მელოდია **11.10** კომპიუტერული ტექნიკა **11.30** მელოდია **11.40** პრინტერები **11.55** დისნეი და მისი მეგობრები **12.15** მობილურები **12.35** მელოდია **12.45** ტელევიზორები **18.05** მელოდია **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.20** პრინტერები **19.50** დოკ.ფ. "რვაკუთხედი" **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.35** მელოდია **20.50** ტელევიზორები **21.05** მელოდია **21.20** მობილურები **21.50** მელოდია **22.40** "კინოკლუბი" - **"ვარსკვლავური ომები-ეპიზოდი 1"**. ფანტასტიკა. რეჟ: ჯორჯ ლუკასი. როლებში: ლაიამ ნისონი, ევან მაკგრეგორი. **(18) 00.10** მელოდია **00.20** ვიდეოკამერები

## სამშაბათი, 10 აგვისტო

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორ... **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე 09... მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** "იმღ... რამე" **10.10** სერიალი **"მორიგი მსხვერპ...** **11.00** სერიალი **"ფსიქოპაქტორი" 12.15** ტელ... იალი **"სოლედადი" 13.00** სერიალი **"ფორსაიტ... საგა" 14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერ... შოუ **15.20** სერიალი **"ზაფხულის საიდუმ... 16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერია... გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოს... **17.05** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 17... სერიალი **"ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგ... 18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"სენ – ტრო... 19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ 21... სერიალი **"სოლედადი" 22.00** "ქიმერიონი" - ესაძე **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-... საუკუნე" **00.20** მუს: არჩევნები **00.55** მხ. ფ... **"რბოლა – ქვემეხის ბირთვი"** (15)

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავა... **19.30** სერიალი **"ეშმაკუნა"**(U) **21.00** დოკ. ფ... "ჩემი სახლი" **21.15** მიამბეთ თქვენზე **22.00** ... ფილმი **"ელიზა"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუც... **09.40** სერიალი **"შურისძიება" 11.00** სერ... **"უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00,** 01... კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფ... **"დიდი ადამიანი" 15.25** სერიალი **"სასწრაფ... 16.30** სერიალი **"ალფი" 17.05** სერი... **"მაშველები" 18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დი... სკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება"** 22... ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23... სერიალი **"სოპრანოს კლანი". 00.00** მხ. ფ... **"გოთიკა"**. მთ. რ-ში: ჰოლი ბერი, რობ-ერტ დ... უმცროსი **(18)**.

**18.00** მხ. ფილმი **"უდარდელი ცხოვრება"** 19... დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.20** მხ. ფ... **"სახლი ქარიშხალში"** (12)

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00,** 14... **15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.10,** 11... **13.15, 16.35, 17.20, 02.55** იმედის მელოდ... **08.30** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" 09... სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი" 10.10** ს... იალი **"ტყუპები" 11.25** "ათენიდან ათენამდე" ... **9** გადაცემა) **12.10** სერიალი **"კლონი"** 13... **02.25 ტვ-**მარკეტი **14.05** სერიალი **"შერ... ჰოლმსის მემუარები" 15.15** მხ. ფილმი **"ბანდ...** (U) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00,** 0... ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მით... მეომრები" **18.05** სერიალი **"ტყუპები"** 19... სერიალი **"კლონი" 20.30** სერიალი **"შერ... ჰოლმსის მემუარები" 21.30** ლარის მახე 2... "ათენიდან ათენამდე" (მე-**10** გადაცემა) 23... "ერთხელ ჰოლივუდში" **00.05** მხ. ფილმი "... **ქალაქის თავზე"** (U)

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერი... **"ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00,** 14... **15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10,** 20... მინისერიალი **"შტრაუსების დინასტია"** 12... დეტ. სერიალი **"ინსპექტორები" 13.10** მხ. ფ... **"ვარდნის სიჩქარე"** (U) (ჩარლი შინი) 15... სერიალი **"მარია ემილია" 16.00, 17.00,** 18... **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერი... **"დრაკონის ბეჭედი" 17.10** მულტსერიალი "რე... ოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლ... **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბ... **19.00** სერიალი **"ველური მთვარე" 21.45** ს... იალი **"ქვეყნის კიდეზე" 22.45** მზერა დ... ბოლოს **00.00** მხ. ფილმი **"შავი რაინდი 2"** (18) ... პულენი)

**13.00** მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" 17... **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგ... "დღეს" **17.15** სერიალი **"მილედი" 19.20,** 21... სპექტრი **00.30** მუსიკა

**08.00** "დილა მშიდობისა, რუსეთო" "РТР Плане... ს" პროგრამა **11.15** მუსიკალური კოლაჟი 12... სალონი **13.45** ექიმი გვირჩევს **14.45** მუს. პა... **15.00** "ვესტი" "РТР Планета-ს" პროგრამა 18... **18.30** მუს. პაუზა **18.15** ზღაპრის ტელედარბ... **19.00** სპორტის სამყარო **20.00** მუს. პაუზა 21... "ვესტი" **21.00** ინდ. მხ. ფილმი "გ... **მბრძანებელი" 00.00** "РТР Планета-ს" პროგ...

**202**

**10.00** დებატები **202**-ზე (განმ). **11.30** მულტფ... **12.00** მხ. ფილმი **"ძვლების მტვრეველი"** ... **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი **"ჩემ... გასეირნება"** (U) **17.00** საბ. ფილმი 19... სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **20.00** მხ. ფ... **"სიმართლე ჩარლიზე"** (მარკ უოლბერგი) ... **22.00** სერიალი **"მუსკულები" 22.20** ნიკა ქავთარ... ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.4**... სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფ... **"შემოდგომის ლეგენდები"** (ბრედ პიტი) (1...

**4TV**

**18.30** ქრონიკა **18.35** საბ. ეკრანი **19.00** მხ. ფ... **20.30** ქრონიკა **21.00** ჰოლივუდის ისტორ... **21.40** სერიალი **"ბედის ჯიბრზე" 22.30** ქრო... **23.00** მხ. ფილმი **"დროის ხაფანგი"**

**VII არხი**

**09.05** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.30** "ბედნ... ერი" (განმეორებით) **09.35** საყოფაცხოვრებო ... ქნიკა **10.05** მელოდია **10.15** მობილურები 10... მელოდია **10.45** ვიდეოკამერები **11.05** დისნე... მისი მეგობრები **11.25** კომპიუტერული ტ... **11.45** მელოდია **12.00** პრინტერები **12.15** მელ... **12.30** ტელევიზორები **12.40** მელოდია 1... მელოდია **18.20** ვიდეოკამერები **19.00** აჩი... **19.20** პრინტერები **19.50** დოკ.ფ. "რვაკუთხ... **20.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.25** მელ... **20.45** მობილურები **21.05** მელოდია 2... ტელევიზორები **21.40** მელოდია **22.10** "კინოკლ... - **"ვარსკვლავური ომები-ეპიზოდი 2"**. ფან... ტიკა. რეჟ: ჯორჯ ლუკასი. როლებში: ნატ... პორტმანი, ევან მაკგრეგორი. **(18) 23.45** მელ... **00.10** კომპიუტერული ტექნიკა

## ოთხშაბათი, 11 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი **"მორიგი მსხვერპლი"** 11.00 "ქიმერიონი" 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" მე-2 ნაწ. 15.20 სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო"** 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.25 "მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"სენ – ტროპე"** 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 "მიამბეთ თქვენზე"-თამაზ ჩხენკელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი **"ლამაზი ჯონი"** (15)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"**(U) 21.00 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 22.00 მხ. ფილმები **"წინააღმდეგობა"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"სიყვარულის მონა"** 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 სერიალი **"უკვდავი"** 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"კორდებალეტი"**. მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, ელისონ რიდი (U).

18.00 დოკ. ფილმი 19.00 კონცერტი 20.30 მხ. ფილმი **"მწვანე მილი"** (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" 09.10 სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი"** 10.10 სერიალი **"ტყუპები"** 11.25 "ათენიდან ათენამდე" (მე-10 გადაცემა) 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.25, 01.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები"** 15.15 მხ. ფილმი **"ამ ქალაქის თავზე"** (U) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" 18.05 სერიალი **"ტყუპები"** 19.35 სერიალი **"კლონი"** 20.30 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები"** 21.30 "პირველი ნახევარი" 23.00 "ათენიდან ათენამდე" (მე-11 გადაცემა) 23.30 მხ. ფილმი **"ადამიანი მოკვდავია"** (ი. ჟაკობი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი **"შტრაუსების დინასტია"** 12.10, 21.45 სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 13.10 მხ. ფილმი **"ხელშეუხებელნი"** (12) (კ. კოსტნერი) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი **"დრაკონის ბეჭედი"** 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"მეოთხე ფაზა"** (18) (დეან სეინი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი **"მილედი"** 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 "დილა მშიდობისა, რუსეთო" "РТР Планета-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 მხ. ფილმი 15.00 "ვესტი" "РТР Планета-ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 "თინეიჯერი" 21.00 "ვესტი" 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მხ. ფილმი **"პროკურორის ვაჟიშვილი"** 00.00 "РТР Планета-ს" პროგრამა

**202**

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"სიმართლე ზარლიზე"** (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი **"გამოსასყიდი"** (მელ გიბსონი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი **"დედამიწის ბირთვი"** (აარონ ეკჰარტი) (U) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი **"სპეციალისტი"** (შერონ სტოუნი) (18)

**4V**

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 საღმრთო ქადაგება 21.10 მუსიკა 21.20 კინოლოგია (ბოქსიორი) 21.40 სერიალი **"ბედის ჯიბრზე"** 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი **"წმინდანი"**

**VII არხი**

09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნეი და მისი მეგობრები 11.10 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ. "რვაკუთხედი" 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები 21.35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.40 "კინოკლუბი" - **"გამანადგურებელი"**. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი: პიმ ვაინორსკი. როლებში: აის თი, კოსტას მენდილორი. (18) 00.05 მელოდია 00.20 ვიდეოკამერები 00.40 ანონსი

## ხუთშაბათი, 12 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი **"მორიგი მსხვერპლი"** 11.00 "მიამბეთ თქვენზე" 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "ჟოზეფ მარია ჟუჟელი" 15.20 სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო"** 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" 1-ლი ს. 17.35 სერიალი **"ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები"** 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"სენ-ტროპე"** 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 "მუსიკალური არჩევნები" 00.55 მხ. ფილმი **"მელოდია სარდაფიდან"** (12)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"** (U) 21.00 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" 22.00 მხ. ფილმი **"ეარ ამერიკა"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 სერიალი **"უკვდავი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"კვინსის ლოგიკა"** 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 სერიალი **"უკვდავი"** 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"21 გრამი"**. მთ. რ-ში: ნაომი უოტსი, შონ პენი (18).

18.00 მხ. ფილმი **"ურიგა"** 19.50 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი **"კანონი"** (12)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 01.20 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" 09.10 სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი"** 10.10 სერიალი **"ტყუპები"** 11.25 "ათენიდან ათენამდე" (მე-11 გადაცემა) 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.25, 00.50 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები"** 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.30 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი **"ადამიანი მოკვდავია"** (U) 17.25 ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" 18.05 სერიალი **"ტყუპები"** 19.35 სერიალი **"კლონი"** 20.30 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის მემუარები"** 21.30 "ათენიდან ათენამდე" (მე-12 გადაცემა) 23.00 "არ იდარდო"

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი **"შტრაუსების დინასტია"** 12.10, 21.45 სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 13.10 მხ. ფილმი **"ქალაქის პოლიცია"** (ედი მერფი) (12) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი **"დრაკონის ბეჭედი"** 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"მზის გულზე"** (15) (ჯოაკიმ დე ალმეიდა)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი **"მილედი"** 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 "დილა მშიდობისა, რუსეთო" "РТР Планета-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 "ვესტი" "РТР Планета-ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინარული 21.00 "ვესტი" 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета-ს" პროგრამა

**202**

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"დედამიწის ბირთვი"** (U) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი **"ალსარება"** (მორგან ფრიმენი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გან.) 20.00 მხ. ფილმი **"ნიკიტა"** (15) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი **"საზაფხულო გართობანი"** (15)

**4V**

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 ჰოლივუდის ისტორიები 21.40 სერიალი **"ბედის ჯიბრზე"** 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი **"მოახლე მანჰეტენიდან"**

**VII არხი**

09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 მობილურები 09.50 მელოდია 10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.25 მელოდია 10.40 ვიდეოკამერები 11.15 დისნეი და მისი მეგობრები 11.35 ტელევიზორები 11.45 მელოდია 11.55 კომპიუტერული ტექნიკა 12.25 მელოდია 12.35 პრინტერები 18.05 მელოდია 18.20 მობილურები 19.00 "აჩიკუდა" 19.50 დოკ.ფ. "რვაკუთხედი" 20.20 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.25 მელოდია 21.45 ტელევიზორები 21.55 მელოდია 22.20 პრინტერები 22.40 "კინოკლუბი" - **"უკანმოუხედავად"**. თრილერი. რეჟ: გასპარ ნეო. როლებში: მონიკა ბელუჩი, ვინსენტ კასელი. (18) 00.10 ვიდეოკამერები

**ჩვენებური რუსები**

# ასე იცის ქუთაისმა...

დეკემბერია. მოსკოვიდან თბილისისკენ ფრენა შეწყდა უამინდობის გამო. ნისლია. ღრუბელი ლამის მიწაზე ჩამოვიდეს. სამი დღეა მე და თენგიზი აეროპორტში ვათენ-ვაღამებთ.

გადაწყდა – გავფრინდეთ კიევში, იქიდან კი თბილისში. მივდექ-მოვდექით და უკვე თვითმფრინავში ვართ. საათნახევარში ლაინერი ტუ-154 კიევის აეროპორტში დაეშვა.

თითო ხელჩანთის პატრონებს ბარგის მისაღებად რიგში დგომა არ მოგვიწია.

ახლა მთავარია, ბილეთები ვიშოვოთ თბილისისკენ. დავიწყეთ აეროპორტის ადმინისტრაციის შემოვლა... ერთ-ერთ კაბინეტს აწერია: „უფროსის მოადგილე ტრანზიტისა და გადაზიდვის დარგში ვლადიმერ ეგოროვი“. მდივანმა ქალმა გამოგვკითხა რა საქმეზე ვიყავით და უფროსთან შევიდა. რამდენიმე წუთში გამოვიდა და კაბინეტში შეგვიშვა. მოკრძალებით შევედით, სავარძელში სიმპათიური კაცი იჯდა. გისმენთო, გვითხრა და ღიმილით შემოგვხედა. თენგიზმა აუხსნა ჩვენი გასაჭირი.

– ქართველები ხართ ბიჭებო?! – ქართულად წამოიძახა ეგოროვმა. სწრაფად წამოდგა და მაგრად ჩამოგვართვა ხელი. ოდნავ დავიბენით. დაჯექით, თქვენ შემოგევლეთ, ბილეთებს კი არა, თვითმფრინავს გაჩუქებთ. ეგოროვი ისე გველაპარაკება, თითქოს დიდი ხნის მეგობრები დაენახოს. მადლობის თქმას ვინ გაცლის, ისეთ ქუთაისურს უბერავს, რომ თავი ბაღის კიდესთან გვგონია. რავა გამახარეთ ძამიებო, პატარა ხანს მაცალეთ და ახლავე იქნება ყოლიფერი. ეგოროვმა ტელეფონით მირეკ-მორეკა, საათზე დაიხედა. გავიდეთო, და მალე მისი მანქანით ქალაქისკენ მივქროდით. არ დამიწყოთ ახლა, ძალიან გვეჩქარება თბილისშიო, არ უნდა ლაპარაკი, ერთი-ორი დღე უნდა დარჩეთ ჩემთან... ცოტა თავპატიჯს ვიდებთ და მანქანაც სასტუმრო „დნიპროსთან“ ჩერდება. ჩვენმა მასპინძელმა ვესტიბიულში დაგვტოვა, რომელიღაც კაბინეტში შევიდა, წუთში გამოვიდა და ადმინისტრატორთან მიგვიხმო. ყველაფერი სწრაფად გააფორმა და მშვენიერ ნომერში მოგვაწყო.

– ისე, ჩვენში დარჩეს და, რა გვეჩქარება ამ თბილისში, – ღიმილით მეუბნება თენგიზი.

– ახლა მივხედავ იმ უპატრონო სამსახურს, საღამოს კი თქვენთან გავჩნდები. მანამდე დეისვენეთ, – გამოგვემშვიდობა ეგოროვი და წავიდა.

– რავა ტუზივით დაგვეცა ეს კაცი, – მეუბნება თენგიზი.

– აბა ბიჭო... ვინაა ნეტავი ეს დალოცვილი.

– საღამოს გამოჩნდება...

საღამოს გაჩირაღდნებულ რესტორანში სამნი ვისხედით. „ჩვენმა რუსმა“ (ასე შევარქვით ვლადიმერს) ჯერ ყველაფერი საუკეთესო შეუკვეთა და შემდეგ თავისი თავგადასავალი გვიამბო:

... მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა კიევი გერმანელებმა აიღეს, პატარა ვალოდია დედას დაჰკარგვია. მამა უკვე ფრონტზე დაღუპული ჰყოლია.

უდედ-მამო ბავშვები ევაკუაციით სხვადასხვა რესპუბლიკებში გაანაწილეს. ვალოდია ქუთაისში, უპატრონო ბავშვთა სახლში მოხვედრილა. იგი მარტოხელა ქეთევან მაღლაკელიძეს უშვილებია. ქეთევანი პროფესიით პედაგოგი ყოფილა და ქართულს ასწავლიდა საშუალო სკოლაში. პატარა ვალოდია დედობილს დაჰყავდა სასწავლებელში. თავს ევლებოდა. ასე გადიოდა წლები. ომი დამთავრდა. ქვეყანა თანდათან ფეხზე დადგა. იწყებოდა აღორძინება. ვალოდიაც წამოიზარდა. ლამაზი, ცისფერთვალება ბიჭი უყვარდათ მეზობლებს და ზრუნვას არ აკლებდნენ.

ერთ დღეს ქეთევანი პარტიის რაიკომში დაიბარეს, საიდანაც გულდამძიმებული დაბრუნდა. ვალოდიას დედა ცოცხალი ყოფილა და დიდი ხნის ძებნის შემდეგ შვილის კვალისთვის მიუგნია.

მალე ვალოდიას დედა მარია ეგოროვაც ჩამოვიდა ქუთაისში. მთელმა საფიჩხიის უბანმა გააცილა დედა-შვილი ეგოროვები, გულდათუთქული ქეთევანი დიდხანს გაჰყურებდა მათ. თვე არ გავიდოდა, ვალოდიას წერილი არ მოეწერა დედობილისთვის, ქართული არ იცოდა თუ რა...

მან დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, დაიწყო მუშაობა და ნახევარ შვებულებას ქუთაისში, დედობილთან ატარებდა. შემდეგ დაოჯახდა, ქორწილს ქეთევანიც დაესწრო. ორი დედის სადღეგრძელო ერთად შეისვა. ჯინაზე გოგო არ გაჩნდა, რომ ქეთევანი და მარია დამერქმიაო, ღიმილით ამბობს ვალოდია და განაგრძობს: – პირველი უბედურება ის იყო, დედა ქეთევანი რომ გარდაიცვალა. ჩავედი ქუთაისში და ყველა ქართული წესის დაცვით დავასაფლავე დედობილი... დიდხანს არ გაუვლია და დედა მარიაც გარდაიცვალა. არც მიფიქრია, ჩავასვენე ქუთაისში და საფიჩხიის სასაფლაოზე, დედობილის გვერდით დავკრძალე. მთელი უბანი დაესწრო, მაგარი პატივი მცეს ქუთათურებმა. რომ იცოდეთ, ბიჭებო, ჩემი ადგილიც იქ არის ბოლოს.

მე და თენგიზი ცრემლმორეული ვისმენდით „ჩვენი რუსის“ ამბავს. სევდიანი საღამო სასმელმა გაანელა, სიმღერაც წავიღიღინეთ... გამთენიისას დავბრუნდით სასტუმროში. ორი დღე კიდევ დავრჩით კიევში. ვალოდია ერთი წუთითაც არ მოგვცილებია გვერდიდან.

თვითმფრინავის ტრაპამდე მიგვაცილა გამომგზავრებისას, გულმხურვალედ გადაგვკოცნა და თვალცრემლიანმა გვითხრა: ნუ დამკარგავთ ბიჭებო, პენსიაზე რომ გავალ, უეჭველად ჩამოვალ და საფიჩხიაზე დავსახლდები.

* * *

ინოზემცევების ოჯახი როდის დასახლდა ქუთაისში, კაცმა არ იცის. ოჯახის უფროსმა ბატონმა ნიკოლოზმა იმნაირი რუსული იცოდა, მის წინაპარს რომ მოესმინა, საფლავში გადაბრუნდებოდა. ქუთათურები დიდ პატივს სცემდნენ ამ სტუმართმოყვარე ოჯახის დიასახლისს ქალბატონ თინას, მისი მომზადებული პურ-მარილი განთქმული იყო ქალაქში. გარდა ამისა, ბატონ ნიკოლოზს საპატიო თანამდებობა ეკავა და, თუ რამე შეეძლო, ყველას ეხმარებოდა.

ინოზემცევების ქალ-ვაჟი – მარინა და დათო ქუთაისური ადათ-წესებით იზრდებოდნენ. დათოიე, რუსულის გამო, ერთი-ორჯერ კინაღამ ჩარჩა კლასში. გადიოდა წლები... ერთ დღეს ოჯახის უფროსი ატყდა, უნდა წევიდეთ და ვნახოთ, საიდან ვართ ეს ინოზემცევებიო. ჯერ დათო და მე წავალთო. და აი, პურ-მარილით დატვირთული ინოზემცევების მანქანა კისლოვოდსკის გზაზე მიჰქრის. მამა-შვილი ინტერესით ათვალიერებენ მიდამოს. მანქანას ბატონი ნიკოლოზის მძღოლი შალიკო მართავს, ერთ ადგილას, გზის გასაყართან, **სოფელი ინოზემცევო** აწერია ბოძს. ბატონი ნიკოლოზი კმაყოფილი სახით გადმოვიდა მანქანიდან და დოინჯშემოყრილმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება. მერე ფოტოაპარატი დააყენა, შვილი მოიხმო და შალიკოს უთხრა, სურათი ისე გადაგვიღე, სოფლის წარწერა რომ ჩანდესო. მამა-შვილი ბოძთან დადგა და ხელგადახვეული სურათი გადაიღეს.

მანქანამ სოფლისაკენ სვლა განაგრძო. შარა ცარიელი ჩანდა. კარგა ხანს მგზავრი არავინ შეხვედრიათ. ბოლოს, როგორც იქნა, გზაზე ოთხთვალა თივით დატვირთული ფურგონი გამოჩნდა. ქუთაისელების მანქანა შეჩერდა, მამა-შვილი მანქანიდან გადმოვიდა და ფურგონი გააჩერეს. პატრონი, წვერებიანი შუახნის გადაცილებული რუსი, გაკვირვებული მიაჩერდა მგზავრებს. ბატონმა ნიკოლოზმა მედიდურად შეეკითხა ფურგონის პატრონს:

– შორს არის სოფელი?!.

– არა, – უპასუხა რუსმა.

– ეს სოფელი ადრე ინოზემცევებს ეკუთვნოდათ, არა?!.

– დიახ, – იყო პასუხი.

– ახლა თუ ცხოვრობენ აქ ამ გვარის ხალხი?!

რუსი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის მერე ნიკოლოზს ეუბნება:

– არავინ არ ცხოვრობს, ვინც გაასწრო, გადარჩა ალბათ, დანარჩენები ხალხმა ამოხოცა. ისეთები იყვნენ, მაგენს ცოცხალს ვინ გაუშვებდა!.. ერთი ხმამაღლა შეიგინა და ფურგონი დაძრა.

გაოგნებული ნიკოლოზი კარგა ხანს იდგა „მშობლიური სოფლის“ შარაგზაზე.

დათოიე ღიმილით მიუახლოვდა მამას, ხომ გეუბნებოდი, მიხაილოვიჩ, დაანებე თავი ამ ჩვენი გვარისა და სოფლის ძებნას-მეთქი, არ დამიჯერე და, ხომ მიიღე... წამოდი ახლა ჩვენს ქუთაისში და კარგად მოვილხინოთ „გოგისვანიძეებში“.



**ზაურ გომართელი.**

ბიბლიოთეკა

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დიდი წარმატებით ჩაიარა რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ პრემიერამ.

სურათზე სპექტაკლის მთავარი შემოქმედნი (მარცხნიდან): დირიჟორი ზივი აზმაიფარაშვილი, მომღერლები ზურაბ ანჯაფარიძე და მედეა ამირანაშვილი, რეჟისორი გიზო ჟორდანია, კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე და მხატვარი გიორგი გუნია.

გადაღებულია 1976 წლის ივლისში.

მოგვაწოდა რუსუდან მუხიგულაშვილმა.

### ცოტაც გავიღიმოთ...



მიხო გალეწილი მთვრალი ბრუნდება სახლში.

— შენ კი გასკდი, შენა, ნახე, რომელი საათია! — კაპასობს მარო.

— თორმეტს ათი უკლია, რა ხდება რო?

— მალე სულ მთლად დაებრმავებინო მაგ ღვინოსა, მაშ, თორმეტს ათი აკლია, არა? ვერა ხედავ, რომ ორი საათია?

— მეც მაგას არ გეუბნები? თორმეტს თუ ათი უკლია, ორი არ იქნება?

* * *

ბედნიერი საოჯახო ცხოვრების ოთხი ოქროს წესი:

1. აუცილებელია ქალი, რომელიც კარგად ამზადებს და ალაგებს;
2. აუცილებელია ქალი, რომელიც ბევრ ფულს შოულობს;
3. აუცილებელია ქალი, რომელსაც უყვარს სექსი;
4. აუცილებელია, რომ ეს ქალები ერთმანეთს არასოდეს შეხვდნენ!

* * *

რუსეთს მხოლოდ ორი კაცი გადაარჩენს — კალაშნიკოვი და მაკაროვი.

* * *

ზის ფსიქიატრი ცარიელ კაბინეტში და ლაპარაკობს: — აბა, მომიყევით, როდიდან დაგეწყოთ ეს ხილვები?

### ამ დღეს დაიბადნენ

**9 აგვისტო**

**ნოდარ ლომოური** (1926) — ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

**10 აგვისტო**

**ანზორ ერქომაიშვილი** (1940) — ქართული ხალხური სიმღერების დიდოსტატი.

**გრიგოლ თუმანიშვილი** (1925) — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**გია ყანჩელი** (1935) — კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**ზურაბ ყიფშიძე** (1953) — მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

**11 აგვისტო**

**გიორგი ნიკოლაძე** (1888-1913) — ინჟინერ-მეტალურგი, ალპინისტი.

**გიორგი ყიფიანი** (1953) — არქიტექტორი.

**12 აგვისტო**

**გივი ჭიჭინაძე** (1934-1999) — საბავშვო პოეტი, მსახიობი.

**ლილი გეგელია** (1922-2000) — საესტრადო მომღერალი.

**კონსტანტინე მესხი** (1867-1943) — ფოლკლორისტი და გამომცემელი.

**ემილ რაში** (1959) — საქართველოს სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

**13 აგვისტო**

**აკაკი ძიძიგური** (1914-1997) — საზოგადო მოღვაწე, ბიბლიოთეკარი.

**ალექსანდრე ხომერიკი** (1948) — საოპერო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

წიგნი

## ქართული ენა სპარსულენოვანთათვის

1997 წლის 20 სექტემბერი მნიშვნელოვან მოვლენად დარჩა ირან-საქართველოს სამიათასწლოვან კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში. ამ დღეს, პირველად ირანის ისლამური რესპუბლიკის ქალაქ რეშთში, გილანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საზეიმოდ დაიდო მეგობრული თანამშრომლობის ხელშეკრულება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და გილანის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს რექტორებმა — პროფესორებმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და ლოტფიმ.

ყოველივე ამას წინ უძღოდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინამორბედი რექტორის პროფესორ მაგალი თოდუას ინიციატივითა და მონდომებით საამისოდ ნიადაგის მომზადება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ხელშეკრულებისა კი იყო ქუთაისის უნივერსიტეტში „ირანის ისლამური რესპუბლიკის ოთახის“, ხოლო გილანის უნივერსიტეტში — „საქართველოს ოთახის“ გახსნა, ანუ ქართველოლოგიის კერის ფუძის ჩაყრა.

გილანის უნივერსიტეტში დაიწყო ქართული ენის სწავლება. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საქმეში ჩაერთო, გახლავთ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომელი, ენათმეცნიერი, ბატონი ფარდინ ქომაი.

ასე ჩაეყარა საფუძველი გილანის უნივერსიტეტში ქართული ენის შესწავლას.

სწავლების დაწყების პირველი დღიდანვე მწვავედ იჩინა თავი მათთვის ქართული ენის სახელმძღვანელოს უქონლობამ და ბატონმა ქომაიმაც ამ მიმართულებით დაიწყო ფიქრი და მოქმედება, რამაც იგი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილთან მიიყვანა.

ბატონმა ჯემშიდმაც ჩვეული გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით, გაუწია ხელმძღვანელობა ბატონ ქომაის და აი, ხელთა გვაქვს მრავალწლიანი შრომის ნაყოფი ლეილა გეგუჩაძის წიგნის „ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელთათვის“ ფარდინ ქომაისეული თარგმანი დამატებანით.

მთარგმნელის შემოქმედებითი მიდგომით, წიგნი შესანიშნავ სახელმძღვანელოდ ქცეულა ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ სპარსულენოვან პირთათვის.

აი, რას წერს რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი წიგნის მთარგმნელზე: „გილანის უნივერსიტეტის უფროსი სპეციალისტის ბატონი ფარდინ ქომაის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის თარგმნისას მან დაუცხრომელი ძიების, წამოწყებული საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის წყალობით, ძირითადად დაძლია ირანელი მკითხველის ენობრივი აზროვნებისთვის უცნობი სპეციფიური ქართული გრამატიკული კატეგორიების გათვითცნობიერების სიძნელე“.

ქალბატონ ლეილა გეგუჩაძის წიგნს, გარდა ჩვეულებრივი სახელმძღვანელოსი, უცხოელთათვის შემეცნებითი ფუნქციაც გააჩნია. დაინტერესებული პირი იქიდან საინტერესო ინფორმაციებს მიიღებს საქართველოს ისტორიის კულტურის, გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ და სხვ.

წინამდებარე წიგნი ორი უნივერსიტეტის დამეგობრებას მოჰყვა და არ შეგვიძლია დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ მისი ფუძის ჩამყრელი ბატონი მაგალი თოდუა, ასევე ამ საქმის შესანიშნავად გამგრძელებლები ქუთაისისა და გილანის უნივერსიტეტთა რექტორები, ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და ჩვენი დიდი მეგობარი ბატონი დოქტორ აჰმად დასთჯერდი.




წიგნი გამოიცა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანადგომით, რისთვისაც დიდი მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ. დაისტამბა იგი გილანის უნივერსიტეტში.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს, რომელიც ყველანაირად უწყობს ხელს ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის გაღრმავებას და განმტკიცებას.

ფარდინ ქომაის მიერ დამატებანით სპარსულად თარგმნილი ლეილა გეგუჩაძის წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულ სპარსულენოვან პირთათვის, ხოლო ირანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში — წინგადადგმული ნაბიჯი.

ურთიერთობანი ირანელ და ქართველ ხალხს შორის დღითი დღე ღრმავდება. ამას მოწმობს ივლისის პირველ რიცხვებში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმატებული ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

ასეთ ფონზე ამ წიგნის გამოსვლა მართლაც რომ საშური საქმეა.

**ნომადი ბართაია,**
**ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე**



ძმა ზაურ ტყეშელაშვილი, სიდედრი თადული ქლენტი, ცოლისძმა დათო იაშვილი, რძლები ვიკა კილურაძე, ნანა ტატიშვილი, კერსტინ იაშვილი, ძმისწულები ალეკო, ასლან ტყეშელაშვილები, ცოლის ძმისწულები დავით, ალექსანდრე, დავით, ეკატერინე იაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ნესტორის ძე ტყეშელაშვილი

პანაშვიდი 8, 9 VIII, 16 სთ. გამოსვენება 10 VIII, 15 სთ. მის. ი. ხვიჩიას ქ. №12.

რუბენ ცირეკიძე ოჯახით უსამძიმრებს იური სანიკიძეს მამის

გივი გრიგოლის ძე სანიკიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



მეუღლე გოგი ჯინჭარაძე, შვილები მაკა გუჯაბიძე, დათო ჯინჭარაძე, და ნანა ბოკუჩავა, შვილიშვილები ლიკა, ნინი შავიშვილები, სიძეები ნიკა შავიშვილი, სანდრო ზაალიშვილი, შვილთაშვილი ნიკა ზაალიშვილი იუწყებიან

ლია ვლადიმერის ასულ ბოკუჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 VIII, 17 სთ. გამოსვენება 10 VIII, 15 სთ. არაყიშვილის, 2. მე-2 სადარბაზო, IV სართული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება კათედრის პროფესორის

ლია ბოკუჩავას

გარდაცვალებას.

ლიანა შეწირული, კიტა შავიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მძახლის

ლია ვლადიმერის ასულ ბოკუჩავას

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი
**ბონდო გულიაშვილი.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika